ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2014 წ. სექტემბერი, №9 (50), ფასი 3 ლარი

დავით კაკაბაძე — 125

„ახლახან ერთ დიდ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა. ოთხი ათას სურათში ყველაზე ორიგინალური ჩემი იყო. ბევრი რეცენზია დაიწერა, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გამოვიდა ერთი წიგნი, სადაც აღწერილია მთელ მსოფლიოში თანამედროვე მხატვრობის მდგომარეობა. იქ ჩემ შესახებ მშვენიერი წერილია და მე მაკუთვნებენ თანამედროვე მსოფლიოს მხატვრობის ავანგარდს. ამას, საზოგადოდ, ქართული მხატვრობისათვის მნიშვნელობა აქვს...“

43 დავით კაკაბაძე

კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 4

27 გურული ფირალი, რომლის სიმღერით სტალინი მოხიბლულა

ანდრეი ბელი: «ტრფიალი ვარ საქართ-30 თველოსი»

33 თბილისი 1910-1921 წლებში — კულტურული ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა

არქიტექტორი 40 მიხეილ ნეპრინცევი

48 გურიის მხარის არქეო-ლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი

რა მოხდებოდა ადოლფ ჰიტლერს რომ გაემარჯვა მეორე მსოფლიო ომში და დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი? რა ბედი ელოდა მაშინ საქართველოს?

ადოლფ ჰიტლერს რომ მოეგო ომი... 23

საჯარო წერილი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ელიზბარ ჯაველიძე: 9

თუკი ვინმეს სწადია ქართველი ერისა და სახელმწიფოს გადარჩენა, ილიასეული ანდერძი უნდა ჰქონდეს თვალწინ და მას გზამკვლევად იყენებდეს ამ ერთობ ძნელად სავალ გილიკზე.

ილია და «საქართველოს მოამგე» 17

„საქართველოს მოამგის“ პუბლიცისტებმა გადაჭრით დასვეს ქართველი ხალხის ნაციონალური ბედ-იღბლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი.

ლ. გუდიაშვილი, „სტეპკოს დუქანი“,
„ქიმერიონის“ მოხატულობიდან



დავით კაკაბაძე

სარჩევი

სახელოვანი ქართველები
კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1789-1844) 4

ჩვენი ფოსტა
ელიზბარ ჯაველიძე — საჯარო წერილი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს 9

გაკვეთილები
ილია და «საქართველოს მოამგე» 17

თვალსაზრისი
ადოლფ ჰიტლერს რომ მოეგო ომი... 23

ნამდვილი ამბავი
გურული ფირალი, რომლის სიმღერით სტალინი მოხიბლულა 27

მეგობრობა გზად და ხიდად
ანდრეი ბელი: «ტრფიალი ვარ საქართველოსი» 30

კულტურული ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა
თბილისი 1910-1921 წლებში 33

საქართველოს სამსახურში
არქიტექტორი მიხეილ ნეპრინცევი 40

იუბილე
დავით კაკაბაძე — 125 43

ეს საინტერესოა
გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი 48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)
ი-892

კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1789-1844)

კონსტანტინე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებული მეფის — დავით გიორგის ძის — შვილი იყო. დავითი იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ.

1783 წელს სოლომონ პირველმა თურქთა წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. მას გურულების დახმარების იმედი ჰქონდა და თავისი ლაშქრით გურიაში ჩავიდა. მოულოდნელად ჩაქვთან ოსმალები შემოეყარნენ, ბრძოლის დროს გურულებმა მეფეს ზურგი შეაქციეს. იმერლები დამარცხდნენ. დამწუხრებული მეფე ქუთაისს დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა. ბაგრატ ბატონიშვილი ასე აგვიწერს სოლომონ პირველის დამარცხებას, მის სიკვდილსა და დავით გიორგის ძის გამეფებას:

„კდ წელსა 1782, მეფე იმერთა სოლომან წარვიდა მხედრობითა თვისითა გურიასა ზედა. მისრულს ჩაგვსა შემოებნენ ოსმალნი და უღალატეს გურიელთ ხალხმაც. იძლია მეფე სოლომან. მოსწყვიტნეს იმერნი ურიცხვნი. კნიღა განერა მეფე სიკვდილსა. ძლეული მეფე სოლომან მოვიდა ქუთაის, რომლისა მწუხარებითა გარდაიცვალა აპრილის 23 და დასვეს იმერთა მეფედ დავით გიორგის ძე, მიზეზითა ამით, რომელ მეფესა სოლომანს არა დაშთა შვილი, და ძმისწულნი მისნი იყვნენ მცირე ყრმანი. ამის მიზეზისათვის დასვეს იმერთა ბიძაშვილი მისი დავით არა მეფედ, არამედ ნაიბად, ვიდრე აღზდადმდე არჩილის ძისა დავითისა, რომელს ეწოდა შემდგომად სოლომანცა, რომელიცა იყო ესე რჯულიერი მემკვიდრე მეფისა სოლომანისა, ნამდვილ ძმისწული მისი“.

როგორც აღინიშნა, დავითი 1784 წელს იმერეთის მმართველად იქნა დანიშნული, მალე კი მეფის ტიტულიც მიიღო. საბუთებიდან ირკვევა, რომ სოლომონ პირველს იგი თავის სიცოცხლეშივე უღიარებია ტახტის მემკვიდრედ. ესოდენ დიდი უპირატესობა, სხვა ძმისშვილებთან შედარებით, გარდა იმისა, რომ უკანასკნელნი მცირეწლოვანები იყვნენ, სხვა მხრივაც საკმაოდ საფუძვლიანი იყო. **იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთე როცა გარდაიცვალა, ტახტზე მისი შვილი — გიორგი — ავიდა, რომელმაც რამდენიმე წელი იმეფა, შემდეგ თავისუფალი ცხოვრება მოინდომა და უფროს ძმას — სოლომონ პირველს — დაუთმო ტახტი იმ პირობით, რომ მემკვიდრედ მისი შვილი — დავითი — იქნებოდა. სოლომონ პირველმა თავის სიცოცხლეშივე დაწერა ანდერძი, რომლის თანახმადაც მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთის მეფედ დავითი უნდა ყოფილიყო.** ანდერძში სოლომონ პირველი წერდა: „როცა მამაჩემი, მეფე ალექსანდრე (ალექსანდრე მეხუთე იყო იმერეთის მეფის გიორგი მეექვსის შვილი, რომელიც მეფობდა 1702 წლიდან 1720 წლამდე. გიორგი მეექვსის პირველი ცოლი იყო რადამი. მეორე ცოლი კი მამია გურიელის შვილი — თამარი, რომელიც ადრე გიორგი ლიპარიტის მეუღლე იყო, ხოლო შემდეგ გიორგი მეექვსემ წაართვა გიორგი ლიპარიტს და თვითონ შეირთო. გიორგი მეექვსეს ჰყავდა 4 შვილი: ალექსანდრე მეხუთე (სოლომონ I-ის მამა), გიორგი (დავითის მამა), მამუკა და არჩილი (სოლომონ II-ის მამა). ალექსანდრე მეხუთე დიდგულოვანი მეფე და კარგი მხედართმთავარი იყო. იგი ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველად ბეჟან დადიანის ასულ მარიამზე, მეორედ კი თავად ლევან აბაშიძის შვილ თამარზე. ალექსანდრე V მეფობდა 1720 წლიდან 1752 წლამდე. იგი ვაჟკაცურად იბრძოდა როგორც შინაური, ასევე გარეშე მტრების წინააღმდეგაც, ებრძოდა ძლიერ და ურჩ ვასალებს: რაჭის ერისთავ შოშიტას, აფხაზეთის მთავარ შერვაშიძეს, დედოფლის ძმას — სამეგრელოს მთავარს ოტია დადიანსა და გურიის მთავარს — გურიელს. ალექსანდრე V აქტიურად ებრძოდა თურქებს, რომლებმაც მას შავი ზღვის სანაპირო წაართვეს. იგი ეომებოდა სპარსელებსაც, რომლებმაც ტყვედ ჩაიგდეს. ალექსანდრე ტყვეობიდან შაჰმა გაათავისუფლა და ტახტის დაბრუნებაშიც მოეხმარა. ალექსანდრე მეხუთე ებრძოდა ძმასაც — მამუკას, რომელსაც სძულდა მეფე იმის გამო, რომ უკანასკნელმა მას დედოფალ მარიამის დაზე ქორწინების ნება არ მისცა. არც მეორე ძმასთან — გიორგისთან — ჰქონდა კარგი ურთიერთობა და ებრძოდა იმიტომ, რომ მან ალექსანდრეს სპარსეთში ტყვეობისას იმერეთის სამეფო ტახტი მიიტაცა.

ალექსანდრე მეხუთის ერთადერთი მეგობარი და ზედმიწევნით ერთგული იყო შამშე ქსნის ერისთავი, რომელმაც ერთ-ერთ ბრძოლაში მეფეს 500 ლეკი დაახმარა). გარდაიცვალა, მამათქვენმა (გიორგი ალექსანდრეს ძემ) მიიღო სამეფო. იმერეთის მეფედ იყო 8 წელი, შემდეგ თავისუფალი ცხოვრება ისურვა, მიმიხმო მზოვრის ციხესიმაგრეში და ფიცისქვეშ პირობა დამადებინა: როგორც მან გადმომცა მეფობა, ასევე ჩემს შემდეგ იმერეთში მისი შვილი დავითი უნდა გამეფდესო.

მიცემული ფიცისა და ანდერძის თანახმად, მან დავითი, როგორც აღინიშნა, ადრევე აღიარა თავის მემკვიდრედ.

სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წელს დავითი გამეფდა დავით მეოთხის სახელით, რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე რუსეთში ელჩები გაგზავნა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის — მაქსიმე აბაშიძის, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და ბესარიონ (ბესიკი) გაბაშვილის შემადგენლობით. ელჩობის მიზანი იყო იმერეთისთვის ისეთივე ხასიათის პროტექტორატის მიღება, როგორიც ქართლ-კახეთმა მიიღო 1783 წლის ტრაქტატით. **კათალიკოსი მაქსიმე ელჩობის წევრებთან ერთად წარდგა ეკატერინე მეორის წინაშე, მაგრამ ამ დესპანობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის საზავო ხელშეკრულებით იმერეთი და მთელი დასავლეთ საქართველო თვით რუსეთის მიერ იყო ოსმალეთის ხელდებულად აღიარებული, რის გამოც რუსეთს საერთაშორისო ხელშეკრულების დაურღვევლად არ შეეძლო იმერეთის მფარველობაში მიღება.**

თურქეთის მთავრობამ შეიტყო იმერეთის მეფის — დავითის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩობის მიზანი, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იგი რუსეთის ორიენტაციისა იყო და გადაწყვიტა მისი ტახტიდან ჩამოგდება.

თურქეთის მიზნებს დაემატა იმერეთის ზოგი გავლენიანი თავადის ამხედრება დავითის წინააღმდეგ. მათ რიცხვში იყო სოლომონ I-ის ცოლის ძმა, თავადი **ბერი წულუკიძე**, რომელიც ისე იყო დაახლოებული და იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა სიძეზე, რომ, იესე ოსეს ძის გადმოცემით, სოლომონ I-ლი ამბობდა: იმერეთის მეფე მე კი არ ვარ, ბერი წულუკიძე არისო.

ახალი მეფის დროს ბერი წულუკიძემ დაჰკარგა სამეფოში თავისი გავლენა და პირველკაცობა, ვინაიდან დავით მეოთხემ დაიახლოვა თავისი მეუღლის — ორბელიანის (იგივე ყაფლანიშვილი) ქალის — ნათესავი, ქსნის ერისთავის ძე ელიზბარი, რომელიც ქართლიდან იმერეთში იყო გადმოხვეწილი. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ იმერეთის გავლენიანმა პირებმა დავით მეოთხეს დაუპირისპირეს სოლომონ I-ის ძმის შვილი, ყმაწვილი დავით არჩილის ძე, რომელიც დედით ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო. დავით მეოთხე ჩამოაგდეს ტახტიდან და 1789 წლის 11 ივლისს ახალი მეფე ავიდა ტახტზე... „ეს იყო სოლომონ I-ის ძმისწული დავითი, იგივე სოლომონ II არჩილის ძე, დედით ერეკლე მეფის შვილიშვილი, მეფედ გამოცხადებისას მას სოლომონ II უწოდეს“ (სოლომონ II დაიბადა 1773 წელს, 17 წლისაც არ იყო, რომ 1789 წელს გამეფდა, 1810 წელს დამარცხდა რუსეთთან ბრძოლაში და გადაიხვეწა ტრაპიზონში, სადაც გარდაიცვალა 1815 წელს. იგი სათანადო პატივით იქნა დაკრძალული ტრაპიზონის წმ. გრიგოლის ბერძნული კათედრალური ტაძრის ეზოში. მის საფლავზე მაშინვე ააგეს მეფის საკადრისი ეკვდერი, რომლის სიმაღლე ჯვრით — 10, სიგანე კი 5 არშინი იყო. პ. შუბინსკის აღწერით, 1912 წელს ძეგლი გაუწაფავი ხელით ახალი შეკეთებული იყო, ხოლო წარწერებისა და მხატვრობის დიდი ნაწილი წაშლილიყო. მხატვრობა მხოლოდ გუმბათის შიდა მხარეს შერჩენოდა. იქ ჯერ კიდევ ნათლად ჩანდა ბაგრატიონთა ღერბი, რომელშიც გამოხატული იყო დავით მეფის შურდული, მისი ქნარი, უფლის კვართი, სამეფო სფერა და სასწორი — მეფური სიბრძნის ემბლემა. ღერბი დაყრდნობილი იყო ორ ლომზე, მის ზემოთ კი გამოსახული იყო სამეფო გვირგვინი. გვირგვინის ქვეშ, ღერბის ზემოთ, გამოხატული იყო გადაჯვარედინებული მახვილი და სკიპტრა, გვერდებზე ორი ფრთოსანი სერაფიმით, გუმბათის შიდა — მოპირდაპირე მხარეს გამოხატული იყო წმ. გიორგის ტაძარი. სოლომონ მეფის საფლავის თეთრ მარმარილოს ფილაზე ძველი ქართულით გაკეთებული იყო წარწერები: **„განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემულ საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ შენდობასა. თებერვლის 7 — ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე“.** ქვემოთ: **„ჰსაჯე, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა, სრცხუენოდენ და კდემებოდენ, რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა“** (ფსალმუნნი, მუჯხლი 34), როგორც აღინიშნა, ზოგი წარწერა შეკეთების გამო წაიშალა, წაიშალა მხატვრობის მეტი ნაწილიც... 1922 წელს თურქმა ფანატიკოსებმა დაანგრიეს წმ. გრიგოლის ხსენებული ტაძარიც და სოლომონ II-ის ეკვდერიც.

დავით IV ვერ შეეგუა ტახტის დაკარგვას და ყოველ ღონეს ხმარობდა კვლავ გასამეფებლად. 1790 წელს მისი შეიარაღებული გამოსვლა სოლომონ II-ის წინააღმდეგ სოლომონის გამარჯვებით დამთავრდა.

მიუხედავად იმ ფიცისა, რომელიც დავითმა ერეკლე II-სა და ახალციხის ფაშას წარმომადგენელთა თანდასწრებით დადო სოლომონ II-ის წინაშე, მას თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია. ახალი შეთქმულების ქსელი გააბა ოდიშის მთავრის — გრ. დადიანის, აბაშიძისა და თვით ფაშას დახმარებით. სოლომონ II-მ დრო-

ზე შეიტყო შეთქმულება და გადაწყვიტა ტახტის მოტრფიალის სასტიკად დასჯა. ამჯერად ნიღაბახდილმა დავით გიორგის ძემ თავის დასახსნელად მეფეს კვლავ ერთგულება შეჰფიცა და ფიცის დასამტკიცებლად მძევლად თავისი სამი წლის შვილი — კონსტანტინე — გაუგზავნა, რომელიც სოლომონ მეორემ მუხურის ციხეკოშკში მოათავსა.

ბაგრატ ბატონიშვილი დამარცხებული დავით გიორგის ძის შესახებ წერს:

„...ლტოლვილი დავით მეფე მივიდა ახალციხეს... ახალციხიდამ ჩამოვიდა ქართლს მეფეს ირაკლის თანა. მან პატივსცა დიდათ. მეფეს ირაკლის შუამდგომლობა სთხოვა, რათა დააზაოს მეფე დავითს, არჩილის შვილსა. მეფემან ირაკლიმ წარატანა თანა ძე თვისი ანტონი კათალიკოზი, რომელიცა მისრულმან დააზავნა ესენი თანახმობითა იმერთა სამღვდელოთა და ჩინებულთათა. მეფეს დავითს არჩილის-ძეს დაუმტკიცეს მეფობა იმერეთისა და უწოდეს ტიტულაი სახელად მეფე სოლომან, დიდის მეფის სოლომანის გამო, რომელმანცა იხსნა იმერეთი მახმადიანობისაგან ძალითა ქ-ესითა. ხოლო დავითს გიორგის-ძესა მისცეს სარჩოდ სოფლებნი შესაფერნი და აფუცეს, რათა არღარა განიზრახოს მეფობაი თვისი და იყოს მორჩილ მეფისა სოლომანისა, რომლისა გამო მეფემან სოლომან გამოართვა დავითს ძე თვისი კონსტანტინე და ჰყო პატიმრად მუხურის ციხესა შინა რაჭას ყრმა წლისა 3, რომელიცა არა ესვა მასგან კიდე სხვაი ძე ვაჟი“.

დავითის ქვრივი — დედოფალი ანა

მიუხედავად მეორედ მიცემული ფიცისა, დავითი მაინც არ ცხრებოდა და ხშირად აქეზებდა ოდიშისა და გურიის მთავრებს სოლომონ II-ის წინააღმდეგ. ტახტის დაბრუნების წადილით შეპყრობილმა დავითმა ერთხელ კიდევ სცადა თავისი ბედის წაღმა დატრიალება — 1794 წელს ქუთაისისაკენ გაილაშქრა. სოლომონ II-მ ტახტის პრეტენდენტსა და მის მოკავშირე დადიანს გზები შეუკრა, მათხოჯთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ისინი და ბევრი ტყვე წამოიყვანა. ამ ბრძოლაში სოლომონ II-ს ერეკლე მეორე დაეხმარა ჯარით, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. დამარცხებული მთავარი დადიანი სამეგრელოდან გაიქცა. დავითი კი ტახტის დაბრუნების ნატვრაში 1795 წელს ყვავილისაგან გარდაიცვალა ახალციხეში. მისი მცირეწლოვანი შვილი კონსტანტინე კიდევ დიდხანს იყო გამოკეტილი მუხურის ციხე-სიმაგრეში. დავითის ქვრივი — დედოფალი ანა (მას ჰყავდა ერთი ვაჟი — კონსტანტინე და სამი ქალიშვილი: მზეხათუნა — თავად სვიმონ წერეთლის მეუღლე; ანასტასია — თავად აგიაშვილის მეუღლე და თამარი — გურიის ერისთავის მეუღლე, დავით მეოთხეს ჰყავდა უკანონო შვილიც როსტომი, რომელიც თურქული გვარის ჰაიდარბეგოვის ფუძემდებელი იყო.) — დიდხანს ცდილობდა მცირეწლოვანი შვილის მუხურის ციხიდან განთავისუფლებას, მაგრამ 9 წლის მანძილზე ვერ მიაღწია მიზანს. მოგვიანებით ანა დედოფალმა ჯერ ქართლიდან აღძრა საქმე, ხოლო შემდეგ წავიდა პეტერბურგს და პირადად სთხოვა იმპერატორს იმერეთში დატყვევებული ვაჟის განთავისუფლება. აღნიშნული თხოვნის საპასუხოდ პეტერბურგიდან 1802 წელს იმერეთში გამოგზავნეს რუსეთის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხელე ა. სოკოლოვი, რათა პირადად გადაეცა სოლომონ მეორისათვის იმპერატორის წერილი დატყვევებული კონსტანტინეს გასათავისუფლებლად. **„ხოლო წელსა 1802 — წერს ბაგრატ ბატონიშვილი, — იმერთა მეფის დავითის ცოლი ანნა, ყაფლანიშვილის მამუკას ასული, დედოფალი, წარვიდა როსიად იმპერატორს ალექსანდრეს წინაშე. მისრული დიდისა პატივითა მიიღო და ევედრა დედოფალი, რათა — შუამდგომელ ექმნეს მეფესა თანა და განატევებინოს ძე მისი კონსტანტინე პყრობილებისაგან, რომელიცა ჰყვა მეფესა მუხურის ციხესა შინა.** მსმენელმან იმპერატორმა წარუვლინა კაცნი მეფესა და სთხოვა განთავისუფლება კონსტანტინესი, რომლისა არა მნებებელმან მეფემან სოლო-

კათალიკოსი მაქსიმე ელჩობის წევრებთან ერთად წარდგა ეკატერინე მეორის წინაშე, მაგრამ ამ დესპანობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის საზავო ხელშეკრულებით იმერეთი და მთელი დასავლეთ საქართველო თვით რუსეთის მიერ იყო ოსმალეთის ხელდებულად აღიარებული, რის გამოც რუსეთს საერთაშორისო ხელშეკრულების დაურღვევლად არ შეეძლო იმერეთის მფარველობაში მიღება.

მან უკუნ აქცივნა კაცნი იგი ცარიელნი“. ამრიგად, სოლომონ II-მ უარი განაცხადა თხოვნის შესრულებაზე. კონსტანტინეს მუხურის ციხეში დატოვების მიზეზი იყო სოლომონ II-ისა და მის მომხრეთა შიში, რომ რუსეთის მთავრობას ის არ გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ა. სოკოლოვმა იმერეთის მეფის უარი რუსეთის საწინააღმდეგო აქტად ჩათვალა და რუსეთის მთავრობას მოახსენა სოლომონ II-ის ურჩობა, თან არარსებული ცოდვებიც გამოუგონა. იმპერატორის დავალებით მთავარმართებელმა იმერეთის მეფის შევიწროება დაიწყო. სოლომონ II იძულებული გახდა, 9 წლის პატიმრობის შემდეგ, 1803 წელს, გაეთავისუფლებინა ბატონიშვილი.

დედოფალმა ანამ ალექსანდრე პირველის 1804 წლის 12 დეკემბერს დაწერილი წერილი მიიღო, რითაც იმპერატორი სთავაზობდა მოსკოვში გადასახლებას, რათა შვილისათვის შესაფერი განათლება მიეღებინებინა. იმპერატორი დედოფალს ჰპირდებოდა პენსიის გაორკეცებას და კონსტანტინესათვის 10000 მანეთის დანიშვნას წელიწადში, თუ კი მოსკოვში გადავიდოდნენ საცხოვრებლად. იმავე წელს სოლომონ მეორემ კონსტანტინე თავის მემკვიდრედ სცნო. დედოფალი ანა მოსკოვში წასვლას ფიქრობდა მხოლოდ იმიტომ, რომ შვილს სათანადო განათლება მიეღო, საერთოდ კი, იმერეთიდან წასვლა არ უნდოდა. თვით კონსტანტინე რუსეთში წასვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ამიტომ დედოფალმა ანამ თავადი ბარათოვი მიუგზავნა, რათა დაერწმუნებინა იგი რუსეთში გამგზავრების აუცილებლობასა და დიდ სიკეთეში. თავად ბარათოვის რჩევას დადებითი შედეგი მოჰყვა — კონსტანტინე დაემორჩილა დედის წადილს.

1809 წელს ბატონიშვილი კონსტანტინე თბილისში გამოცხადდა მთავარმართებელთან და რუსეთისადმი ერთგულების ფიცი მიიღო.

მოსკოვში დედოფალი ანა კარგად მოაწყვეს, საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდა. იგი ყოველთვის საუკეთესოდ ჩაცმული, მხარზე ეკატერინეს ლენტით, გამოდიოდა სადღესასწაულო მიღებაზე და სტუმრებთან შეხვედრისასაც კი. მის ბინაში ყოველთვის ბევრი იყო სტუმარი. ხშირად მოსკოვის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებსაც მასპინძლობდა

1810 წლის ნოემბერში დედოფალი ანა თავისი შვილით კონსტანტინეთი უკვე რუსეთშია. ისინი დიდი პატივით მიიღეს მოსკოვში. ჩასვლისთანავე მათ 10000 მანეთი პენსია დაენიშნათ წელიწადში. მათი მიღების და მოწყობის გეგმა ადრევე იყო შემუშავებული, ალექსანდრე პირველის მითითებით. იგი არაფერს ზოგავდა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა მოსაწყობად რუსეთში.

მოსკოვში დედოფალი ანა კარგად მოაწყვეს, საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდა. იგი ყოველთვის საუკეთესოდ ჩაცმული, მხარზე ეკატერინეს ლენტით, გამოდიოდა სადღესასწაულო მიღებაზე და სტუმრებთან შეხვედრისასაც კი. მის ბინაში ყოველთვის ბევრი იყო სტუმარი. ხშირად მოსკოვის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებსაც მასპინძლობდა (იმერეთის ყოფილი დედოფალი ანა 22 წელს ცხოვრობდა მოსკოვში დონის ქუჩაზე და 1832 წლის 4 ივლისს გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა დიდხანს ვერ მოხერხდა. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი პეტერბურგიდან ელოდა ნებართვას მისი დიდი პატივით დაკრძალვის შესახებ. ნებართვა კი იგვიანებდა. მისი შვილი — კონსტანტინე ამბობდა: „არ მოვცილდები ცხედარს, მანამ არ იქნება სპეციალური ნებართვა შესაფერი პატივით დაკრძალვის შესახებ“-ო. დალურსმული კუბო დიდხანს იდო სახლში. ბოლოს პეტერბურგიდან ნებართვა მოვიდა, გვერდით ქუჩები და მთელი დონის ქუჩა, სადაც დედოფალი ანა ცხოვრობდა, ხალხით იყო სავსე. დონის მონასტრის მოედანი ჯარითა და არტილერიით იყო დაკავებული. ქვემეხებისა და თოფების ბათქის ქვეშ იგი დონის მონასტერში დაკრძალეს. საფლავის ფილაზე რუსული წარწერა გაუკეთეს: „იმერეთის დედოფალი ანა მათეს ასული, გარდაიცვალა მოსკოვში, 1832 წლის ივლისს, დაბადებიდან 62 წლისა“). კონსტანტინე თავიდან დედამისთან ერთად იმყოფებოდა მოსკოვში. მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა რუსეთის მთავრობა.

რუსეთში დასახლებულ აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის სამეფო-საგვარეულოს წარმომადგენლებისადმი იმპერატორის მხრივ დიდი ყურადღების მანიშნებელია ისიც, რომ 1810 წლის კალენდრის განსაკუთრებულ გრაფაში ისინი ნაჩვენები იყვნენ იმპერატორის საგვარეულოს წარმომადგენელთა შემდეგ. თვით კონსტანტინეს კი იმპერატორის მონაწილეობით გამართულ ზეიმებსა და ცერემონიალებზე ხელმწიფე იმპერატორის კორტეჟში ჰქონდა ადგილი, ოლდენბურგის პრინცების გვერდით. იგი თითქმის სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმ-

ყოფებოდა. მისი სამხედრო სამსახურიც განსაკუთრებული პრივილეგიით დაიწყო. იგი კაზაკთა ლეიბგვარდიულ პოლკში ჩაირიცხა პირდაპირ როტმისტრად, დაინიშნა ფლიგელ-ატიუტანტად და, როგორც ყველა ქართველმა ბატონიშვილმა, მანაც ანას პირველი ხარისხის ორდენი მიიღო.

კაზაკთა ლეიბ-გვარდიული პოლკის უფროსი იმ დროს ორლოვი იყო, რომელიც შემდეგში გრაფი და ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლის გმირი გახდა. მან ახალი როტმისტრი დიდებულად მიიღო: **„ოჰ, თქვენო ბრწყინვალებავ,** — უთხრა ორლოვმა, — **თქვენი მხრივ, თქვენ არამცთუ პოლკის წინ, არამედ არმიის წინ უნდა იდგეთ, მე კი, თქვენს ადგილზე უნდა ვიყო. მე ისიც გავიგე, რომ თქვენთვის ახალი არ არის სამხედრო საქმე“.** როტმისტრი კონსტანტინე დავითის ძე არ დაიბნა და საკმაოდ თავდაჯერებულმა რიხიანად უპასუხა: **„...სამწუხაროდ, სამშობლოში უბედური მოვლენების გამო, ახალგაზრდობის მიუხედავად, იძულებული ვიყავი ხშირად შიშველი დაშნა მჭეროდა ხელში“.** პოლკის უფროსს მოეწონა ახლად ჩარიცხული როტმისტრის პასუხი და უპასუხა: მეც ადრე მომიწია ცხენზე ჯდომამ, მალე კი ბრძოლებიც გადამხდა. ხედავთ! ჩვენ თანაბარნი ვართ და უმორჩილესად გთხოვთ მე თქვენს მებრძოლ მეგობრად ჩამთვალოთ, მალე კი ჩვენ სულ გავთანაბრდებით, ვინაიდან წინ დიდი ბრძოლები გველის. პოლკის უფროსს საფრანგეთის წინააღმდეგ მოახლოებული საომარი მოქმედება ჰქონდა მხედველობაში.

კაზაკთა ლეიბ-გვარდიულ პოლკში, სადაც კონსტანტინე დავითის ძე ჩაირიცხა როტმისტრად, ანას პირველი ხარისხის ორდენი არავის ჰქონდა მიღებული. მებრძოლები და თვით ოფიცრები დაინტერესდნენ, თუ რა დამსახურების გამო ჰქონდა მიღებული ახალგაზრდა კონსტანტინეს იგი. ამასთანავე, ყველას უკვირდა, რომ პოლკის უფროს ორლოვს არ ჰქონდა ხსენებული ორდენი და მისი ხელქვეითის მკერდს კი ამშვენებდა.

ანას პირველი ხარისხის ორდენს პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის დროს იღებდნენ მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტები, იშვიათად კი გენერალ-მაიორები. კონსტანტინეს ისე ხშირად ეკითხებოდნენ ორდენის მიღების მიზეზს, რომ მალე თავი დაანება მის ტარებას. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი წესის მიხედვით ორდენის ტარება სავალდებულო იყო.

ამ ამბავმა იმპერატორ ალექსანდრე პირველის ყურამდე მიაღწია. იმპერატორს არ ესიამოვნა კონსტანტინეს საქციელი და უკმაყოფილო დარჩა. მალე იმპერატორმა კაზაკთა ლეიბ-გვარდიული პოლკი დაათვალიერა და საგანგებოდ გამოიძახა ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელსაც ორდენი არ ეკეთა. ალექსანდრე პირველი გაბრაზდა და როტმისტრს მიმართა: **„მე ვერ ვხედავ თქვენზე თქვენს ლენტს“.** ბატონიშვილი არ დაიბნა და დაუყოვნებლივ უპასუხა: **„მერიდება გამოვჩნდე პოლკის დამსახურებული მეთაურის წინაშე ორდენით, რომელიც მას არა აქვს“.** იმპერატორს მოეწონა პასუხი, გაეღიმა, კმაყოფილმა თავი გააქნია და წარმოთქვა: **„სხვაგვარ პასუხს მე თქვენგან არც მოველოდი. მწყობრში დაე, თქვენი სურვილისამებრ იყოს, მწყობრის გარეშე კი, მე ვისურვებდი, მენახა თქვენს მკერდზე ის, რაც თქვენ შეგფერით“.**

მალე სამამულო ომი დაიწყო ნაპოლეონის წინააღმდეგ. კონსტანტინე დავითის ძე საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო დაწყებიდან დამთავრებამდე. მან თავი გამოიჩინა ვიტებსკთან ბრძოლაში. **ბოროდინოსთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გმირული მოქმედებისათვის უკვე პოლკოვნიკ კონსტანტინე დავითის ძეს ვლადიმერის ორდენი ებოძა ბაფთით. ნაპოლეონის ჯარების დამარცხების შემდეგ, კონსტანტინე დავითის ძე კვლავ არმიაში მსახურობდა. ოციანი წლების ბოლოს იგი ცხენოსანთა ბრიგადას მეთაურობდა. ოცდაათიანი წლების ბოლოს კი, გენერალ-მაიორის ჩინით, დატოვა სამხედრო სამსახური.**

სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი, აინტერესებდა მუსიკაც. განსაკუთრებით უყვარდა ლექსების წერა. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი მოგვიანებით — 1885 წელს — წერდა: „მე თვითონ წავიკითხე იმ ხანებში მოსკოვში გამომავალ ალმანახ „მინევრა“-ში მისი (კონსტანტინე დავითის ძის) ლექსი „Воздушный корабль“.

დღეისათვის იგი (ლექსები), რა თქმა უნდა, სუსტად მოგვეჩვენება, მაგრამ იმ ადამიანისათვის, რომელმაც რუსული ენა შეისწავლა ყმაწვილობიდან დიდიხნის შემდეგ, ეს ლიტერატურული ცდები შეიძლება დამაკმაყოფილებელზე უფრო მეტად ჩაითვალოს.

კონსტანტინე, როგორც აღინიშნა, 1810 წლიდან იმყოფებოდა რუსეთში. იგი პირველად 12 წლისა დაქორწინდა ანასტასია აბაშიძეზე. ეს ქორწინება იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, მითითებით მოხდა. ანასტასია აბაშიძესთან კონსტანტინე დავითის ძეს შვილები არ ჰყოლია. მეორედ იგი მოსკოვში დაქორწინდა პორტუგალიის გენერალური კონსულის შვილზე — ანა დენისის ასულ ლოპეს-დე-სილვაზე. ამ ქორწინებით მას შეეძინა ორი ვაჟი: კონსტანტინე და ნიკოლოზი. კონსტანტინე დავითის ძემ მესამედ იქორწინა ეკატერინე სერგის ასულ სტრახოვაზე, რომელთანაც შეეძინა ვაჟი, შემდეგში ცნობილი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე — ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი.

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე დავითის ძის შვილები იყვნენ რუსეთში პირველი თავადები — იმერეტინსკები. კონსტანტინე დავითის ძე გარდაიცვალა მოსკოვში 1844 წლის 3 მაისს. დასაფლავებულია დონის მონასტერში.

ელიზბარ ჯაველიძე

საჯარო წერილი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი, დარწმუნებული ვარ, რომ სხვათაგან განსხვავებით თქვენ გიყვართ საქართველო და ქართველი ხალხი და მათი სიკეთე გწადიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აღქმით, თქვენ ბრძანდებით ის პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც არ გსურთ, საკუთარ ბედნიერებასა და კარიერას გადააყოლოთ მრავალ ქარ-ცეცხლში გამოვლილი, მაგრამ დღემდე ვინაობაშერჩენილი ჩვენი ერი.... დღეს, როდესაც გლობალისტურ-მასონური, ანტიეროვნული წარღვნა წალეკვით ემუქრება და დედამიწის პირისგან აღგვას უპირებს ჩვენ მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ცივილიზაციის მქონე და, ვიტყოდი, ამ ცივილიზაციის შემქმნელ ერს, გადავწყვიტე, როგორც ასაკოვანმა და მრავალჭირნახულმა კაცმა, ჩემეული თვალთახედვა მოგახსენოთ ამ პრობლემის თაობაზე. იმედია, ამას კადნიერებაში არ ჩამომართმევთ და ვინძლო ზოგიერთი თვალსაზრისი გაიზიაროთ კიდეც...

ა) გვეშველება რამე?!

აგერ უკვე ორი ათეული წელია, ყველა ჩვენგანს ესმის მრავლისმეტყველი კითხვა: გვეშველება რამე?! ამ კითხვით სხვადასხვა სოციალური ფენის, განათლების სხაგასხვა დონის, ახლობლები თუ უცხონი, გზად შემთხვევით გადაყრილნი თუ მეგობრულ სუფრაზე მსხდომნი მოგვმართავენ ხოლმე. ოღონდაც, ცხადია, რომ **ამ ერთობ „ჭრელ“ საზოგადოებას ერთი გულის წუხილი და დარდი აერთიანებს — ეს არის ფიქრი ქვეყნის მომავალსა და საკუთარ ჭირ-ვარამზე.** ამიტომაც **ამ კითხვამ შეიძინა განზოგადებული აზრი და ჟღერადობა, მწუხარე ერის სულის კვნესას რომ ესადაგება.**

თუმცაღა ამ ბოლო ჟამს, ერთობ მცირე დროის მონაკვეთში, კითხვის ინტონაცია შეიცვალა და შესაბამისად — შინაარსობრივი ნიუანსიც: თუ დასაწყისში ის გვაუწყებდა შეშფოთებას ქვეყნისა და ერის მომავლისა გამო, მაგრამ ამ წუხილს იმედის ნაპერწკალი მაინც სდევდა, შემდგომში მას იუმორის ელფერი დაჰკრავდა და ამგვარად იკითხებოდა: მე კი გეკითხები, მაგრამ შენ ვერას მეტყვი ისეთს, რომ სიმშვიდე მომგვარო. მოგვიანებით იუმორს სარკაზმი ჩაენაცვლა, რომელსაც ასაზრდოებდა წინასწარი გააზრება იმისა, რომ კითხვა უპასუხოდ დარჩებოდა... ბოლოს კი ეს კითხვა სრული უიმედობის, უნუგეშობისა და ღრმა პესიმიზმის გამომხატველი გახდა; როცა ქართველმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, უსაშველობის მორევში ჩაეფლო, აქედან თავის დახსნის იმედი დაკარგა და მან (კითხვამ) სასხვათაშორისო ხასიათი შეიძინა: მე წესისამებრ კი გეკითხები, მაგრამ შენი პასუხი არ მაინტერესებს, რადგან თავადაც კარგად ვიცი, რომ არაფერი გვეშველება!..

დიახ, **დღეს საზოგადოების უდიდეს ნაწილს, რომელსაც არ აკლია ქვეყნის სიყვარული და განსჯის უნარი, უიმედობის სენი შეეყარა და ეს არც არის გასაკვირი: როდესაც ცისფერი ეკრანებიდან მკვლელები ადამიანის სიყვარულს გვასწავლიან, უზნეონი — ზნეობას, ბიუჯეტის ბეღელში გასუქებული ვირთხები პატიოსნებაზე გვესაუბრებიან, ადამიანთა მწამებელნ-ნამუსამხდელნი ჰუმანურობას გვიხსნიან და სისხლიანი ჯალათები დემოკრატიასა და თავისუფლებაზე ლაყბობენ, ხოლო პატიოსან და მართლაც ქვეყნისმოყვარე ხალხს სიტყვის თქმას არ აცლიან და ამ ნაციონალი მაიმუნების ყელყელაობას უნდა უმზირო, როცა ამ გაცხოველებულ არსებათა მანჭვა-გრეხას „ცივილიზებული“ დასავლეთი და ჩვენი „მეგობარი“ ამერიკა აღტყინებული ტაშს უკრავს, რაც მავან „მამულიშვილს“ ერთობ ახარებს კიდეც, ადვილი გასაგებია, სად იღებს სათავეს ქართველი ხალხის უიმედობისა და უსასოობის ფესვები.** საგანგაშო სწორედ ის არის, რომ **დღევანდელი რეალობის, ვიტყოდი, ადეკვატური განცდა, რომლის უკუგდება და ოპტიმისტური განწყობით ჩანაცვლება ერთობ ძნელია და თითქოს შეუძლებელიც, არის ყველაზე დიდი, თავზარდამცემი საშიშროება, რაც საბოლოოდ აღასრულებს და დააგვირგვინებს ჩვენი შინაური თუ გარეშე მტრის დიდი ხნის ქვებუდანურ განზრახვას — დედამიწის პირიდან აღიგავოს ქართველი ერი!..**

შეიძლება ითქვას, ეს არის უძველესი და „მხცოვანი“ ერის ცხოვრების ის ბოლო საფეხური, როცა ბრძოლაში დაჭრილი და მოქანცული, იმედწარკვეთილი ველარ იბრძვის, სიკვდილს ეგუება და მას მშვიდად ელის... უკეთეს შემთხვევაში სხვათა თუ ოდენ უფლის იმედად რჩება. „წყალობა ღვთისა კარგია, — წერდა ილია, — მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თვითონ ადამიანი არ ჰრწყავს, არ სხლავს, არ ჰფურჩქნის, არ უვლის, არ პატრონობს“. ოდენ სხვის იმედად ყოფნა სიკეთეს რომ არ მოუტანს ერს, ეს ხომ ცხადია და ამის მრავალი მაგალითიც შემოუნახავს მსოფლიო ისტორიას.

ახლა, ყოველგვარი ემოციისა და რიტორიკის გარეშე ვკითხულობ: **მაშ, როგორღა მოვიქცეთ, ქართველებო?! დავრჩეთ სხვისი ხელის შემყურედ, დავყაროთ ფარ-ხმალი, შევეგუოთ ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლოს სიკვდილს, რასაც ქართველობის და შესაბამისად ყველა ჩვენგანის და ჩვენი შთამომავლობის ფიზიკური და სულიერი განადგურება მოჰყვება, თუ კვლავაც ხელი გამოვიღოთ და ძველებურად შემოვძახოთ: ქართველო, ხელი ხმალს იკარ!..**

მავანი, ქართველობასა და ქართველი ერის გენზე ცინიკურად მოქირქილე ირონიით გადმოგვხედავს: რაღა დროს ხმლის ქნევააო? მართალიც იქნება! დღეს ხმალზე უფრორე ვარგისი გონიერება და გამჭრიახობაა, რადგანაც ქართველი ერის გადარჩენა, ვინაობის შენარჩუნება ჩვენ ქცევაზე, გარჯასა და მოხერხებულობაზეა უფრორე დამოკიდებული. ჰოდა, ჩვენც გავისარჯოთ, გონება მოვიშველიოთ, ღირსებას ნუ დავკარგავთ და სხვისი ხელის შემყურედ ნუ ვიქცევით. ნუ დავიწყებთ დიდი ილიას ბრძნულ შეგონებას: „**ჩვენ გარეშე ჩვენი ხსნა სიზმარია**“(!) და, თუკი ამ თეზისს ჩვენი ცხოვრების პრინციპად ვაღიარებთ, იქნებ ძილქუშს თავი დავაღწიოთ, „სიბერე“ და „მოქანცულობა“ დავივიწყოთ და ქართველთათვის ჩვეული უტეხობით დავირაზმოთ ერის ხსნისათვის.

ამ ღვთითკურთხეული მისიის აღსასრულებლად კი ფაციფუცი და ვიშვიში არ გვმართებს, არც ახალი „ველოსიპედის“ გამოგონება გვჭირდება, უბრალოდ, **დიდი ილიას ნააზრევი, ნაანდერძევი უნდა გავიხსენოთ, რომელშიც საოცარი გამჭრიახობითა და შორსმჭვრეტელობით, სისადავითა და სიღრმით არის ჩამოყალიბებული ის რეცეპტი, მომაკვდავი ერის გამკურნავ უებარ წამალს რომ გვთავაზობს.**

სამწუხაროდ, როგორც ახალ აღთქმაშია გაცხადებული, „არა არს წინასწარმეტყველი შეურაცხ, გარნა სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა“ (მათე, 13.57), ჩვენი დიდი მოძღვრის, ილიას ნააზრევიც, მიუხედავად მისი საყოველთაო სიტყვიერი აღიარებისა, მაინც მოღვაწე პოლიტიკოსთა ყურადღების მიღმა რჩება. არადა, **თუკი ვინმეს სწადია ქართველი ერისა და სახელმწიფოს გადარჩენა, ილიასეული ანდერძი უნდა ჰქონდეს თვალწინ და მას გზამკვლევად იყენებდეს ამ ერთობ ძნელად სავალ ბილიკზე.**

ბ) რას შეგვაგონებდა ილია

ილია ერის სიცოცხლეს დროის სამ განზომილებაში განიხილავს. მას გათავისებული აქვს ლაიბნიცის აქსიომა, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ამიტომ ერის მოძღვარი ამ მარადიულ პრობლემას ზოგადსაკაცობრიო დონეზე კითხვის ფორმით წარმოაჩენს: რანი ვართ, რანი ვიყავით და რანი ვიქნებით?!

მართლაცდა, ჭეშმარიტებაა, რომ დროის ამ სამი ასპექტით უტყუარად დგინდება ერის, როგორც ცოცხალი, მთლიანი ორგანიზმის მდგომარეობა, მისი სიჯანსაღე თუ დაავადება, მეტიც, მისი თვისობრიობა, ხასიათი, სულიერი სიმტკიცე, ზნეობრივი ავკარგიანობა და ისიც, თუ რა ამოძრავებს, რისკენ ილტვის და რა არის მისი მოწოდება. მოკლედ, **ერის ვინაობა ისე, ვითარცა ადამიანის ბუნებისა, ჭეშმარიტად რომ გავიგოთ, ამისათვის საჭიროა ის დროის სამ განზომილებაში: წარსულში, აწმყოსა და მომავალში განვიხილოთ და გავისიგრძეგანოთ, რადგანაც ეს სამი განზომილება საბოლოოდ გვაძლევს მთლიან სურათს, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ერის მომავალს, მის ყოფნა-არყოფნას.**

ილიას, უპირველეს ყოვლისა, ადარდებდა მისი დროინდელი საქართველოს ერთობ სავალალო მდგომარეობა: უმეცრება და უზნეობა სუფევდა ირგვლივ... დახშულ ჰაერში სული უგუბდებოდა ქართველს... გონებით დალაბრებულიყო, გრძნობით — მოცვეთილი. მოკლედ, ვინაობას კარგავდა ერი, ის კი ძილქუშს მისცემოდა (ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?). საჭირო იყო ერის გამოფხიზლება; ამიტომაც იგი იწყებს ქართველი საზოგადოების მხილებას და დაუნდობელ კრიტიკას (ჩვენისთან ბედნიერი განა არის სადმე ერი?!). თანდათან უფრორე მწვავედ იკვეთებოდა ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა — დაწყებული იყო ქართველთა გადაგვარების პროცესი, რის მთავარ მიზეზებად ის მიიჩნევდა:

ა) ქართველებმა დავკარგეთ ზოგადობის აღქმა, **„მე“-ს უფრო მაღლა ვაყენებთ, ვიდრე „ჩვენ“-ს...**

ბ) დაგვიბლაგვდა მამულის სიყვარული და განცდა: მამულის ცნებას, ღვთიურობის სხივით რომ იყო გასხივოსნებული, გამოეცალა ოდინდელი მნიშვნელობა და „ქონდრისკაცის“ ტვინით შემოიფარგლა, რომელსაც მამულის ხსენებაზე „თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგებოდა“, „მამულისათვის ბრძოლა“ „სასამართლოში შეტანილი სარჩელი“ ეგონა, „მამულის სიმაგრედ“ „ტყრუშულ ღობეს“ მიიჩნევდა, ხოლო „მამულის პატივს“

ნეხვად აღიქვამდა...

გ) ამას მოჰყვა **საქართველოს „კუთხეებად“ დაყოფა**, ერთობის იდეა გაუჩინარდა, ერს „საერთო ნიადაგი“ გამოეცალა და საერთო ენასაც ვეღარ პოულობდა...

დ) საგანგაშო მაინც ის იყო, რომ **ქართველმა თავისი ისტორიული წარსული დაივიწყა**, რაც, ილიას აზრით, არის მიზეზი „ერის პირქვე დამხობისა... გათახსირებისა, გაწყალებისა“... „დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულითა და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია.“ ამიტომაც, დიდი მოძღვრის აზრით, გმირული წარსულის გახსენება და გათავისება უცილობლად საჭიროა, რათა ერი ძილქუშიდან გამოფხიზლდეს, ჭირშეყრილი აწმყო გამოაჯანსაღოს. მეტიც, ერი მხოლოდ ამ გზით შეძლებს თავისთავთან დაბრუნებას და დაკარგული ვინაობის აღდგენას.

ე) ილიას თვალთახედვით, „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა“. **ერის სულიერი დაკნინება ასევე იწყება ენის დაცემა-მივიწყებით,** რადგანაც ენა ეროვნულობის საფუძვლის ის ბურჯია, რომელიც ქმნის ცნობიერებისა და სულიერების ერთობის განცდას და აკავშირებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

ვ) აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ილიას ცნობილი ტრიადის მესამე ცნება — **ჩვენი რწმენა მართლმადიდებლობა.** ქართველმა ამ რჯულს შეუერთა ის, „რაც კი რომ ძვირფასია ადამიანისთვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედ-მოსულთათვის“... „ერმა წინ წაიმძღვარა ეს სამება, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნარჩუნა და ქართველობაცა“.

ახლა დროებით შევწყვიტოთ ილიასეული შეგონებანი ერის ვინაობის გადარჩენის თაობაზე და **მცირე რემარკას მივმართოთ, რათა მკითხველმა ცხადად გაიაზროს, როგორ „ერთგულად“ იცავდნენ „პატრიოტი ნაციონალები“ და მათი შეუცვლელი ბელადი „მაგარი მიშა“ ილიას ანდერძს**.

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ **წინა ხელისუფლების იდეური მამანი გასაოცარ „ცოდნას“ ავლენდნენ იმ დიაგნოზისა, რომელიც დიდმა ილიამ გამოუტანა დაავადებულ საქართველოს.** არ მგონია, რომ ისინი ღრმად ჩახედულნი იყვნენ მწერლის იდეურ სამყაროში. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ მათ ზერელე წარმოდგენაც არა აქვთ ილიასეულ მოძღვრებაზე. მაშ, როგორღა ეხმიანებიან ასე უცდომლად ერის მამის ნაანდერძევს და ხელებდაკაპიწებული მთელის ძალით ანგრევენ ერის ვინაობის იმ საძირკველს, რომელიც ქართველმა ხალხმა გადგა და ილიამ მისთვის ჩვეული ღრმა აზრით და შორსმჭვრეტელობით ჩაადუღაბა.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ **ახალი მსოფლიოს არქიტექტორებმა ნაცებს და მათ შეუცვლელ ბელადს გონებაში ჩაუნერგეს ბრძოლის საყოველთაოდ ცნობილი, თუმცა მარტივი პრინციპი: ის, რაც ერის ვინაობას იცავს, უნდა მოისპოს.** სხვაგვარად, განმკურნავი წამლები შხამით უნდა შეიცვალოს, სასუნთქი საშუალებები, სიცოცხლის მკვებავი არხები უნდა გადაიკეტოს. ამის შესაბამისად, დაუწერეს გეგმა, რომელიც ქართველი ერის განადგურებას ისახავდა მიზნად. ასე რომ, ზოგადად შედეგიც მიზნის შესატყვისი მივიღეთ: ერის განკურნების ილიასეული დიაგნოზი ანტიდიაგნოზმა შეცვალა. მეტიც, **გაავრცელეს უკურნებელი სენი, რომელიც ქართველი ერის ხერხემალს ხრავს.**

ამჯამად საქართველო უარეს დღეში რომ არის, ვიდრე ილიას ჟამს იყო, ეს ყველასთვის, ვისაც ჯანსაღი აზროვნების უნარი შერჩენია, ცხადია. მაგრამ **ქართველთა უმეტეს ნაწილს ტვინი გამოურეცხეს, გონება და გრძნობა დაუჩლუნგეს, უფსკრულის პირას დააყენეს, ერთი ნაბიჯიღა**

დარჩენია, რომ არარაობაში ჩაინთქას, ერს სიკვდილი ნება-ნება უახლოვდება, ქართველები კი ძილქუშს მივცემივართ, ვირტუალურ ნეტარებაში ჩავძირულვართ, არ გვსურს რეალობას თვალი გავუსწოროთ: ა) სამშობლოზე მაღლა საკუთარ „მე“-ს ვაყენებთ, თანამემამულეთა კვნესა არ გვესმის, გულარხეინად ვუმზერთ და მშვიდად აღვიქვამთ: როგორ დაგვაკარგინეს მამულის სიყვარული; როგორ გვაქციეს „ქონდრისკაცებად“, საკუთარი სახლის ორღობის იქით რომ ვეღარ ვიხედებით; როგორ ჩაგვიკლეს ერთობის იდეა, „საერთო ნიადაგი“ გამოგვაცალეს, კუთხური შოვინიზმი შეგვყარეს; დაგვავიწყეს ერის ისტორია, გონებიდან ამოგვიშალეს ჩვენი წინაპრების გმირობა და თავდადება; დაგვინგრიეს ისტორიული ძეგლები...

ბ) წაგვიბილწეს და გაგვიუპატიურეს ენა, ბურჯი ჩვენი სულიერი თუ ფიზიკური ერთობისა; **ყოველმხრივ უტევენ და განადგურება სწადიათ ჩვენი რწმენისა — მართლადიდებლობის, რომელიც ჩვენი ეროვნების ხმლად და ფარად გვევლინებოდა...** ერთი სიტყვით, ეს ჩვენი „ღვაწლმოსილი“ პოლიტიკოს-ალამდარები ძალას და ენერგიას არ იშურებდნენ, რომ ქართული სახელმწიფოს საძირკველშივე დაენგრიათ და ქართველი ერის სიმტკიცისათვის დვრიტა გამოეცალათ! ჩვენ კი, უკეთეს შემთხვევაში, დუმილს ვირჩევდით!

მაგრამ ახლა ისევ მივუბრუნდეთ ილიას ანდერძს და კვლავაც გავიხსენოთ, თუ რა აწუხებდა მამულიშვილის გულს და გონებას. **გ) დაგვავიწყეს ქართულ ტრადიციებზე აღმოცენებული მარადიული მორალური ცნებები**, იმგვარი ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ცხოვრებას საძირკვლად უდევს... ამ კანონის პრინციპი ის არის, რომ „რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებ“. სამწუხაროდ, ამ წესს ყოველთვის როდი იცავს ადამიანი, რომელიც ვერ გარკვეულა, რა არის ცოდვა და რა — მადლი, რა არის კეთილი და რა — ბოროტი? ამიტომაც ილია შეგვახსენებდა, რომ ყოველგვარ მატერიალურსა და ნივთიერზე გაცილებით მაღლა დგას ნამუსი და პატიოსნება, „რომლისთვისაც არაერთ ადამიანს გაუწირავს თავისი სიცოცხლე“. **მთავარი მორალური კატეგორია ილიასათვის მაინც იყო ღირსება, რომლის გარეშეც არც კაცი ვარგა და არც ერი და რომელიც არის ეროვნულობის ძირისძირი.** ამიტომაც მას ღირსების დაცვა „ყოვლის მოვალეობად მიაჩნია“, ხოლო მისი წარხოცვა — ინდივიდუმის თუ ერის გაჩანაგების დასაბამად.

დ) ილია ერთგვარ განცვიფრებას გამოხატავდა ქართველი ხალხის გადარჩენის თაობაზე, რომელიც ორი ათასი წელი იბრძოდა, სისხლს ღვრიდა. უკვირდა, თუ **როგორ შეძლო ამგვარი გოლიათობა ქართველმა მკლავმა და გულმა; ანდა რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას?** რა ჰკვებავდა ხალხს, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებს და სისხლისღვრას? როგორ აუდიოდა ყოველივე ამას „ეს ერთი მუჭა ხალხი“, რომელიც „ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო“... ამის უპირველეს საბაბად ის მიიჩნევს „**საქართველოს ეკონომიკურ აგებულებას და წყობას“, რომელიც ეფუძნებოდა „საკომლო“ და „სასოფლო-სათემო“ სტრუქტურულ აღნაგს.** ამასთანავე, ის ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საყრდენად რაცხდა ოქროსა და ხმალს. ერთს შეეძლო ქვეყნის დაპყრობა და ნადავლის მოპოვება, მეორეს — ყველაფრის ყიდვა. მაგრამ **ძირითად და უმთავრეს საშუალებად მაინც თვლიდა მიწას და „უწყინარს, ტანად მრუდს, მაგრამ გულით მართალ“ გუთანს.** ამიტომაც ის შეგვაგონებდა: „უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე — მიწა და გუთანია. ვისაც ეს ორი საგანი შერჩენია, შეუძლია თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს საღღეისოდ და სამემრისოდ, სხვა ყველაფერი ფუჭი და წარმავალია“, რადგანაც ეს სხვა ვერც ერის ვინაობის საფუძვლად გამოდგება და ვერც ერთი ჯიშის, ერთი სისხლისა და ხორცის ადამიანთ ერთად თავს ვერ მოუყრის. სწორედ ამიტომაც **მას უპატიებელ ცოდვად და დანაშაულად მიაჩნდა ქართული მიწის უცხოელზე გაყიდვა, რაც ამ უკანასკნელს იქაურობის ბატონად ხდიდა**. ილიას სწამდა და ჩვენც გვმოძღვრავდა, როგორც არ გაიყიდება დედა, ისე არ გაიყიდება დედამიწაო და მას, ვინც ამას იზამდა, ერის მსჯავრი შეჩვენებისა არ ასცდებოდა!..

ე) კიდევ რაში ხედავს ილია ქართველი ხალხის გადარჩენას? ეს არის **საკუთარი თავის იმედობა და არა სხვათა იმედზე ყოფნა**, რაც მუდმივ გარჯას მოითხოვდა: „დღევანდელ ცხოვრებაში — სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიკურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე დაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის, მისი მანძილი გაიაhროს ცხოვრებაში... ასეთი ერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირსზეით ასცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს“.

ვ) ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასევე ქართული **ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას და დაცვას**. მას არ ავიწყდებოდა ის ჭეშმარიტებაც, რომ ცხოვრება ვითარდება და მხოლოდ წარსულისკენ მზერა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა. საჭირო იყო რეფორმების განხორციელება და ახალი დროის შესაბამისად კანონების მიღება. მაგრამ სიახლის დამკვიდრების პროცესისას, უნდა ყოფილიყო აუცილებლად გათვალისწინებული ჩვენი ერის ტრადიციები, ადათ-წესები და ჩვეულებანი, რაც არის „ხალხისგან მამა-პაპათა აღიარებული სიმართლე“. ახა-

ლი იდეები, თუ არ ეფუძნება ეროვნულ მემკვიდრეობას და ეროვნულ თავისებურებებს, ჰაერში გამოკიდებული რჩება. უცხოეთიდან გადმოღებული ყოველგვარი იდეა თუ აზრი ერმა უნდა გაითავისოს და თავისი ბუნების შესაბამისად გადახარშოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება „ცარიელი მაიმუნობა, სხვის ფეხის ხმაზე ბრმად აყოლა“, ეს იქნება მონობა და „ტყვეობა“ და არა „თავისუფლება და თვით მოქმედება გონებისა, რომელიც ერთადერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა“.

ისევ რემარკას უნდა მივმართო. დიდად არ არის გასაკვირი, რომ ამჯერადაც ილიასეული თეზისების ანტითეზურ ფონს და ქმედებას ვაწყდებით. **ზ) ქართველებს დაავიწყეს „ქართულ ტრადიციებზე“ აღმოცენებული მორალურ-ზნეობრივი კანონი. მეტიც, დამანგრეველი ურჩხული მანქანა, აგიტაციის ყოველგვარ საშუალებას რომ შეიცავს, აამოქმედეს: ფიზიკურად და სულიერად რყვნიან ჩვენ თანამემამულეებს, ადამიანები გააცხოველეს, დაავიწყეს სინდის-ნამუსი და პატიოსნება, რომელიც გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე მატერიალურ-ნივთიერი კეთილდღეობა. ხალხი შეგნებულად დაამშიეს და სულიერება ლარზე გააყიდინეს.** ერთი სიტყვით, ღირსება ჩაუკლეს, რომლის დაცვაც მათ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ და მისი გადარჩენისთვის თავს სწირავდნენ, რადგანაც სწამდათ, რომ ზნეობისა და ღირსების წარხოცვით, იწყებოდა ერისა და ინდივიდის განადგურება. ჩვენმა გარმიანელმა „პარტნიორებმა და მეგობრებმა“, იმდენი მოახერხეს, რომ მოშალეს ქართული ეკონომიკა, ქართველს დაავიწყეს ოქროსა და ხმლის ყადრი და, რაც მთავარია, **ხელი ააღებინეს მიწასა და გუთანზე, რომელიც არის ჩვენი სამკვიდროს და ვინაობის საფუძვლის ერთადერთი გადამრჩენი, ჩვენი ეროვნების, ჩვენი ჯიშისა, ჩვენი სისხლისა და ხორცის ადამიანთა ერთად თავის მომყრელი**. ამ „კეთილმოსურნეებმა“ მიწა გაგვინიავეს, გაასხვისეს და ისიც მოახერხეს, რომ გარჯა და შრომა შეგვაჯავრეს. ყოველივე ამის შედეგად კი, საკუთარი თავის იმედი დაგვაკარგვინეს და **სხვისი ხელის შემყურე გაგვხადეს**, რა არის, ლუკმა გაუვარდეს და ჩვენ ვწვდეთო. მოკლედ, **ნასუფრალი ლუკმის მაძიებლად გვაქციეს. ეს ყოველივე ხომ ჩვენი „მეგობარი ქვეყნების“ ფინანსური მაქინაციებისა თუ შორს მიმავალი აუგი პოლიტიკური ზრახვების ნაყოფია**. რა, რა და, ამ უკანასკნელთ კარგად გაცნობიერებული აქვთ, რომ სხვისი შემყურე ერი შორ მანძილს ვერ გაივლის და საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე სათანადო ადგილსაც ვერ დაიჭერს. ილიას ისიც ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ახალი დროის შესატყვისი კანონების მიღება და რეფორმების ჩატარება საჭირო იყო. მაგრამ, მისი ღრმა რწმენით, **ახალი იდეები და კანონები უნდა მიგვეღო ჩვენი ადათ-წესებისა და ტრადიციების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ე.წ. რეფორმა ფუჭი და არაფრის მომტანი იქნებოდა.** სამწუხაროდ, **თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ ბოლო ხანებში ჩატარებულ რეფორმებს თუ მიღებულ კანონებს — თითქმის ყველა სფეროში, დაწყებული განათლებით და დამთავრებული სამხედრო დარგით, ეს არის ბრმა მიმბაძველობა, თავისთავად აზრს მოკლებული, რაც სხვა არაფერია, თუ არა „მაიმუნობა“, ქვეყნისთვის ზიანის მეტი რომ არაფერი მოაქვს!**

ერის გადარჩენის ილიასეული კიდევ მრავალი საყურადღებო თეზისი შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა. ამიტომაც ვფიქრობ, **ზემორე თქმულიც საკმარისია, რომ მკითხველმა ნათლად შეიცნოს, თუ რას იქმოდნენ ილიას სახელს ამოფარებული ეს „ნაციონალი პატრიოტები“, რომლებიც ვერბალურად, ხალხის გასაბრიყვებლად ილიას ხოტბას ასხამდნენ, მაგრამ საქმით ანგრევდნენ იმ ვინაობის საძირკველს, ერის მამამ რომ ჩააგვირისტა.** საგულისხმო სწორედ ის არის, რომ ეროვნული იდეოლოგია, ერის ვინაობის საფუძველთა საფუძველი, ქართველობის ყოფნა-არყოფნის პრობლემაა და მისი შემაშფოთებელი მომავალი, რომელიც ილიამ თავის დროზე განჭვრიტა და მისი გადარჩენის გზა ჩვეული სიღრმითა და სისრულით დაგვიხატა, დღეს უფრორე აქტუალური და გასათვალისწინებელია. სწორედ ამიტომაც **გლობალისტი „მიხუინები“ ყელის ჩახლეჩამდე უყეფენ, ებრძვიან მის გრანდიოზულ ფიგურას და მისი ნაზრევის, რომელიც დაკოდილი ეროვნული სულის უებარი წამალი და მალამოა, დავიწყება და წაშლა სწადიათ**. მთავარი მაინც ის არის, რომ ანტიეროვნულმა ტენდენციამ თუ ბრძოლამ სისტემური ხასიათი მიიღო და ზოგადად დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური იდეოლოგიის, რომელიც მასონურ, ნეოლიბერალურ წრეებში ჩამოყალიბდა, შემადგენელი და, ვიტყოდი, ძირითადი ნაწილი გახდა.

გ) ახალი მსოფლიოს არქიტექტორთა ზრახვანი

თუ მსოფლიოს ისტორიას თვალს გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ დედამიწა გადაქცეული იყო გაუთავებელი ომების ასპარეზად... ეს ბრძოლის ყიჟინი ათასწლეულების განმავლობაში ისმოდა ისტორიის ფურცლებიდან...

დღევანდელობაც აგრესიული თავდასხმებისა და სისხლისღვრის არაერთ ფაქტს იცნობს, მაგრამ ქვეყნების დაპყრობამ თუ, როგორც დღეს უხმობენ: **„ტერიტორიების გადანაწილებამ“ მიიღო უფრო შეფარული და „მშვიდობიანი“ ხასიათი: მიზანი უცვლელია — ქვეყნის დაპყრობა და მასზე გაბატონება, ოღონდაც მეთოდი, ანუ გზა ამ მიზნის მისაღწევად „გაკეთილშობილებულია“.**

სხვაგვარად, **დამპყრობელი ქვეყანა ცეცხლითა და მახვილით კი არ გაწიოკებს (თუმცა ეს გზაც სავსებით უარყოფილი არ არის), არამედ დემოკრატიის ნიღაბმორგებული, ნუგბარით ხელდამშვენებული, თავისუფლების ლოზუნგებით, დახურული სივრცის ბნელეთისგან შენს დასახსნელად და თავისუფლების ბაღნარის ასაყვავებლად მოდის თითქოს და ამას გამადლის კიდეც.** ეს გახლავთ სიმუხთლითა და გაუგონარი სიყალბით გაჯერებული გზა, გაწაფული რეჟისორების დადგმული ფარსი, რომელიც მიმართულია გულუბრყვილო ხალხის გასაბრიყვებლად, კრიტიკულად განწყობილი ადამიანების თვალსაზრისების გასაბათილებლად და ე.წ. მოწინავე მსოფლიო საზოგადოების თვალის ასახვევად. **ქვეყნების დაპყრობის მსგავსი მეთოდი გაცილებით უფრო ვერაგული, გაიძვერული და საშიშია, ვიდრე ცეცხლითა და მახვილით თავდასხმა, რადგანაც მახვილით შემოჭრილს, მტრად მოსეულ მტერს შემართული მახვილითვე ხვდებოდა ჩვენი წინაპარი და საკადრის პასუხსაც სცემდა.** მაგრამ **დღეს, როცა „დემოკრატიის ყვავილების თაიგულს“ ლამის ცხვირში გვტენიან, ედემის ბაღნარს აღგვითქვამენ და ათასგვარი ცრუ დაპირებით თავბრუს გვახვევენ, საზოგადოების დიდ, ვიტყოდი, ტვინგამორეცხილ ნაწილს უძნელდება შეიცნოს ის თავზარდამცემი რეალობა, რომელიც გადაშენებას და დედამიწის პირიდან წარხოცვას გვიქადის.**

ისევ ილია უნდა გავიხსენოთ, რომელიც ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდა ამგვარი საფრთხის თაობაზე: „ამგვარი გაჭირვებული დრო დგება ქვეყნისათვის ან მაშინ, როცა მტერი შემოესევა ქვეყანას, აოხრებს მას და გრიგალივით მუსრს ავლებს ყოველსავეს, რაც დიდი შრომითა და ჯაფით შეძენილი და მოხვეჭილია ყოფილი მკვიდრი ერისაგან ან კიდევ მაშინ, როცა მტერი იდუმალად შემოსულა და არა გარეგანის ძალით, ფიზიკური ღონით დაუძლევს მკვიდრი ერი, არა ცეცხლითა და იარაღით ამოუწვავს ადგილობრივი კულტურა და გაუმეფებია თავისი მის მაგივრად, არამედ, როცა მშვიდობიანად დამყარებულა ქვეყანაში, მიუღია ყოველგვარი აღმატებული უფლებრივი და ეკონომიკური უპირატესობა აღმოსაფხვრელად ადგილობრივი კულტურისა, ჭკუა-გონების მოღვაწეობისა, ეკონომიკურის და პოლიტიკურის დამოუკიდებლობისა“...

ილიას ამ სიტყვებმა, ლაგამაწყვეტილი გლობალიზაციის პერიოდში, როცა ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი არის პლანეტარული იმპერიის შექმნა და ამის მისაღწევად არაფერზე უკან არ იხევს, განგაშის ზარის ჟღერადობა შეიძინა და, თუკი ქართველები დროულად გონს არ მოვეგებით, მოგვიწევს ჩვენი ერის სამგლოვიარო პანაშვიდზე დგომა და ათასი ჯურის ნამუსგარეცხილი პოლიტიკოსისგან სამძიმრის მოსმენა...

უკვე კარგა ხანია, აშშ იბრძვის პლანეტარული იმპერიის შესაქმნელად, მსოფლიოს ხელში ჩასაგდებად და ერთპიროვნული მბრძანებლის ტახტზე წამოსაჯდომად. პრეტენზია იმისა, რომ ისინი მთელი ამერიკის კონტინენტის ბატონ-პატრონი იყვნენ, ჯერ კიდევ ჯემს მონრომ წარმოაჩინა (1823 წ.). ეს კიდევ რამდენადმე მოსათმენი იყო. მაგრამ მოგვიანებით **ამერიკელები გაკადნიერდნენ და მთელი კაცობრიობის მხსნელის ფუნქცია დაიბრალეს: „ჩვენ, ამერიკელები — უკანასკნელი იმედი ვართ მთელი კაცობრიობის“-ო — ლინკოლნის ამ ფრთიან ფრაზას თუ გავიხსენებთ, მაშინ ნათელი გახდება, რა ამოძრავებდა და რა ამოძრავებს დღესაც მათ: მთელი მსოფლიოს და მთელი კაცობრიობის ერთპიროვნული გამგებლობა. ამის დასტურია თუნდაც ვუდროფ ვილსონის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ამერიკული ფასეულობანი — დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი და მშვიდობა — გამოცხადდა ზოგადსაკაცობრიო და უნივერსალურ ღირებულებებად, უგუნურ კაცობრიობას რომ უნდა „მოახვიოს“ თავს აშშ-მა.** მოკლედ, **ამერიკელების „რჩეულობის“ დოქტრინამ, რომელიც „სიონის ბრძენთა“ თვალთახედვის იდენტური იყო, მიიღო რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათი და ისინი ამ იდეის მსოფლიოში გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად ყოველგვარ — ეკონომიკურ, პოლიტიკურ, მორალურ თუ ძალადობრივ ხერხს თუ საშუალებას მიმართავდნენ და მიმართავენ დღესაც.** ამ ხერხთაგან უმეტესობა საკაცობრიო მნიშვნელობის ბოროტმოქმედებაა: **გავიხსენოთ თუნდაც იაპონიის ქალაქების: ხიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიანი მოსახლეობის ატომური ბომბებით ამოჟლეტვა, რის თაობაზეც რატომღაც საუბარს ერიდება მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე საზოგადოება. საკუთარი ძალის წარმოსაჩენად და მსოფლიოს შესაშინებლად ატომური ბომბის ჩამოგდება, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ზეთავხედური ცინიზმი და გაუგონარი კაცთმოძულეობა იყო...**

მაგრამ ამერიკის კადნიერება და მალული თუ გაცხადებული დანაშაულებანი ამით როდი ამოიწურება?! აი, ზოგიერთი მათგანი: **პანამაზე თავდასხმა** (1989.20.XII), ხუთი ათასი მშვიდობიანი ადამიანის ამოხოცვა, იქაურობის ნაცარტუტად ქცევა, **გენერალი ნორიეგას დაპატიმრება** და გასამართლება, რომლის დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ უყვარდა თავისი ხალხი და პრინციპული მოღვაწე იყო... ამ ტიპის მოღვაწეებს არა მხოლოდ აპატიმრებდნენ, არამედ ფიზიკურად ანადგურებდნენ. რომელი ერთი გავიხსენოთ: იტალიის პრემიერ-მინისტრი **ალდო მორო**, ეკვადორის პრეზიდენტი **ხაიმე როლდოსი**, პაკისტანის პრეზიდენტი ალი ბჰუტო, გენე-

რალი ულ-ჰაკი, გენერალი **ომარ ტორიხოსი, სადამ ჰუსეინი, მილოშევიჩი, კადაფი...**

არ უნდა დაგვავიწყდეს „დემოკრატიის გავრცელების“ მიზნით ამერიკის სამხედრო ექსპანსიები (ვიეტნამი, ავღანეთი, იუგოსლავია, ერაყი (ორგზის), ლიბანი და სხვ.) და მათ მიერ მართული ფერადი რევოლუციებიც (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უკრაინა, საქართველო და სხვ.), რომელთა ხელდასხმა და განხორციელება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: აშშ-ისთვის არასასურველი ხელისუფლებისა და წყობილების დამხობას და მათ ნაცვლად მისთვის სასურველ ხელისუფალთა აღზევებასა და რეჟიმის დამკვიდრებას.

ყოველივე ზემორე თქმული ნათლად წარმოაჩენს აშშ-ის პრეტენზიას, გახდეს სრულიად მსოფლიოს „მაყურებელი“. თვალში საცემია, რომ იგი თავისი მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევს. თუმცაღა, **ბოლო ხანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის „მშვიდობიან ექსპანსიას“ ამჯობინებს და ბრძოლის იარაღად იყენებს ეკონომიკურ და ფინანსურ მაქინაციებს, რომელთა საშუალებით იპყრობს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და განსაკუთრებით კი განათლების და კულტურის სივრცეებს და ამ გზით მისი ფიზიკურ და სულიერ მოშთობას ცდილობს. საბოლოო მიზანი ამგვარი შეტევისა არის ადამიანის მენტალიტეტისა და აზროვნების სტრუქტურის შეცვლა, რასაც ის წარმატებით აგვირგვინებს „ცნობიერების შტურმის“ მეშვეობით**. მოკლედ, **ეს არის სრულიად მსოფლიო ხალხების ერთ ვეება ქვაბში გადახარშვა, როცა ადამიანი ივიწყებს საკუთარ თავსაც და ერის ვინაობასაც, კარგავს კრიტიკული აზროვნების უნარს, უარს ამბობს ტრადიციებზე, ზნეობასა და რელიგიაზე, სულიერად იფიტება და ნებაწაგვრილი სხვისი ბრძანების მორჩილი აღმსრულებელი ხდება.** უკეთეს შემთხვევაში, ეს არის მექანიზმი ყველა რჯულის ადამიანის გაამერიკელებისა და მის თარგზე მორგებისა.

ამერიკა მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდისა და სხვა დიდი ფინანსური სინდიკატების მაქინაციებით, რომლის განმხორციელებლად გვევლინებიან „ეკონომიკური მკვლელები“, აიძულებს ქვეყნებს, აიღონ დიდი სესხები ენერგეტიკის წარმოებისათვის, ჩქაროსნული მაგისტრალების, პორტების, აეროდრომების ასაშენებლად და მერე ყოველნაირად ცდილობს, რომ ქვეყნებმა ვალი ვერ გადაიხადონ და დეფოლტის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რაც აიძულებთ ამ უკანასკნელთ, ყოველგვარი მოთხოვნა, რომლებსაც იგი წაუყენებს, მორჩილად აღასრულონ. ამგვარი ხერხებით აშშ ეკონომიკურ მარწუხებში აქცევს თავის „მსხვერპლს“ და საბოლოოდ იმონებს მას. ხოლო მოვალე ქვეყნისათვის ეს სესხი მხოლოდ იმის გარანტიაა, **„რომ დღევანდელი ბავშვები და მათი შვილიშვილები მძევლებად იქცევიან. ისინი იძულებულნი იქნებიან, ნება დართონ კორპორაციებს, ძარცვონ ბუნებრივი სიმდიდრეები... უარი თქვან განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დახმარებაზე“ (ჯ. პერკინსი)**.

მოკლედ, დოლარის ილუზორული ბრწყინვალებით, რომელსაც ზურგს მხოლოდ ამერიკული სამხედრო მანქანა უმაგრებს და არა მატერიალურ-ნივთიერი ღირებულება, ამერიკა ახერხებს ამ ქვეყნების ეკონომიკურ დამონებას, რასაც მოჰყვება, როგორც წესი, შეუზღუდავი ბატონობა პოლიტიკურ თუ სულიერ სფეროში.

მაგრამ ახალი **მსოფლიოს არქიტექტორები და სოციალური ინჟინრები იმასაც კარგად აცნობიერებენ, რომ ოდენ ეკონომიკური თუ მატერიალური ბატონობა ვერ განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის მათი სურვილისამებრ სრულად გარდაქმნას და ამ ქვეყნის მოსახლეობის მათ ყაიდაზე გადაჯიშებას.**

ასე რომ, **ისინი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ ამ ქვეყნების სულიერ-კულტურული ყოფისა და ტრადიციული ზნეობრივი მრწამსის გადაკეთებას.**

ეს იოლი საქმე როდია! ამიტომაც, **ბოლო ხანს, შეიძლება ითქვას, ეკონომიკურ ფაქტორზე თუ მეტად არა, არანაკლებად ყურადღებას უთმობენ კულტურისა და განათლების პრობლემებს და ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ, მოსპონ ტრადიციული, უკვე არსებული და მის ნაცვლად დააფუძნონ სულიერი და კულტურული ყოფის ახალი მოდელი.** სწორედ ამის გამო ისინი მიმართავენ „ცნობიერების შტურმს“, რომლის ზეწოლითაც სწადიათ საბოლოოდ ერისა და ადამიანის „აზროვნების სტრუქტურის“ შეცვლა.

„ცნობიერების შტურმი“ წარიმართება წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელიც რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი აზრის ფილტრაცია, ანუ უნდა მოხდეს ადამიანის „ტვინის გამორეცხვა“, რაც გულისხმობს ადამიანის აზროვნების „სწორ“ და „სასურველი მიმართულებით“ წარმართვას. წინ წამოწეულია თეზისი: ის, ვინც ფლობს საზოგადოების აზრის მანიპულირების უჩინარ მექანიზმს, არის უხილავი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის მმართველ ძალას წარმოადგენს“. (ჯ. კოლემანი) ამ, ვიტყოდი, ჭეშმარიტი თეზისის განსახორციელებლად შექმნეს ტვინის გამორეცხვის სპეციალური ცენტრები. ასე, მაგალითად, **ტავისტოკის ინსტიტუტი**, რომელშიც შედიოდა სხვადასხვა პროფილის 30-მდე ინსტიტუტი. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ჰუძონის ინსტიტუტი“, რომელიც აყალიბებდა უბრალო ამერიკელების აღქმას და რეაქციას სხვადასხვა

მოვლენებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდების აღზრდას, მათი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და უფროსი თაობისადმი დამოკიდებულებას, რაც ერთგვარ ცინიკურ ხასიათს ატარებდა. ასევე აღსანიშნავია „სოციალური კვლევის ინსტიტუტი“, რომელიც ადამიანთა გარდასახვის საკითხებს იკვლევდა და მისით... მოკლედ, ამ უზარმაზარმა სამეცნიერო გაერთიანებამ თუ სინდიკატმა ყველაფერი შექმნა იმისათვის, რომ ჩვენ დავინახოთ და აღვიქვათ მხოლოდ ის, რისი დანახვის უფლებასაც გვაძლევენ „პოლისტერები“. ყოველივე ამას კი მოჰყვა სავალალო მდგომარეობა: „ადამიანები ფიქრობენ, რომ ისინი კარგად ინფორმირებულნი არიან. მაგრამ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ აზრი, რომელიც მათ საკუთარი ჰგონიათ, ფაქტობრივად შექმნილია ამერიკის კვლევით ინსტიტუტებსა და ტვინის გამორეცხვის ცენტრებში და არც ერთ ჩვენგანს არ შესწევს უნარი, ჰქონდეს თავისი საკუთარი აზრი იმ ინფორმაციულ ნიაღვარში, თავს რომ გვატეხენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და „პოლისტერები“. (ჯ. კოლემანი)

მეორე ეტაპი ამ შტურმისა არის დაბადება „სპექტაკლის საზოგადოებისა“, რომლის შედეგადაც ადამიანმა დაკარგა საღი და კრიტიკული აზროვნება, მოექცა სოციალურ იზოლაციაში, აღარ ახსოვს თავისი ისტორიული წარსული და არც მომავალზე ოცნებობს... არსებითი მაინც ის არის, რომ ბატონდება „პასუხგაუცემელი სიცრუე“, მისი გამეორების შედეგად კი ქრება საზოგადოებრივი აზრი — ჯერ მას არ შესწევს უნარი, მოისმინოს, მერე კი, ძალიან მალე, მას აღარ შესწევს უნარი აზრის ჩამოყალიბებისა“. (გი დებორი) მოკლედ, **საზოგადოება დარწმუნებულია, რომ უცხო რეჟისორის დადგმული სპექტაკლი, რომელიც ნეტარ და ბედნიერ ცხოვრებას ასახავს, რეალობაა, სინამდვილეს შეესაბამება და ამჯობინებს ამ წარმოსახვაში ყოფნას, ვიდრე რეალობისთვის თვალის გასწორებას.**

დღევანდელი ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი რომ „ტვინგარეცხილია“ და „სპექტაკლის საზოგადოებად“ ჩამოყალიბდა, რომელსაც დაკარგული აქვს აღქმისა და აზროვნების კრიტიკული უნარი, „რუსთავი 2“-ის დიდი სიცრუის გუბეშია ჩაძირული და აქედან ამოზრდილ ბაყაყთა ყიყინს დიდი სიამოვნებით უსმენს და გონს გადასული მ. სააკაშვილის ბოდვით ბჟუტურს და ავადმყოფურ წარმოსახვას ფილოსოფოსის განსჯად და „დიდი პოლიტიკოსის“ ნათელხილვად მიიჩნევს, ცხადია და ეს საკამათო არ უნდა იყოს. ჩვენი საზოგადოების ნაწილის ეს დაავადება რომ ზემორე მოხსენიებული „რუსთავი 2“-ის და მისი ტყუპისცალი „საზოგადოებრივი არხის“, იმედის“, „მაესტროს“, „კავკასიის“ და მათი „თანამოაზრე“ ტელევიზიების დამსახურებაა, ესეც არ უნდა იყოს საკამათო! არც ის უნდა იყოს სადავო, რომ ამ დაავადების გაღვივებაში ლომის წილი მიუძღვით: **ე.წ. „დიდ“ პოლიტიკოსებს — პოლიტიკურ ექსპერტებს, უცხოეთიდან ფართოდ დაფინანსებულ, აგენტებად ქცეულ არასამთავრობოებს, ზოგიერთ უგვანო მოინტელიგენტო ელემენტს, თავს რომ კოსმოპოლიტებად მიიჩნევს და ანტიეროვნული სულის მატარებელ პარტიებს: ნაცებს, რესპუბლიკელებს და მათ დარ წარმონაქმნებს, რომლებიც ფარულად თუ გაცხადებულად „სიკვდილის იდეოლოგიას“ ქადაგებენ და ჩვენი რწმენის — მართლმადიდებლობისა და ერის სიკვდილი სწადიათ. ეს დოლარებით მოსყიდული და გამწვანებული ქონდრისკაცუნები ამერიკის მასონური წრეებიდან გამოგზავნილ ყოველგვარ ნებას თუ ბრძანებას პირნათლად ასრულებენ და საბოლოოდ ამზადებენ ქართველი ერის მოსპობისათვის ნოყიერ ნიადაგს. ერთი სიტყვით, ზემორე ხსენებული ძალების მოღვაწეობა შეიძლება ამგვარად შეფასდეს მხოლოდ: ეს არის ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის მტრობა და სხვა არაფერი!**

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი, ჩვენი „პარტნიორი“ თუ, როგორც „ნაცები“ ამბობენ, „მეგობრების“ და საქართველოში მოღვაწე კოლაბორაციონისტების დიდი დამსახურების წყალობით გაჩენილია დიდი ხრამი არარსებობისა, სადაც უახლოეს ხანში, თუ სასწრაფო ზომები არ მიიღო დღევანდელმა ხელისუფლებამ, ქართული სახელმწიფო და, რაც მთავარია, ქართველი ერი გადაიჩეხება. სამწუხაროდ, ის ზვავი, რომელიც დაძრეს მ. სააკაშვილმა და მისმა ერთგულმა „იანიჩარებმა“ ინერციით, თუმცა შენელებული მოძრაობით დღესაც ეშვება და ლამის არის წაგვლეკოს. ამის უტყუარი დასტურია, თუნდაც ანტიდისკრიმინაციული კანონის პარლამენტში ერთხმად მიღება, რაც სულიერ გახრწნას უქადის ქართველ ერს და მიწის გაყიდვის მონიტორინგის გაუქმება, ქართველი გლეხის, ქართული სოფლისა და შესაბამისად ქართველი ერის ფიზიკური განადგურების ტოლფასი რომ არის. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ერთგვარი ხარკის გაღება იყო ევროპასთან ხელშეკრულების რატიფიცირებისათვის, მაგრამ, **თუ ქართველი ერი და მისი აბჯარი ქართული სახელმწიფო აღარ იარსებებს, რა თავში ვიხლით ამ ხელშეკრულებას?! თუ ქართველობა, ჩვენი ვინაობა გადაგვარდება და წარიხოცება დედამიწის პირიდან, რაღად ღირს ჩვენი ფიზიკური, სულდაწრეტილი არსებობა?! აი, უმთავრესი პრობლემა, რომელიც რატომღაც ყველას გვავიწყდება და არ გვადარდებს!!!**

დასასრული
შემდეგ ნომერში

ილია და «საქართველოს მოამბე»

ილია ჭავჭავაძემ მოხერხებულად აუარა გვერდი ოფიციალურ დაბრკოლებებს და წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, არაპირდაპირ, მაგრამ საკმაოდ გასაგებად, ჟურნალის ძირითად ამოცანად საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების განხილვა-გადაწყვეტა გამოაცხადა, ხოლო ჟურნალის წამყვან ძალად პუბლიცისტიკა აღიარა.

„საქართველოს მოამბეს“ ილია საზოგადოებრივ ჟურნალსაც არქმევს. „თუ ჟურნალს უნდა კეთილსინდისიერად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს. ყოველ აზრის საკეთილმოძრაობას გზა მისცეს, ყველაფერი შენიშნოს და ყოვლისფერს პასუხი გასცეს. ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა.

ილიას ამ წერილის მიხედვით, თითქმის ამომწურავად შეიძლება გავიგოთ, რა არის პუბლიცისტიკა, რა ამოცანები დგას მის წინაშე და როგორ ჟურნალს ეწოდება პუბლიცისტური ჟურნალი.

„საქართველოს მოამბეს“ ილია უწოდებს საზოგადოებრივს, ოდნავ ტლანქად რომ გავშიფროთ, პუბლიცისტურს, რადგან პუბლიცისტიკა (პუბლიკას) სიტყვაწარმოების მიხედვითაც და შინაარსობრივადაც საზოგადოებრივს ნიშნავს. პუბლიცისტიკა ილიას ესმის სწორად, სახელდობრ, — როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნაწერები აქტუალურ თემაზე. **„მოამბის“ უმთავრესი საგანი,** — შენიშნავს ილია, — **აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელი ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვის... რაც შორს სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია... ჟურნალი“, რომელმაც გზა უნდა გაუხსნას მოძრაობას.**

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორი კარგად ხედავს, რომ პუბლიცისტიკა მუდამ მებრძოლი კლასისა და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს ემსახურება.

ილია მიუთითებს, რომ პუბლიცისტიკამ წინ უნდა დაიმძღვაროს იდეური დროშა, „უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველს საჭირო კითხვაზედ, რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებას, ის იქნება ჩვენის ჟურნალისათვის... რამოდენადაც... „მოამბე“... მიაგნობს და შეიტყობს ცხოვრების მაჯისცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებებს... იმდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებაში“.

საგლეხო რეფორმისა და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში თვით ცხოვრებამ წამოჭრა მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები, გამოიწვია ქვეყნის შემდგომი განვითარების შესახებ აზრთა შეხლა-შემოხლა. ჩვენში ამას ეროვნული ტკივილიც ზედ ერთვოდა და ყოველივე ეს გადაუდებლად მოითხოვდა ახალი სახის პრესას, მკვეთრი პუბლიცისტური განხრით.

უნდა გავიხსენოთ, რომ რუსულმა ჟურნალისტიკამაც ანალოგიური გზა განვლო. როგორც ცნობილია, ბელინსკის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ხალხის აღზრდის ძირითად როლს მხატვრულ ლიტერატურას აკუთვნებდა, მაგრამ, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს ეს აღარ აკმაყოფილებდათ; სამოციანი წლების რევოლუციური სიტუაციის პირობებში წამყვანი ადგილი მოითხოვა მომწიფებულ პრობლემებზე პირდაპირმა პასუხმა — პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ფილოსოფიურმა სტატიებმა, რევოლუციურმა პუბლიცისტიკამ. ამ პერიოდში „საზოგადოებრივ-ლიტერატურული“ ჟურნალიდან „სოვრემენიკი“ გადაიქცა „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ-ლიტერატურულ“ ჟურნალად. დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ჟურნალის სახელი და დიდება სწორედ მისი პუბლიცისტიკაა. მღელვარე პუბლიცისტური წერილების წყალობით ის ხელიდან ხელში გადადიოდა, ამიტომ ათენებდნენ მის კითხვაში ღამეებს ჩვენი პეტერბურგელი სტუდენტები. ამასთან დაკავშირებით „სოვრემენიკიდან“ ლიბერალების (უმთავრესად მწერლების) წასვლის შემდეგ, როცა ახალი რედაქცია შეიქმნა

(ნეკრასოვი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი), 1858 წ. სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია: **„ჟურნალისტიკა უნდა იყოს საზოგადოების ცოცხალი აზრის გამომხატველი... ჟურნალის ხასიათი რომ ერთი სიტყვით განვსაზღვროთ, ეს სიტყვა იქნება საზოგადოებრივი“** (გაიხსენეთ ილიას წერილი „საქართველოს მოამბეზედ“).

ილია ჭავჭავაძემ პირველად თქვა ჩვენში, რომ ჟურნალის, პრესის ძირითადი მიზანია არა მკითხველის გართობა, არამედ მისი მსოფლმხედველობის გამომუშავება, დემოკრატის, პატრიოტის აღზრდა.

„საქართველოს მოამბის“ განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ჟურნალისტიკაში მებრძოლი, რევოლუციური, უფრო ფართო გაგებით, საერთოდ პუბლიცისტური ჟანრის დაფუძნება. მას შემდეგ პუბლიცისტიკამ ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ცისკრის“ პუბლიცისტიკა უმწეოდ და უბადრუკად გამოიყურებოდა, ის იყო, რომ მას არ ჰყავდა განათლებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებში გარკhვეულ თანამშრომელთა კადრი. პუბლიცისტს კი, სხვა თვისებებთან ერთად, სწორედ ასეთი ფართო და მრავალმხრივი განათლება მოეთხოვება.

1897 წელს ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა: სტუდენტობის წლებში ილია „კითხულობდა დასავლეთ ევროპის მეცნიერთა თხზულებებს, სწავლობდა თითქმის ყველა მეცნიერებას. არ დარჩა ევროპის რომელიმე განათლებულ ერთა სამეცნიერო მწერლობა, რომ მას ამაების გაცნობა არ დაეწყო. ზედმიწევნით შეისწავლა პოლიტიკური ეკონომია, რაც მაშინ ერთობ აღძრული იყო რუსის ყმაწვილკაცებში, ნამეტურ კითხულობდა საფინანსო კითხვების შესახებ წერილებს, იურისპრუდენციას და ბუნების მეცნიერებას, საზოგადო ისტორიას, ახალს ფილოსოფიურს თხზულებებს, ახალსა და ძველ ფილოსოფიურ მწერლებთა შორის აღძრულს სამეცნიერო კამათს“.

მკვლევარები ერთხმად ადასტურებენ ილია ჭავჭავაძის ღრმა და მრავალმხრივ განსწავლულობას უკვე იმ პერიოდისთვის. თანამედროვეთა ცნობით, იმდროინდელი ახალგაზრდობა განათლებული იყო, უმთავრესად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურით.

ილია ჭავჭავაძემ დიდი ჟურნალისტური ერუდიციის, ორგანიზატორული ტალანტისა და პირადი გამბედაობის წყალობით, წარმატებით გადალახა სიძნელეები და შეძლო თავისი ჟურნალი ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანოდ გადაექცია. იგი მრავალ საშუალებას მიმართავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემების წინ წამოსაწევად. ამასთან, როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი — პუბლიცისტიკას, პუბლიცისტურ ელემენტს ლიტერატურის ყველა ჟანრის, უფრო მეტიც, მეცნიერების ყველა დარგის ორგანულ ნაწილად თვლიდა. ამიტომ არის, რომ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ყველა მასალა, მოთხრობა და ლექსი, პიესა თუ კორესპონდენცია გაპოხიერებულია პუბლიცისტური ნაკადით. **ჟურნალის ამოცანების განსაზღვრისას, ილია საგანგებოდ მიუთითებდა, რომ „...მათგან** (მეცნიერებისა და ხელოვნებისაგან. — ა. კ.) **ჟურნალმა ძნელი მისახვედრი ცნობები საყოველთაო გასაგებად** (უნდა) **გაამარტივოს და ამით გაავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობები ხალხში“.** ეს ნიშნავს, რომ **„საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაც პუბლიცისტიკის ამოცანად მიაჩნდა. ეს თვალსაზრისი ილიამ კიდევ უფრო გააღრმავა ფელეტონში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“**. „უკანონოდ და უმიზნოდ არაფერი არც გაჩენილა, არც გაჩნდება, — წერდა ის, — ჩვენი აზრი მაგ კანონებისა და მიზეზების ცოდნიდამ შედგება. მაგ კანონებისა და მიზეზების ცნობაზედ ტრიალებს მეცნიერებაც, სწავლა და განათლება... ჩვენი ჟურნალის მოვალეობა ის გახლავთ, რომ ის აღხსნილი და გამოკვლეული კანონები და მიზეზნი... გვაცნობოს“. ეს უშუალო გამოხმაურებაა ჩერნიშევსკის სიტყვების: „ჟურნალისტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა არის მკითხველთა შორის დადებითი ცოდნის გავრცელება. საზოგადოებას ჟურნალში სურს არა მარტო ჟურნალი, არამედ სამეცნიერო კრებულიც“.

ამ მიზნით დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ მიტჩელის „ზეციური მნათობები“, ი. ოქრომჭედლიშვილის, ს. ბარათაშვილის და სხვ. ნაწერები.

ქართულ ჟურნალისტიკას დღესაც შეუძლია იამაყოს ამ შესანიშნავი ტრადიციით, რადგან ბურჟუაზიული თეორეტიკოსები სწორედ ახლა ცდილობენ, დაუპირისპირონ ერთმანეთს მეცნიერება და პუბლიცისტიკა. ბურჟუაზიული „აკადემიზმი“ ყოველმხრივ ცდილობს, მიაფუჩეჩოს მეცნიერების კავშირი პუბლიცისტიკასთან.

ილიას თვალსაზრისი, რომელიც რუსული რევოლუციური დემოკრატიზმის სათავეებიდან მოედინება, სწორი თვალსაზრისია, — მეცნიერული თეორია ამდიდრებს პუბლიცისტიკას, ხოლო პუბლიცისტიკა აცოცხლებს მეცნიერულ თეორიას.

„საქართველოს მოამბეში“ წარმოდგენილია პუბლიცისტიკის თითქმის ყველა ჟანრი: თეორიული სტატიები, თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვა, ნარკვევი, ფელეტონი, პამფლეტი, რეცენზია. დამახასიათებელია, რომ რეპორტაჟი და ინფორმაციაც კი (მაგალითად, მეორე და მესამე ნომრების „სხვადასხვა ამბავი“) მიზნად ისახავს ფაქტების განზოგადებას, მათს პოლიტიკურ გაშუქებას, ამასთან, პუბლიცისტიზმი აქ გამოვლინებულია გარკვეული პოლიტიკური კუთხით ფაქტების შერჩევაში.

ახალგაზრდა რედაქტორი მოურიდებელი და შეუპოვარი იყო ყო-

ველთვის, როცა საქმე ეხებოდა ჟურნალის იდეურ მიმართულებას. იგი დაუცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რომ ჟურნალს ჰქონოდა საკუთარი სახე. მაგალითად კმარა თუნდაც ის ფაქტი, რომ ილია არ მოერიდა ისეთ პატივსაცემ პირსაც კი, როგორიც იყო სულხან ბარათაშვილი, რომელმაც ჟურნალს თავისი „საქართველოს ისტორიის“ ხელნაწერი გადასცა და სხვა დახმარებაც აღუთქვა; მის ნაშრომს საკმაოდ მწვავე კრიტიკული შენიშვნა დაურთო.

ერთ-ერთ შენიშვნაში მკაცრად აკრიტიკებს, აგრეთვე, ზალცმანის შეხედულებას ბავშვის ზნეობრივი აღზრდის შესახებ.

კიდევ უფრო სასტიკია ილია თავისი მეგობრებისა და იდეური თანამებრძოლების მიმართ.

„საქართველოს მოამბეში“ ნათლად გამოჩნდა თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამასთან, ეს ენციკლოპედიურობა ორგანულად შედუღებულია პრობლემათა მეცნიერულ გაშუქებასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფორმით, ისე შინაარსით „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა იდგა იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის მოწინავე პუბლიცისტიკის დონეზე, რომლის ისტორიასაც ამშვენებდნენ ვოლტერი და რუსო, დიდრო და ჰოლბახი, მარატი და სენ-ჟუსტი, ჰაინე და ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო... რადიშჩევი და ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, გოგოლი და გერცენი... ეს მოკლე სიაც გვიჩვენებს, რომ გამოჩენილი მწერლები, იმავე დროს დიდი პუბლიცისტებიც იყვნენ.

ჟურნალმა მიზნად დაისახა საზოგადოების გონებრივი და ესთეტიკური განვითარება, მისი აღზრდა, ცხოვრების ნაკლოვანებათა გამოკვლევა და გამომზეურება, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრება — ეს იყო ქართული პუბლიცისტიკის ახალი შინაარსი, ახალი იდეები და მათ განხორციელებას ახალი ლი-



ტერატურული საშუალებები, ახალი ფორმა ესაჭიროებოდა.

როგორც ვთქვით, მკითხველი მოუმზადებელი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე სერიოზული წერილებისათვის, უფრო გასართობ მასალას ეტანებოდა. ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაასვა „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკას, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ **იაფი პოპულარობის მოსახვეჭად, ჩამორჩენილ მკითხველთან საპირფეროდ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტები მათ დონემდე არასოდეს დაშვებულან** (როგორც ამას „ცისკარი“ სჩადიოდა) **და ყოველთვის ცდილობდნენ, თვით მკითხველი აემაღლებინათ, მისი გონება და გემოვნება განევითარებიათ**.

მიზანს კი ჟურნალი აღწევდა აქტუალური თემატიკით. როგორც ჩერნიშევსკი ამბობს, პუბლიცისტის სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეხმაურებოდეს საზოგადოების გარკვეული ნაწილის სასიცოცხლო ინტერესებს. პუბლიცისტი პოლიტიკური ბრძოლის უშუალო მონაწილეა და იგი ერთ-ერთ მხარეს უნდა ეკუთვნოდესო.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, ჰუმანურობით, გმობს ბოროტებას, ამორალიზმს. სამშობლოს სიყვარული, მისი ძალების, მისი მომავლის რწმენა აქ შედუღებულია თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის, რეაქციონერთა და ლიბერალთადმი სიძულვილთან. სწორედ ამით არის განპირობებული ილია ჭავჭავაძისა და, საერთოდ, „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკის მწვავე ტონი, ენერგიამოჭარბებული პათოსი, ლიტერატურული წვა. **ბელინსკისა არ იყოს, ასე გგონია, ეს ადამიანები საკუთარი სისხლით წერდნენ. ამ სახით ვლინდება ჟურნალის პუბლიცისტიკის მებრძოლი სული, შემტევი იდეურობა და ღრმა პატრიოტიზმი. გონებაგაღვიძებულ მკითხველს ატყვევებდა აზრის სინათლე, ხატოვანი ენა, პროპაგანდისტის დაჯერებული მანერა. სწორედ ეს გვაძლევს საბუთს ვთქვათ, რომ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელია არა მარტო შინაარსის ღრმა იდეურობა, არამედ მასთან ორგანულად შერწყმული ნოვატორული ფორმა, მაღალი პუბლიცისტური ოსტატობა.**

„საქართველოს მოამბის“ მესვეურთა შთამაგონებელ მიზანს ხალხის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენდა.

თანამედროვენი ერთხმად გვარწმუნებენ, რომ ჟურნალის დაარსება ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ განაპირობა; მშრომელთა ბედ-იღბალზე ზრუნვამ აამოძრავა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს ნაზიარები ახალგაზრდობა.

სოციალურ საკითხებში ჟურნალის პოზიციას განსაზღვრავდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, ამ მოძრაობის მეთაურთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი და, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების სამზადისი. „საქართველოს მოამბის“ სულისჩამდგმელთათვის ამ

დროს უკვე ცხადზე უცხადესი იყო მეფის „მანიფესტის“ კუდშეკვეცილი ხასიათი. ჩვენი სამოციანელებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მათმა იდეურმა ქურუმმა ნ. ჩერნიშევსკიმ „61 წლის საგლეხო რეფორმას... სისაძაგლე უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მის მებატონურ ხასიათს“ (ლენინი).

ქართველ ახალთაობას საგმირო საქმეებისათვის სწადდა ჟურნალის დაფუძნება და ეს გრძნობა ხალხის ინტერესების, გლეხობის ინტერესების დაცვაში უნდა გამოვლენილიყო. როგორც ვიცით, ილია ყმის მიწიანად განთავისუფლებას მოითხოვდა; ცნობილია ისიც, რომ ამის გამო მას სიკვდილით ემუქრებოდნენ რეაქციონერი მემამულეები და ახალგაზრდა რედაქტორს თანამოაზრეთა შეიარაღებული ჯგუფი იცავდა. მაგრამ მემამულეთა წრიდანაც კი ილიას თითო-ოროლა თანამგრძნობიც გამოსჩენია. „ბატონყმობის ფაქტიურ მასალებში“ აღდგენილია რევაზ ვაჩნაძის მგზნებარე სიტყვა თავად-აზნაურთა კრებაზე, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვს ყმის მიწიანად განთავისუფლებას. თუ ხელისუფლება უარს იტყვის, ჩვენ, მემამულეებმა, უსასყიდლოდ დავურიგოთ ყმებს კუთვნილი მიწებიო.

ჩაგვრისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსითაა შთაგონებული ამ ჟურნალის მთელი პუბლიცისტიკა. ეს პათოსი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილს „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც ჟღერს, როგორც საზოგადოებრივი განახლებისა და გადახალისების მხურვალე საგალობელი ამ წერილის მთელი შინაგანი ლოგიკა, მისი რევოლუციური მღელვარება უსამართლობის გმობითა და თავისუფლების დიდებით არის გასხივოსნებული.

ილია ჭავჭავაძის აღნიშნული სტატიის სოციოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი მაშინდელი სოციალური უსამართლობის უარყოფას წარმოადგენდა. ეს შეხედულებანი ხალხის სულისკვეთების გამოხატულება იყო.

ილია ჭავჭავაძე მკითხველს ჰპირდება: **„ჩვენი „მოამბე“... დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცაო“.** „ცხოვრების ჭუჭყში“ რედაქტორი, რა თქმა უნდა, სოციალურ უსამართლობას და, პირველ რიგში, ბატონყმობას გულისხმობდა.

„საქართველოს მოამბემ“ დაგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, გრძნობით შეხედა გლეხის დაჩაგრულ ბედს და ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც“.

პუბლიცისტური ნაკადი შეჭრილია „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ყველა ჟანრის თხზულებაში. ამ მხრივ, სანიმუშოა თვით ილია ჭავჭავაძის ნაწერები. პუბლიცისტური ლირიკის შესანიშნავი მაგალითებია ლექსები: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „მტკვრის პირას“, „მუშა“, „პოეტი“, „გუთნის დედა“, „ხმა სამარიდამ“, ნაწყვეტები „აჩრდილიდან“, „ერთი მოთხრობის დასაწყისიდან“ („კაკო ყაჩაღი“), პუბლიცისტიზმის კვალი ატყვია „კაცია ადამიანს“, „გლახის ნაამბობს“ და ა.შ.

ვგულისხმობთ არა მარტო პუბლიცისტურ პათოსს, არა მხოლდო იმას, რომ ეს ნაწარმოებები მიძღვნილია საჭირბოროტო საკითხებისადმი და გაჟღენთილია მებრძოლი სულისკვეთებით, პოლემიკით, არამედ კონკრეტული ფაქტების გაშიშვლებას, სამსჯავროზე მათს გამოტანას, მათზე მსჯელობის ფორმასა და პირდაპირ ჟურნალისტურ განაჩენს.

რევოლუციის ლეგალური და არალეგალური პროპაგანდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს, კერძოდ „სოვრემენიკს“, მიაჩნდა გარიბალდზე წერა. ამ პროპაგანდის მიზანი იყო ხალხის შეგნების გაღვიძება, რევოლუციისათვის მომზადება.

„საქართველოს მოამბემ“ პირველსავე ნაშრომში დაბეჭდა დობროლიუბოვის თხზულება „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“.

გარიბალდის შესახებ სხვადასხვა ცნობა გამოქვეყნებულია ჟურნალის მომდევნო ნომრებშიც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ „...დობროლიუბოვი დიდი სიმპათიით ეკიდებოდა გარიბალდის, მის სტატიაში ისეა აღწერილი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომ მკითხველს თავისთავად გამოჰქონდა დასკვნები რუსეთის მონარქიის შესახებ“.

ნიშნად დიდი პატივისცემისა, ნ.

„საქართველოს მოამბეში“ ნათლად გამოჩნდა თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამასთან, ეს ენციკლოპედიურობა ორგანულად შედულებულია პრობლემათა მეცნიერულ გაშუქებასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფორმით, ისე შინაარსით „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა იდგა იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის მოწინავე პუბლიცისტიკის დონეზე, რომლის ისტორიასაც ამშვენებდნენ ვოლტერი და რუსო, დიდრო და ჰოლბახი, მარატი და სენ-ჟუსტი, ჰაინე და ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო... რადიშჩევი და ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, გოგოლი და გერცენი...

ა. დობროლიუბოვი ნეკრასოვს გარიბალდის ადარებდა.

ნ. დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცის“ წყალობით „საქართველოს მოამბემ“ მკითხველს გააგებინა, რომ თავისუფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ბრძოლით, რევოლუციით. დობროლიუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული სულით გამთბარი გავაცის ქადაგებანი პირდაპირი მოწოდებაა რევოლუციისაკენ.

გავაცი ეროვნული ერთიანობისაკენ მოუხმობდა თანამემამულეებს, „ეხლა ჩვენ უნდა მტკიცედ ჩავინერგოთ გულში ნაციონალური გრძნობა“.

„მამა ალექსანდრე გავაცი“ ნათარგმნია მღელვარედ, მგზნებარებით, რის გამოც, იგი უთუოდ, დიდ ზეგავლენას მოახდენდა ქართველ საზოგადოებაზე, უსამართლობისადმი ბრძოლის სულით აღანთებდა მას. ქართულ თარგმანშიც თხზულება ძლიერია არა მარტო შინაარსით, არამედ სულისკვეთებითაც.

ორიგინალთან შედარებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მთარგმნელს (ილია ჭავჭავაძე) შეურჩევია გავაცის ყველაზე მებრძოლი, ბობოქარი ქადაგებანი, აგრეთვე, ის ავტორისეული (დობროლიუბოვისეული) ჩანართები, რომლებშიც მკაცრადაა მხილებული ეროვნული და სოციალური უსამართლობა, ტირანია და ოლიგარხია.

დობროლიუბოვის თხზულება რომ ქართული ჟურნალის კონკრეტული ამოცანებისათვის დაექვემდებარებინა, ილიას 78 შენიშვნა (თითქმის დამოუკიდებელი პოლიტიკური ენციკლოპედია) დაურთავს მისთვის (ნაცვლად დობროლიუბოვის 5 შენიშვნისა). თარგმანის შენიშვნები გამსჭვალულია გარიბალდისა და მისი საქმისადმი უზომო სიმპათიით. მთარგმნელი აღტაცებით წერს „გარიბალდის სახელოვან ლაშქრობაზე“, გარიბალდიზე, როგორც „ხალხის შვილსა და ხალხის მეგობარზე“; სქოლიო საშუალებას აძლევს მას ისეთ რამეებზე ელაპარაკოს მკითხველს, რის ნებასაც სხვა შემთხვევაში ცენზურა არ მისცემდა.

„საქართველოს მოამბე“ გამსჭვალულია რევოლუციური პატრიოტიზმით, რაც ძირეულად ასხვავებს მას ყველა წინანდელი ქართული გამოცემისაგან. ჟურნალის მიმართულებას საფუძვლად უდევს დობროლიუბოვის თეზისი, რომ ხალხის ბედი მისავე ხელშია. ამის შესაბამისად იგი ხაზს უსვამს ხალხის რევოლუციური ძალების გამოღვიძებას.

„მამა ალექსანდრე გავაცის“ ანალიზის შედეგად, მკვლევარები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეროვნული და სოციალური განთავისუფლების გზად „საქართველოს მოამბეს“ რევოლუციური ბრძოლა მიაჩნდა.

ქართული ჟურნალისტიკის ჩასახვა-განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ეროვნული აღორძინებისათვის ბრძოლასთან.

ამ მხრივ, უეჭველია, „ცისკარმაც“ თვალსაჩინო როლი შეასრულა, მაგრამ **„საქართველოს მოამბემ“ ახალ მიმართულებას მისცა დასაბამი, ახალ საფუძველზე დაამყარა სამშობლოს ბედნიერებისთვის ზრუნვა. ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხები აქ მჭიდროდ გადაეკვანძა ერთმანეთს და რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირდა,** ოცნებისა და თეორიული განსჯის სფეროდან, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და პრაქტიკული მოქმედების სარბიელზე გამოვიდა.

ი. ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი შეხედულებანი, მისი ეროვნული სამოქმედო პროგრამა ამ დროს, როგორც პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, მას ძირითადად უკვე დამთავრებული ჰქონდა პუბლიცისტური პროზის შედეგი — „მგზავრის წერილები“.

„საქართველოს მოამბე“, უწინარეს ყოვლისა, ფართო პატრიოტულ პროპაგანდას ეწეოდა, ამხელდა სოციალურ და ზნეობრივ სიმახინჯეს, სულიერ დაცემას, გულგატეხილობას, რადგან ღრმად სწამდა, რომ ხალხის ზნეობრივი გადაგვარება მტერს უადვილებდა მის დამონებასა და დაბეჩავებას.

ჟურნალმა დიდი ადგილი დაუთმო აღმზრდელობით-პედაგოგიკურ თხზულებებს; დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თარგმანები: კ. ზალცმანის „კონრად კიფერი“, ნ. დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“, „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“, რომელშიც ჩამოყალიბებულია მშრომელი, თავისუფლებისმოყვარე, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანის აღზრდის პრინციპები.

ამავე მიზნით, ჟურნალში გამოქვეყნდა სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ (ილიას თარგმანი).

სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეებს „საქართველოს მოამბეში“ ღრმად ჰუმანისტური ხასიათი აქვს, გაჟღენთილია ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. **ჟურნალისათვის უცხოა რაიმე ნაციონალისტური განკერძოება. პროგრესული რუსეთისადმი გულწრ-**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲛ“ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲥ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲙᲕᲐᲜᲫᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ-ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲐ...“

ფელი პატივისცემის, ნდობისა და მხარდაჭერის დადასტურებაა ჟურნალში დობროლიუბოვის, ბელინსკის, ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და სხვათა ნაწერების გამოქვეყნება, მათი დიდი ავტორიტეტის აღიარება. „საქართველოს მოამბეში“ კარგად არის გაშუქებული მოძმე სომეხი ხალხის ისტორია, დაბეჭდილია ილია ოქრომჭედლიშვილის — „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“ და ი. ჭავჭავაძის „კირაკოზ განძაკეცი“.

ასეთივე სიყვარულით ხვდებოდა ჟურნალი მსოფლიოს ყველა ხალხის (იტალიელების, პოლონელების, ზანგების და სხვ.) განმათავისუფლებელ ბრძოლასა და წარმატებას. ეს თვალსაზრისი საპროგრამო ფორმულის სახითაა ჩამოყალიბებული ილია ჭავჭავაძის წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. „ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, — აცხადებს რედაქტორი, — სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონე, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან“.

მაგრამ „საქართველოს მოამბეში“ რომ ეროვნული საკითხის გაშუქება-გაგება ზემოთქმულით იფარგლებოდეს, მაშინ „ცისკარსა“ და ამ ჟურნალს შორის არსებითი განსხვავება არ გვექნებოდა. არსებითი განსხვავება იმაშია, რომ „საქართველოს მოამბე“ ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის იდეებს ქადაგებდა.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტებმა გადაჭრით დასვეს ქართველი ხალხის ნაციონალური ბედ-იღბლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მათ არასოდეს საეჭვოდ არ გაუხდიათ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. ისინი თავს ესხმოდნენ მხოლოდ ცარიზმს, რომელმაც ფიცშეკრული ქვეყანა კოლონიად გადააქცია.

1863 წლის ნოემბრის ნომერში ილია აღნიშნავდა: **„არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებდა, რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამცთუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, — თუმცა ზოგჯერ სცადა კიდეც, — იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენ“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდან გასასინჯი იყო“.**

1864 წლის იანვარში ჟურნალის ბედი თვით ილია ჭავჭავაძისთვისაც არ იყო ნათელი. იგი განაგრძობდა მასალების შეგროვებას, თანამშრომლებთან მიმოწერას, მკითხველთა მოზიდვას, მაგრამ აშკარა ხდებოდა, რომ პერსპექტივა უიმედო იყო.

ცნობილია, რომ ოლღა მხარში ამოუდგა ახალგაზრდა მეუღლეს და ისინი ერთად უძღვებოდნენ ჟურნალს. აგვისტომდე რედაქცია ივანე მუხრანსკის სახლში იმყოფებოდა, ხოლო, როცა რეაქციულმა ძალებმა „საქართველოს მოამბეს“ ბოიკოტი გამოუცხადეს, იგი ოლღა გურამიშვილის მამიდის — სიდონია ზაქარიას ასულ საავარსამიძის სახლში გადავიდა. „სახელმწიფო სამსახურში შესვლა“ „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზი კი არა, სამწუხარო შედეგი იყო. ცხადია, ჟურნალის გამოცემის ოდნავი შესაძლებლობაც რომ ჰქონოდა, ილია სახელმწიფო სამსახურში არ შევიდოდა.

ილიას მოსწრებული გამოთქმა რომ გავიმეოროთ, ჟურნალს „კედელი დახვდა წინ“. შექმნილ წინაღობებს ი. ჭავჭავაძე დაუძლეველ დაბრკოლებად თვლის, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია“. „დრონი მეფობენ“ — ნათქვამია. ჩვენც, ნებით თუ უნებლიეთ, გულზე ხელი უნდა დაგვეკრიფა“.

უეჭველია, „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მხედველობაში აქვს ის მიზეზები, რომელთაც ქვეყნის საერთო სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იწვევდა.

ამრიგად, **„საქართველოს მოამბე“ საზოგადოებრივი ცხოვრების მოუმწიფებლობის შედეგად დაიხურა.** აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ თვით ილია ჭავჭავაძის სიტყვები: **„ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჟურნალი მარტო ერთის კაცის ნებით იბადება. არა, თვითონ ცხოვრებავე გვაჩვენებს ხოლმე იმის საჭიროებას. კაცი კი მხოლოდ მიხვდება ამ საჭიროებას და ჟურნალის გამოცემით პასუხს აძლევს. რაც ცხოვრება უფრო ძლიერია, უფრო ჯანიანია და ღონიერი, იმდენად მისი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი დიდნი არიან“**.

„საქართველოს მოამბემ“ სამარადჟამო კვალი გაავლო ქართველი ხალხის ისტორიაში: წყვდიად ღამეში იგი შუქურასავით აენთო იმ მწვერვალზე, რომლისკენაც ერის რჩეულნი მიისწრაფოდნენ.

ამ პირველი ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული გამოცემის შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი სცილდებოდა ცენზურით შებოჭილი პრესის ჩარჩოებს, გამოხატავდა ხალხის ინტერესებს და გამარევოლუციონერებულ გავლენას ახდენდა მასზე.

ალექსანდრე კალანდაძე,
„გვაქვს საგანძური“,
თბილისი, 1986

ჟურნალისათვის უცხოა რაიმე ნაციონალისტური განკერძოება. პროგრესული რუსეთისადმი გულწრფელი პატივისცემის, ნდობისა და მხარდაჭერის დადასტურებაა ჟურნალში დობროლიუბოვის, ბელინსკის, ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და სხვათა ნაწერების გამოქვეყნება, მათი დიდი ავტორიტეტის აღიარება.

ადოლფ ჰიტლერს რომ მოეგო ომი...

რა მოხდებოდა ადოლფ ჰიტლერს რომ გაემარჯვა მეორე მსოფლიო ომში და დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი? რა ბედი ელოდა მაშინ საქართველოს? მეორე მსოფლიო ომი, რომელიც 6 წლის განმავლობაში (1939 წლის 1 სექტემბრი-1945 წლის 2 სექტემბერი) მიმდინარეობდა, ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო მსოფლიო ისტორიაში. იგი ერთბაშად არ გაჩაღებულა, მას გარკვეული წინამძღვრები და მიზეზები გააჩნდა, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა ფაშისტურ გერმანიას, ჰიტლერის დიდმპყრობელურ გეგმებს, მილიტარისტულ იაპონიას, გერმანიის მოკავშირე იტალიას.

ჰიტლერი, 1933 წლის იანვარში ხელში ჩაიგდო რა ძალაუფლება, შეუდგა თავისი ავანტიურული გეგმების პრაქტიკულად განხორციელებას. ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან სამი დღის შემდეგ — 1933 წლის 3 თებერვალს გერმანიის გენერალიტეტთან შეხვედრაზე ჰიტლერმა, ჩამოაყალიბა რა მომავალი გეგმები გერმანიის საშინაო, საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის მხრივ, აღნიშნა, რომ საჭიროა მზადება ომისთვის ტერიტორიის გასაფართოებლად.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა ფაშისტურ გერმანიასთან ომი აღიქვეს, როგორც სამამულო ომი, რადგან ყოველი მათგანი განადგურების საფრთხის წინაშე იდგა.

საბჭოთა კავშირმა, რომელშიც საქართველოც შედიოდა, ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა და გადამწყვეტი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში, რითაც არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ კაცობრიობა და მსოფლიო ცივილიზაცია იხსნა ფაშისტური მონობისგან.

კონკრეტულად **თუ რა მიზნები გააჩნდა ფაშისტური გერმანიის ფიურერს ადოლფ ჰიტლერს და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემთხვევაში როგორ აპირებდა იგი ფაშისტური რეჟიმის დამკვიდრებას და რა რადიკალური ღონისძიებების განხორციელება ეწადა მას დაპყრობილ ქვეყნებში, სოლომონ ბაქანიძე** ფაქტებზე, არგუმენტებსა და სათანადო წყაროებზე დაყრდნობით 1998 წლის №4-6 ჟურნალ „პოლიტიკაში“ დაბეჭდილ სტატიაში **„ჰიტლერს რომ მოეგო ომი“** წერს:

„არცთუ დიდი ხნის წინათ უფროსი თაობის ადამიანებისათვის წარმოუდგენელი იყო ისეთი დროის დადგომა, როცა XX საუკუნის კანიბალების — ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლას და მათზე გამარჯვებას ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი დანაშაულად მონათლავდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად 700 ათასზე მეტი ქართველი გმირის მონაწილეობას მიხაკისფერი ჭირისგან კაცობრიობის ხსნაში სამარცხვინო მოვლენად გამოაცხადებდა.

სტატიაში „გვახსოვდეს ისტორია“ (იხილეთ ჟ. „პოლიტიკა“ №4-6, 1995 წელი) ჩვენ შევეცადეთ ნიურნბერგის პროცესისა და სხვა დოკუმენტური მასალების საფუძველზე გვეჩვენებინა, თუ როგორ აპირებდა ჰიტლერი მსოფლიოზე გაბატონების უგუნური გეგმების განხორციელებას, ყველა არაგერმანული ეროვნების ადამიანის, მათ შორის ქართველების, სრულ ბიოლოგიურ განადგურებას.

1989 წელს მაშინდელ დასავლეთ გერმანიაში გამოქვეყნდა ისტორიკოს **რალფ ჯორდანოს წიგნი „ჰიტლერს რომ მოეგო ომი“,** რომელშიაც ნაკლებად ცნობილი დოკუმენტების გამოყენებით ნაწილობრივ ახსნილია ჰიტლერის კაცთმოძულე პოლიტიკის არსი. ავტორის მიერ მოყვანილი დოკუმენტები, ნიურნბერგის პროცესის მასალები ნათლად მეტყველებს, რომ... ფაშიზმზე გამარჯვებით კაცობრიობა გადარჩენილი იქნა მონობისა და ფიზიკური განადგურებისგან.

ჰიტლერი და მისი თანამოაზრენი თავიდანვე ამ მიზნისაკენ მიისწრაფოდნენ და ამას არც მალავდნენ. ოტო შტრასერს, რომელმაც შემდგომში კავშირი გაწყვიტა ჰიტლერთან, თავის წიგნში მოჰყავს 1930 წლის მაისში ჰიტლერის მიერ ნათქვამი სიტყვები: **„ნორმანდიულ რასას აქვს მსოფლიოს დაპყრობის უფლება და ამ უფლებას ჩვენი საგარეო პოლიტიკის გზის მანათობელ ვარსკვლავად ვაქცევთ. მერწმუნეთ, მთელი ნაციონალ-სოციალიზმი არაფრად ეღირებოდა, მარტო გერმანიით რომ შეზღუდულიყო და არ დაემყარებინა სრულფასოვანი რასის ბატონობა მთელ მსოფლიოზე“.**

და კიდევ: 1939 წლის 23 ნოემბერს რაიხსკანცელარიაში ვერმახტის მეთაურებთან გამართულ თათბირზე ფიურერმა ბრძანა: „გაჩაღდა რასათა ბრძოლა ევროპაში ბატონობისათვის, იმისთვის, თუ ვინ გაბატონდება ევროპაში, მაშასადამე მსოფლიოში. დედამიწა იგი გარდამავალი თასივითაა: მას წაართმევენ იმას, ვინც სუსტი აღმოჩნდება“.

ამრიგად, ჯერ — ევროპა, შემდეგ — მთელი მსოფლიო. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ჰიტლერის პროგრამა ითვალისწინებდა „საფეხურებრივ გეგმას“, თანდათანობითი დაპყრობების კონცეფციას მსოფლიო ბატონობის მიღწევამდე. მისი დეტალებიც სუფთა გერმანული პუნქტუალობით იქნა დამუშავებული.

პირველი საფეხური: საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირზე გამარჯვების შემდეგ გერმანიამ ატლანტიკიდან ურალამდე „კონტინენტალური ბლოკი“ გერმანიის მეთაურობით გახდებოდა ტრამპლინი ოკეანის გაღმა ნახტომისთვის.

მეორე საფეხური: უზარმაზარი კოლონიის შექმნა აფრიკაში საჰარის სამხრეთსა და მდინარე ზამბეზს შორის; ფაქტობრივად, გაბატონება შავ კონტინენტზე; ფლოტის შექმნა ბაზებით ატლანტიკაში.

მესამე საფეხური: ორი დარჩენილი მსოფლიო სახელმწიფოს (გერმანია-ამერიკის) გადამწყვეტი შეტაკება მსოფლიო ბატონობისთვის.

1939 წლისთვის ამ გეგმის განხორციელების წანამძღვრები უკვე შექმნილი იყო. რ. ჯორდანოს აზრით, 1939 წლის 23 აგვისტოს პოტენციურ აგრესორთან თავდაუსხმელობის პაქტის დადებით სტალინმა თურმე სათანადოდ ვერ შეაფასა ჰიტლერის წიგნი „მაინ კამპფი“.

საბჭოთა კავშირზე გამარჯვებისთვის საკმარისი იქნებოდა სამი-ოთხი თვე. უკვე 1941 წლის ივლისში რიბენტროპი აიმედებდა თავის ელჩს ტოკიოში, რომ ზამთრის დადგომამდე გერმანია და მისი მოკავშირე იაპონია ხელს გაუწვდიდნენ ერთმანეთს „ტრანსციმბირის მაგისტრალზე“ .

ეჩვენებოდათ, რომ პირველი და მომდევნო საფეხურების განხორციელება უკვე განაღდებული ჰქონდათ. ნაცისტები არასოდეს ისე ახლოს არ ყოფილან თავიანთი მიზნების განხორციელებასთან, როგორც იმ 18 თვეში — საფრანგეთის დაცემიდან (1940 წლის ივნისიდან) 1941 წლის გვიან შემოდგომის ტრიუმფალურ დღეებამდე, როცა სატანკო ქვემეხების სამიზნეებიდან ხედავდნენ კრემლის კოშკებს.

თუ როგორი იქნებოდა „ნაცისტების მსოფლიო ბატონობა“, ნათლად ჩანს გენერალური გეგმიდან „ოსტ“-ი. რომელიც 1940 წლის აპრილ-მაისში დაამუშავა იმდროისთვის უკვე ცნობილმა მეცნიერმა **კონრად მაიერმა**. „ოსტ“-ი ითვალისწინებდა 30 წლის განმავლობაში თითქმის მთელი პოლონეთის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, უკრაინის, ლენინგრადისა და სხვა რაიონების გაგერმანულებას.

რუსი მოსახლეობის მიმართ უნდა გატარებულიყო ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამოიწვევდა ხალხის დაუძლურებას (რუსებში ისინი გულისხმობდნენ საბჭოთა კავშირის შემედგენლობაში მყოფ ყველა რესპუბლიკის მოსახლეობას — ს. ბ.). მშვიდობიანი მოსახლეობის მოსასპობად ამზადებდნენ სათანადო ტექნიკას, ქმნიდნენ სპეციალურ რაზმებს და საკონცენტრაციო ბანაკებს. ჰიტლერი ასე არიგებდა თავის თანამოაზრეებს: **„ჩვენ ვალდებულნი ვართ, მოვსპოთ მოსახლეობა. მოგვიხდება მოსახლეობის მოსპობის ტექნიკის განვითარება. მე უფლება მაქვს, გავანადგურო დაბალი რასის მილიონობით ადამიანი, რომლებიც ჭიებივით მრავლდებიან“.**

ჰიტლერს ძალიან მოსწონდა „ოსტ“-ი (აღმოსავლეთი). მაგრამ 1942 წლის 12 ივნისს წერდა: „მაიერის მიერ გათვალისწინებულ 30 წელს მნიშვნელოვნად შევამცირებთ, შესაძლებლობების მიხედვით, ჩვენ ეს უნდა შევძლოთ 20 წლის განმავლობაში“.

ებრაელების, ბოშების და სხვა უმცირესობების განადგურების ნაცისტური გეგმა „ჰოლოკოსტი“ მნიშვნელოვან წილად შესრულებული იქნა.

არსებული დოკუმენტები „საბოლოო გამარჯვების“ შემდეგ ნაცისტების გეგმების შესახებ ადასტურებენ, რომ შემაძრწუნებელი „სელექციური პროცედურების“ შედეგად, „რასობრივად სრულფასოვნად“ აღიარებული უმცირესობის გარდა, ოკუპირებული ტერიტორიების ყველა დანარჩენი მოსახლეობა არხანგელსკიდან ასტრახანამდე ან მოსპობილი, ან ურალს გადაღმა გაძევებული უნდა ყოფილიყო...

საკმარისია, აღინიშნოს თუნდაც ის, რომ ნაცისტურ ბანაკებში დაიღუპა 2,5-დან 3 მილიონამდე საბჭოთა სამხედრო ტყვე. ავტორი ასაბუთებს, რომ ვერმახტი იყო არამარტო მსოფლიო ბატონობის გიჟური გეგმის განხორციელების გადამწყვეტი ძალა, არამედ განადგურების აპარატის მუშაობის უშუალო მონაწილე.

„მუსიკა შეუზღუდავად“

„ჩვენს ამოცანას არ შეადგენს აღმოსავლეთის გერმანიზაცია, ამ სიტყვის ძველი გაგებით, რაც ნიშნავდა იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის გერმანული ენისა და გერმანული კანონების სწავლებას. ჩვენი ამოცანაა იმაზე ზრუნვა, რომ აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ ნამდვილი გერმანელები, ნამდვილი გერმანული სისხლის ადამიანები.

ქვემოთ მოყვანილი ციტატები აღებულია ჰიტლერის პირადი სტენოგრაფისტის — ჰენრი ჰიკერის მიერ 1938 წელს გამოქვეყნებული ნაშრომიდან:

ჰიტლერი — გერმანიზაციის შესახებ: „აღმოსავლური პოლიტიკის“ მიზანი ხანგრძლივი პერსპექტივისთვის — უზრუნველყოს ამ რაიონში დაახლოებით ასი მილიონი გერმანული სისხლის ადამიანის დასახლება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თანმიმდევრობით ჩაასახლონ იქ მილიონობით გერმანელი. არა უგვიანეს ათი წლისა, მას სურს მოხსენება იმის შესახებ, რომ რაიხისთვის დაბრუნებულ ან ვერმახტის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე (როგორცაა დანციგი, დასავლეთ პრუსია თუ ბელოსტოკის რაიონი) უკვე ცხოვრობს, მინიმუმ, 20 მილიონი გერმანელი.

გატარებული უნდა იქნეს გერმანული ეროვნული სულის უპირატესობის წარმომჩენი რადიკალური პოლიტიკა. ისევე, როგორც თავის დროზე გერმანული რაინდული ორდენი....

ხმლითა და ბიბლიით ხელში აღწევდა თავისას, აღმოსავლეთში ნაციონალ-სოციალისტური მსოფლმხედველობის დასაცავად გაგზავნილმა ჩვენმა თანამემამულეებმა უნდა მიაღწიონ ჩვენი ეროვნული ინტერესების გავრცელებას, საჭიროების შემთხვევაში, უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებითაც. იგი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ, როცა პარტია თავის 50 წლის იუბილეს აღნიშნავს, აღმოსავლეთის ოლქები მთლიანად გერმანიზებული იქნება“.

ჰიტლერი დასახლებულ ადგილთა პოლიტიკის შესახებ: „რაიხის ქვეშევრდომმა გლეხმა უნდა იცხოვროს ულამაზეს დასახლებაში. გერმანიის დაწესებულებებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს საუცხოო შენობები ექნებათ, გუბერნატორებს — სასახლეები. ქალაქები 30-40 კილომეტრზე გარშემოტყმული იქნება საუკეთესო გზებით დაკავშირებული ლამაზი სოფლებით. ამ საზღვრებს იქეთ იქნება სრულიად სხვა სამყარო, რომელშიც რუსები იცხოვრებენ, როგორც სურთ, მთავარია, რომ ჩვენ მათზე ვბატონობდეთ. წელიწადში ერთხელ ყირგიზების რაზმი უნდა გავატაროთ რაიონის დედაქალაქში, რათა მათ წარმოიდგინონ მისი ქვის ძეგლების ძლიერება და სიდიადე. აღმოსავლეთის რაიონები ჩვენთვის იგივე იქნება, რაც ინდოეთი იყო ინგლისისათვის.

ყირიმი ისე უნდა ავაშენოთ და აღვჭურვოთ, რომ წლების შემდეგაც ვერაფერმა გვაიძულოს, ვინმეს გადავცეთ ის, რასაც იქ გერმანელები გააკეთებენ. ამიტომ პირველ ხარისხოვანი ამოცანაა, ავაშენოთ ყირიმის პორტი და ძლიერი ფორტები.

უდიდესი შეცდომა, რომელიც შეიძლებოდა მოგვსლოდა, ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვის გამოჩენა იქნებოდა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული რუსული და უკრაინული ქალაქების კეთილმოწყობა“.

სკოლისა და განათლების შესახებ: „უპირველეს ყოვლისა, არ შეიძლება აღმოსავლეთის რაიონებში გერმანელი მასწავლებლების გაშვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იქ დავკარგავთ ბავშვებსაც და მშობლებსაც. ყველაზე უკეთესი იქნება, თუ მათ მხოლოდ ნიშნების ენას ვასწავლით. მოსახლეობას უნდა მივცეთ ის, რაც მათთვის მისაწვდომია. შეუზღუდავი რაოდენობით გადავცეთ რეპროდუქტორებით მუსიკა. მათ არ უნდა ისწავლონ გონებრივი შრომა. არ შეიძლება ბეჭდვითი სიტყვის ნების დართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ჩვენი ყველაზე ავი მტრების გამოზრდა.

წერისა და კითხვის ჩვევებმა რუსებში, უკრაინელებში, ყირგიზებში და ა. შ. შეიძლება მხოლოდ ზიანი მოგვიტანოს. რამდენადაც უფრო ჭკვიანებს გამოუმუშავებენ შეხედუhლებას ისტორიაზე, გამოიწვევენ აზრების პოლიტიკურ მობრუნებას. ეს უკანასკნელნი კი თავისი მახვილით ჩვენ წინააღმდეგ იქნებიან მომართულნი. ამიტომ არც ერთ ჩვენგანს აზრადაც კი არ უნდა მოუვიდეს, რაიმე მოუყვეს დამონებულ ხალხებს მათი ისტორიის შესახებ. გეოგრაფიის სწავლების დონე დაყვანილ უნდა იქნეს იმის ცოდნაზე, რომ რაიხის დედაქალაქი ბერლინია და თითოეული მათგანის ოცნება უნდა იყოს, სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ მოახერხოს იქ ჩასვლა“.

გამრავლებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ: „თუ გერმანული მმართველობისას ეს ხალხები კიდევ უფრო გამრავლდებიან, ეს არ იქნება ჩვენი ინტერესების შესატყვისი. პირიქით, **ამ რუსების და ე. წ. უკრაინელების რიცხობრივი გადიდება არცთუ შორეულ მომავალში ჩვენთვის ისევ საშიში იქნება. აუცილებელია, ნებისმიერ ვითარებაში ხელი შევუშალოთ არაგერმანული მოსახლეობის გამრავლებას“**.

ბატონობისა და შეიარაღების შესახებ: „გზა თვითმმართველობისკენ დაპყრობილ ხალხებს დამოუკიდებლობამდე მიიყვანდა. დემოკრატიული ფორმებით არ შეიძლება შეინარჩუნო ის, რაც ოდესღაც ძალით მიიღე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ხალხების მთავარი ამოცანაა, ჩვენ გვემსახურონ. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება მათ მიეცეს, თემობრივი ადმინისტრაციაა, რომლის ფუნქციები მხოლოდ სამუშაო ძალის უზრუნველყოფით უნდა შემოიფარგლოს. ხელი უნდა შევუშალოთ დიდ ტერიტორიებზე ერთიანი ეკლესიების შექმნას, **ჩვენს ინტერესებს შეესაბამება მხოლოდ დაქსაქსული სასოფლო სექტების არსებობა**.

მოგვიხდება ყველა ოკუპირებულ რუსულ ოლქში უშიშროებისა

და წესრიგის დამყარება ჯარების დახმარებით..... ამიტომ აღმოსავლეთის დაპყრობილი ოლქები სამხედრო ბაზების ქსელით უნდა დაიფაროს და საერთოდ, იქ მცხოვრები გერმანელები ისე მტკიცედ უნდა იყვნენ ორგანიზებულნი, რომ აღმოსავლეთის ოლქების ჩასახლების პერსპექტიული პოლიტიკის გატარებისას დაპყრობილ აღმოსავლეთში სულ უფრო შორს ჩავასოთ გერმანული სოლი“.

ასე „ფილოსოფოსობდა“ ადოლფ ჰიტლერი „საუბრებში მაგიდასთან“. ამ „მარგალიტების“ თავისებურ მოკლე კომენტარს წარმოადგენს მარტინ ბორმანის („ფიურერის მდივანი, ფაქტობრივად ჰიტლერის მოადგილე. იგი ჰიტლერის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა.) 1943 წლის 23 ივლისის მიმართვა ოკუპირებული აღმოსავლეთის რაიხსმინისტრ ალფრედ როზენბერგისადმი: „სლავებმა ჩვენთვის უნდა იმუშაონ, თუ ისინი აღარ იქნებიან საჭირონი, დაე, დაიხოცონ. ამიტომ **აცრები და ჯანმრთელობის დაცვა ზედმეტია, განათლება საშიშია. საკმარისია, თუ მათ ასამდე დათვლა ეცოდინებათ. დასაშვებია ისეთი განათლება, რომელიც მოგვცემს ჩვენს გამოსაყენებლად ვარგის რობოტებს. კვებისათვის მათ უნდა მიეცეს მხოლოდ ყველაზე აუცილებელი**“.

აი, ჰენრიხ გიმლერის სიტყვებიც:

„ჩვენი ჯარებისთვის აღმოსავლეთი იქნება პოლიგონი, სადაც ყოველ ზამთარს, თოვლსა და სიცივეში ჩვენს დივიზიებს ექნებათ სწავლების ჩატარების შესაძლებლობა. როგორც მათი მამები 1941 წელს, მათი შვილებიც მრავალი წლის შემდეგ თაობიდან თაობამდე გაშლიან აქ კარვებს და ივარჯიშებენ სროლაში“.

ციინიზმით სავსე სიტყვების ამ კორიანტელში ნათლად იკვეთება ავტორების დანაშაულებრივი გეგმების განხორციელების ფატალური რწმენა. თავიანთ წიგნში „ნიურნბერგის პროცესი“ **ჯ. ჰეიდეკერი** და **ი. ლეკი** შემდეგ დასკვნებამდე მიდიან: **ჰიტლერს რომ ომი მოეგო, ევროპაში გაგრძელდებოდა მილიონობით ადამიანის მოსპობა, ებრაელთა მთელი რასა გახდებოდა გაზის კამერებისა და დამსჯელი რაზმების მსხვერპლი, ისევე, როგორც 30 მილიონი სლავი, რომელთა მოსპობაზეც ოცნებობდა ფიურერი.**

***

ვერმახტს რომ დაეპყრო დიდი ბრიტანეთი, გამარჯვებულთა წარმოდგენა ამ ქვეყანაზე მთლიანად თავსდებოდა „ახალი წესრიგის“ ჩარჩოებში. ისინი ერთ მიზანს ისახავდნენ — სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამორჩილებას. ჯერ კიდევ 1940 წლის 30 ივლისს შექმნეს „განსაკუთრებული შტაბი ინგლისისათვის“ ადმირალ ანკერის მეთაურობით. იმავე წლის 9 სექტემბერს ბრაუხიჩმა გამოსცა რიგი ბრძანებებისა, რომელთა მიხედვით უნდა მოეწყოთ ინგლისის სამხედრო მმართველობა. მას ევალებოდა ინგლისის დაპყრობის შემდეგ მისი მთელი ეკონომიკის ჩაყენება გერმანიის სამხედრო მრეწველობის სამსახურში. კონფისკაციას ექვემდებარებოდა მნიშვნელოვანი სამხედრო საწარმოები, კვლევითი ცენტრები, სატრანსპორტო საშუალებები, ქვანახშირის, ხეტყის, საწვავი მასალების, ტყავის, კვების პროდუქტების მარაგი. 17-დან 45 წლამდე ასაკის ბრიტანელებს ელოდათ დეპორტაცია, კონტინენტზე სამუშაოდ იძულებითი გაგზავნა. მზად იყო გესტაპო და სს. 1940 წლის 1 აგვისტოს გერინგმა დაავალა ჰიმლერს, ინგლისში მოქმედებისათვის მოემზადებინა უშიშროების პოლიციისა და სდ სპეციალური ნაწილები. მომზადებული იქნა სპეციალური „სამძებრო ფურცელი“, რომელშიც ჩამოთვლილი იყო დიდი ბრიტანეთის ცნობილ მოღვაწეთა 2700 გვარი, რომლებიც უნდა დაეპატიმრებინათ. განსაკუთრებული სია იყო შედგენილი იმ პოლიტიკურ ორგანიზაციათა მისამართით, რომლებიც უნდა აეკრძალათ ან მეთვალყურეობის ქვეშ აეყვანათ.

***

როცა ნაცისტების კანიბალურ გეგმებზეა ლაპარაკი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ადამიანთა მოსპობის ის საზარელი ინდუსტრია, რომელიც ჰიტლერელებმა შექმნეს. რალფ ჯორდანოს მოაქვს „ყველაზე საშინელი დოკუმენტი“ — საპატენტო განაცხადი „გვამების დასაწვავ მუდმივმოქმედ ღუმელზე“ (ამ დოკუმენტს ავტორი გაეცნო ბერლინელ გამომცემელ კლაუს კუნცის მეშვეობით).

ხუთ გვერდიან საპატენტო განაცხადზე წარმოდგენილია არნახული წარმადობის გვამების დასაწვავი მოწყობილობა. დეტალური აღწერა მთავრდება „საქმიანი“ დასკვნითი რჩევით: „პროცესის ტექნოლოგიასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილი არაა ერთდროულად 50 გვამზე ნაკლების დაწვა, მათი ფერფლის გაყოფა შეუძლებელია და საჭიროა ერთობლივი დამარხვა“.

ყველაფერი ეს — „განხალხება“ (ჰიტლერის ტერმინია), შთამომავლობის გაგრძელების უფლების აკრძალვა, საკუთარი ფუძის მოშლა, არაგერმანული ეროვნების ხალხებთან ერთად ეხებოდა ქართველ ხალხსაც.

ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ უზნეობა არ არის ვამტკიცოთ, რომ ეს ომი ჩვენთვის არ ყოფილა სამამულო?

მათ კი, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, თუ რა მოელოდა კაცობრიობას ფაშიზმის გამარჯვების შემთხვევაში, შევახსენებთ ამერიკელი პროფესორის „პეტრე დიდის ცხოვრების“, „ცეცხლი და წყალის“, „ვაიმარული ქრონიკის“ და „სტალინის“ ავტორის — დე ჯონდის სიტყვებს: „ვთვლი, რომ ყველა ჩვენგანის არსებობა განუხრელადაა დაკავშირებული სტალინის სახელთან. ჰიტლერს რომ დაემარცხებინა სსრკ, არ იქნებოდნენ რუსები, თუმცა ამავე დროს არც ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები არ იქნებოდნენ“.

ავთანდილ დიასამიძე,
ისტორიკოსი, ფილოლოგი, იურისტი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი

გურული ფირალი, რომლის სიმღერით სტალინი მოხიბლულა

1945 წელს სოჭში ქართველ მეცნიერებთან შეხვედრისას სტალინს უთქვამს, რომ მას ძალიან უყვარს გურული სიმღერები, გაუხსენებია მომღერალი სიმონიშვილი და, აგრეთვე, კარგი მომღერალი და ვაჟკაცი გუთნიაშვილი, „რომელიც, სამწუხაროდ, ვერ შევინარჩუნეთ და ჩვენს პერიოდში მოკლესო“, — უთქვამს სტალინს. ეს გუთნიაშვილი მელქის გუნთაიშვილი უნდა იყოს, რადგან გვარი — გუთნიაშვილი გურიაში არ არის. არსებობს ცნობა, რომ ერთ კრებაზე, რომელიც გაიმართა ვლადიმერ ერქომაიშვილის ოჯახში, დაახლოებით 1904-05 წლებში, მელქისა გუნთაიშვილს იქ მიუყვანია სოსო ჯუღაშვილი. კრებას ასევე ესწრებოდნენ ფილიპე მახარაძე, ჭოლა ლომთათიძე, დიომოდე შალიკაძე და სხვები.

მელქისედეკ გუნთაიშვილი

მელქისედეკ გუნთაიშვილი დაიბადა 1873 წელს, პირველად ფირალად გავარდა 1889 წელს (ფირალებს შორის ის ყველაზე მეტ ხანს იყო ტყეში). მელქისედეკს ჰყავდა ბიძა სიმონა, რომლისთვისაც ბატონს ცოლის შერთვის ნება არ მიუცია, სიმონს ბევრი არც კი უფიქრია, შუბლში ტყვია დაუჭედებია ბატონისთვის და ტყეში გაქცეულა; შემდეგ ქობულეთში გადასულა, მოუნახავს სახლიკაცები, იქვე დასახლებულა და ცხოვრობდა გარდაცვალებამდე.

18 წლის მელქისედეკი ბათუმში მანთაშევის ქარხანაში მუშაობდა. იმ პერიოდში დაქორწინებულა. 20 წლისას შეუძენია იარაღი და გავარდნილა ფირალად. მისი ძმის გადმოცემით, აჭარაში ის ხოჯებსა და ბეგებს ებრძოდა. იგი შეიპყრეს და გადააგზავნეს ქუთაისში, სადაც მას მიუსაჯეს 12-წლიანი კატორღა სახალინზე სამუდამო გადასახლებით. ამის შესახებ ნათქვამია მის ერთ ლექსში (გადმოცემით, გუნთაიშვილი ლექსებს წერდა):

პირველი ჩემი შემთხვევა,
მგონი, თქვენც გაქვთ მონასმენი,
კატორღით რომ დაბოლავდა,
სუდით ჩემი განაჩენი....
რაფერ შემძულდა სიცოცხლე,
რომ გითხრა, გაგიკვირდება,
უბრალოთ რომ ვიტანჯები,
ცეცხლითაც ეს მეკიდება.
ციხეში ვზივარ საწყალი,
დამსუსტებია მუხლები,
დარწმუნდით, ჩემო ძმანებო,
ამ ტანჯვას ვერ გადურჩები.

სახალინზე მან ოთხი წელი გაატარა და 1904 წელს გამოიქცა. ერთხანს აზერბაიჯანში იმალებოდა, შემდეგ სოხუმში აღმოჩნდა, სადაც ტერაქტების სერია მოაწყო და 17 სტრაჟნიკი მოკლა. სოხუმში გუნთაიშვილის დაჭერისთვის ხელისუფლებამ ჯილდო — ხუთი ათასი მანეთი დააწესა.

აფხაზეთიდან ის ეპისკოპოსის ანაფორით, პარიკითა და წვერით შენიღბული გამოიპარა. თურმე გემზე მას, როგორც მაღალი რანგის სასულიერო პირს, დიდი პატივით ეგებებოდნენ. მშობლიურ სოფელ კვირიკეთში დაბრუნებისთანავე ჩაება ტერორისტულ საქმიანობაში და მონაწილეობდა პოლიციელებზე თავდასხმაში და იარაღის გატაცებაში. მთავრობამ ისევ დაუწყო დევნა, მისი შეპყრობისთვის კვლავ ჯილდო დაწესდა.

ფირალი რომ ვერ მოიხელთეს, დედამისი და მისი ძმა — აპოლონი დააპატიმრეს. განრისხებულმა გუნთაიშვილმა მაზრის უფროსის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ამხანაგებმა არ დაანებეს — ყველას ააწიოკებენო. მაშინ მელქისმა მაზრის უფროსს წერილი მისწერა: რას კადრულობ, მოხუც ქალს რომ ციხეში აგდებო. თუ ასეა, მაშინ შენს ცოლ-შვილს მოვიტაცებ და ტყეში წავიყვანო. მაზრის უფროსმა ეს წერილი რომ მიიღო, მესამე დღეს ფირალის დედა ციხიდან გამოუშვა.

გუნთაიშვილი ერთხანს ცნობილი ქართველი ლოტბარის — ანზორ ერქომაიშვილის დიდი გაგუის, გიგოს, ოჯახში იმალებოდა. ამ ოჯახს სხვადასხვა დროს თურმე სტუმრობდა სისონა დარჩია, დათიკო შევარდნაძე, გოგია ღლონტი... გუნთაიშვილი დღისით ოდის სხვენში იმალებოდა, ღამით კი ჩამოდიოდა და ძმებ ერქომაიშვილებთან ერთად ქეიფობდა და

მღეროდა. მელქისას იმდენად კარგი ხმა ჰქონია, რომ ერთხელ მისთვის არტემ ერქომაიშვილს უთქვამს:. „შენ რომ მთავრობა შეგირიგდეს, აუცილებლად ჩემს გუნდში ჩაგრიცხავდიო“.

...ერთ საღამოს გიგოსთან აღელვებული მისულა ალფეს თოიძე და უთქვამს, სტრაჟნიკები ამაღამ მაკვანეთში მოდიან... როგორც ჩანს, საიდანღაც გაიგეს, რომ მელქისი თქვენთან აფარებს თავსო. გიგომ სწრაფად აფრინა ბავშვები და მომღერლები მოაყვანინა. ამასობაში ძმები ერქომაიშვილები მელქისთან ერთად ტყეში გავიდნენ... მთელი ღამე იარეს და გამთენიას მელქისა სოფელ გომში მიიყვანეს ერთი მეგობრის ოჯახში.

ერთი საათის წასული არც იქნებოდნენ მელქისი და ძმები ერქომაიშვილები, რომ სტრაჟნიკებიც მოვიდნენ, მაგრამ მათ დახვდათ რამდენიმე მომღერალი, რომლებიც სამზადში ქეიფობდნენ და არაჩვეულებრივად მღეროდნენ. პოლიციის უფროსი მათ სიმღერებს თურმე მოჯადოებული უსმენდა. „უკაცრავად, ბატონო გიგო, ამისთანა მომღერლებთან ყაჩაღებს რა უნდა“, — უთქვამს და მერე მათთან ერთად დილამდე უქეიფებია. სამშვიდობოს გასულმა გუნთაიშვილმა ძმებ ერქომაიშვილებს მადლობის ნიშნად ლექსი მიუძღვნა:

იცოცხლეთ, ძმებო, სამთავემ,
ლხინში ჩასწმინდეთ ყელები,
დასჭექეთ ქართულ ენაზე
სიმღერა ძველთა ძველები,
ლხენით დაატკბეთ ჩაგრული
ძმები, სიმართლის მცველები,
ბანს შემოგძახებთ ღიმილით
სამშობლოს მთა და ველები...

ამ ლექსზე არტემ ერქომაიშვილმა სიმღერა შეთხზა, რომელსაც ძველი მომღერლები დღესაც მღერიან.

გუნთაიშვილი ისეთი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ყოველი ახლადგამოჩეკილი ფირალი მასთან მიდიოდა: „...თუ ხალხში როგორი ზრდილობა იყო საჭირო, ორგანიზაციაში როგორ უნდა მუშაობა, მტერს როგორ უნდა მოქცევა და ნამუსი და თავმოყვარება ესენი ყველა უნდა მელქისის ესტავლებია...“

ერთხელ მაზრის უფროს მახარაძეს კრება მოუწვევია, დამუქრებია ხალხს, ფირალთა მფარველობისთვის; ასევე წარუდგენია ფირალების ხელშემწყობთა 30-კაციანი სია. ამის შემდეგ გუნთაიშვილი თავის ამხანაგებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ დათიკო შევარდნაძე, სიმონ ბურჭულაძე, კოლია შავიშვილი, კიკია მამულაიშვილი, ღამით მაზრის უფროსს წამოადგა სახლში. მახარაძეს სუფრა გააშლევინეს, იქეიფეს, შემდეგ გამოატანინეს სია და ბუხარში დაწვეს, თან დაემუქრნენ: თუ კიდევ ასეთები გაბედე, იცოდე, მოგკლავო, ვერსად დამემალებიო...

1905 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგდროინდელ რეპრესიებს ის გადაურჩა, მაგრამ ფირალობას ისევ განაგრძობდა. 1918 წელს თურქეთმა ოზურგეთი და გურიის ნაწილი დაიკავა, ჯარი ძარცვავდა და აწიოკებდა მოსახლეობას. გუნთაიშვილმა სხვებთან ერთად პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა თურქების წინააღმდეგ და, როგორც ამბობენ, დიდი ზარალი მიაყენა მათ. თურქეთის მთავარსარდალმა იკითხა, ყოველ ფრონტზედ სიწყნარე მაქვს და აქანა ვინ არის ასეთი... სულ სროლა არის, ყოველდღე და ღამე, რაში არის საქმე, აღარ ვიცი. ამდენი ხალხი, ფრონტიდან მოვდივარ და, არ დამკარგვიაო. მაშინ

უთხრეს თურქეთის მთავარსარდალს, თურმე, ამ ადგილას ცხოვრობს მელქისი გუნთაიშვილი, 40 წლის, ძველ ნიკოლოზის მთავრობას ებრძოდა და რამდენი ხალხი დაუწყვიტა... ვინ იცის, ძალოვანი ძალას ხმარობდნენ, მაგრამ ვერაფერი დააკლენო... თურქებმა თურმე მოლაპარაკება გამართეს გუნთაიშვილთან და ჯარი ორი კილომეტრით უკან დასწიეს.

გასაბჭოების შემდეგ მელქისედეკ გუნთაიშვილი ქობულეთში კომისრის თანამდებობაზე მუშაობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი ძმის მკვლელი სიცოცხლეს გამოასალმა, კვლავ აიღო ხელში თოფი და ფირალობას დაუბრუნდა. მას ამჯერად საბჭოთა მილიცია დასდევდა. ერქომაიშვილებთან ყოფნისას გუნთაიშვილს უთქვამს: **„მე მთავრობას ცოცხალი არ შევურიგდები, კობა (სტალინი) იმდენად ჭკვიანი კაცი იყო, რომ, ვერ დავიჯერებ, ეს ყველაფერი იცოდეს, რაც დღეს ჩვენთან ხდება; ნეტავი, ერთი შემახვედრა და მასთან გულახდილად მასაუბრა...“**

მელქისედეკ გუნთაიშვილი და მისი მეგობარი ფირალები — შამილ დარჩია და ჯამბულეთა ღლონტი თურქეთის გავლით საფრანგეთში აპირებდნენ გაქცევას. ისინი ოზურგეთთან ახლოს ერთ ოჯახში აფარებდნენ თავს, მაგრამ ღლონტმა ისინი გასცა. მათ თავს მილიციონერთა დიდი რაზმი დაესხა. ორმხრივი სროლის შედეგად გუნთაიშვილი დაიჭრა, შამილს მისი დატოვება არ სურდა, მაგრამ მელქისედეკმა აიძულა, წასულიყო. დაჭრილი ბოლომდე იგერიებდა მტერს, მაგრამ მაინც ჩაიგდეს ხელში, ცხენის ძუაზე გამოაბეს და მანამდე ათრიეს, სანამ არ მოკვდა. ეს მომხდარა 1929 წელს (სხვა მონაცემებით, 1933 წელს).

***

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის **სიმონ გუგუნავას** 1892 წლის 4 მარტით დათარიღებული წერილი ივერიის რედაქციისადმი. ეს წერილი პასუხია 1892 წლის 5 იანვრის გაზეთ Кавказъ-ში დაბეჭდილი სტატიისა (ავტორი უცნობია), რომელიც ფირალობის თემას ეხება. სტატიას ძლიერ აუღელვებია გუგუნავა, რაც წერილის ტონიდან და შინაარსიდანაც ირკვევა. ის ანონიმ ავტორს მიმართავს: **„...ვფიქრობ, რომ თქვენ გურული არ უნდა ბრძანდებოდეთ და უმართლოდ მითვისებული უნდა გქონდეს გურულობის წოდება. ...იმ კითხვის შესახებ, ვითომც გურულები შრომის უჩვეულობით და სიზარმაცით გადიოდნენ ფირალად, ეს მოსაზრება ყოვლად შემცდარი და უსაფუძვლოა, რადგან საზოგადოდ გურულები მეტის მეტი გამჭრიახნი და მახვილგონიერნი არიან...“** შემდეგ ის ყურადღებას ამახვილებს იმ დეტალზე, რომ 1879 წლამდე **„...ერთი ავაზაკი არ ყოფილა გურიიდან გავარდნილი“** და ამას მაზრის იმდროინდელი უფროსების დამსახურებას მიაწერს. სიმონ გუგუნავა წერს: **„...გურულები საზოგადოთ მეტის მეტის კეთილშობილური თავმოყვარეობით ამპარტავნობენ და თვითოეული მზად არის, იოტის ოდენა შეურაცხყოფისათვის თავის თავი მსხვერპლად შესწიროს. აქ სისასტიკე და სიმკაცრე ვერავითარ კეთილ ნაყოფს ვერ მოუტანს მაზრას თვინიერ ვნებისა და უბედურების მეტს, ამისთვის აუცილებელი საჭირო არის, რაოდენ შესაძლო იქნება და მოუხერხდება, ადგილობრივი მმართველობა ზოგჯერ მაინც მოქმედებდეს ხალხის შეთანხმებულად ზნეობრივის და ესრედ მოხერხებულისა და პოლიტიკურის მმართველობით საქმე გაკეთდება გურიაში...“**

სიმონა დოლიძე

მოამზადა
აკაკი ფიტაიშვილმა

ანდრეი ბელი:

«ტრფიალი ვარ საქართველოსი»

გამოჩენილ რუს მწერალ ანდრეი ბელიზე რომ სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ და ადვილი აღსაქმელი გახდეს საქართველოსადმი მისი სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, მის ბიოგრაფიულ შტრიხებს უნდა გავეცნოთ, რადგანაც სწორედ აქ გვხვდება ჩვენთვის ყველაზე საინტერესო დეტალები.

ანდრეი ბელი (იგივე ბორის ნიკოლოზის ძე ბუგაევი) დაიბადა 1880 წლის 14 ოქტომბერს მოსკოვში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. პირველი ლექსი 1901 წელს გამოაქვეყნა. მან პირველმა გამოიყენა ლექსისა და პროზის რიტმის თეორიის დამუშავებაში მათემატიკური მოდელი. იგი იყო სიმბოლიზმის თეორეტიკოსი.

ანდრეი ბელი 1927 წლის 13 აპრილს მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში დასასვენებლად. მისი მარშრუტი იყო — მოსკოვი-ბათუმი-თბილისი-საქართველოს სამხედრო გზა-ვოლგა-მოსკოვი. ციხისძირში მწერალს 15 მაისს ცნობილი რუსი რეჟისორი **ვსევოლოდ მეიერხოლდი** ესტუმრა მეუღლით. აქ მან დაჰყო 18 მაისამდე. 19 მაისს კი თბილისს გაემგზავრა და ბინა ვ. მეიერხოლდთან დაიდო. როდესაც მთაწმინდიდან გადმოხედა თბილისს, აღფოთრვანებულმა წამოიძახა: **„თბილისი რამდენიმე პატარა თბილისისგან შესდგებაო“**. 23 მაისს მწერალმა დაათვალიერა ზაჰესი, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, წაიხემსა „თეთრ დუქანშიც“; 24 მაისიდან ბორჯომში ისვენებდა, ხოლო 5 ივნისს „მშობლიურ“ ციხისძირს დაუბრუნდა. აჭარის ნახვამ მწერალს ათასი ფიქრი აუშალა, სიყვარულითაც მოეფერა და ლექსიც უძღვნა:

...И мне Батум дарит бамбук
и чаква угощает чаем...

უბის წიგნაკში კი ჩაუწერია: **„აჭარის ლანდშაფტი კეთილშობილია. სიგიჟემდე ფუფუნებაა, გაგიჟებამდე მშვენიერია... აჭარა დელაკრუას ტილოა — აქ ყოფნისას მოვიგონეთ პოეტ ფეტის ლექსები, მაგრამ ციხისძირში, ფეტი კი არა, პუშკინი უნდა გაიხსენო“.**

იმხანად პაოლო იაშვილი ქობულეთში აპირებდა დასვენებას და, რაკი ციხისძირში ანდრეი ბელი ეგულებოდა, 10 ივნისს მასთან შეიარა. რუსი მწერალი მოგვიანებით გაიხსენებს: **„პირველი სიტყვებიდანვე პაოლო იაშვილი ახლობელი და გასაგები გახდა ჩემთვის. თითქოს მთელი წელია, ვხვდებოდით ერთმანეთს, იგი ჩემი წიგნების მეშვეობით მიცნობდა — მე კი მაშინვე შევიცანი“.**

პაოლო იმ დღეს ბელისთან დარჩა. საუბრისას რუსმა კოლეგამ თქვა: **„მე თვით ვეძებდი შემთხვევას, უფრო ახლოს გამეცნო ჩემი ქართველი ლიტერატორი ძმები. მე მათზე დიდი ხნის წინათ მსმენია, შეიძლება ბალმონტისაგან, როდესაც იგი რუსთაველზე ქადაგებდა; მე ვიცოდი, რომ ტფილისი არის პოეტური კულტურის ცენტრი; მახსენდება 1921 წელს ს. გოროდეცკის გადმოცემით ტფილისში მიწვევის სურვილი, მე გული მომიწევდა პოეტური საქართველოსკენ“.**

ანდრეი ბელიმ საღამოს ცისფერყანწელების მეორე ლიდერი — ტიციანი გაიხსენა და „წერად დაჯდა“: **„ცისფერყანწელების გარშემო დაჯგუფებულ ამხანაგებსა და ძმებს ძმური სალამი ხელოვნების დარგში თანამოძმისა და ამხანაგისგან, რომელსაც ყოველთვის უყვარდა საქართველო პუშკინისა და ლერმონტოვის მიერ შექმნილი სახეებით და რომელმაც უკვე მოასწრო ტფილისის შეყვარება იქ სტუმრად ყოფნის დროს, სულ რამდენიმე დღეში“.**

26 ივნისს პაოლომ ბელი თბილისში ჩამოიყვანა და მეგობრებმა საპატიო სტუმარი მეუღლითურთ სასტუმრო „კავკაზში“ დააბინავეს. 27 ივნისს კი... სჯობს თვით ბელის მოვუსმინოთ: **„კორექტული თავაზიანობით დილაადრიან მეწვივნენ ძვირფასი პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, მათ უნდოდათ, წავეყვანე მუზეუმებში; მე გამაოცა მათმა სტუმართმოყვარეობამ...“**

29 ივნისსაც მოიარეს თბილისი, მოიხილეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. მწერალს უბის წიგნაკში ჩაუწერია: **„მთელი დღე ხელოვნების უერთგულეს ადამიანებთან გავატარე; ვიყავი ტიციან ტაბიძესთან და ბრინჯაოსავით უდრეკ, მაგრამ თანალერსიან პაოლო იაშვილთან... მთელი დღე**

მათთან გავატარეთ და მივხვდით, რომ ისინი ერთნი არიან, პოეტთა წრის ლიდერები... უნებლიეთ ბრიუსოვი მაგონდება: რასაც ბრიუსოვი წარმოადგენდა ჩვენთვის, ახალგაზრდობისთვის... სწორედ ისაა იაშვილიც პოეტური საქართველოსთვის — რასაკვირველია, თუ ვიგულისხმებთ, რომ ახლა სხვა დროა... იაშვილი მეოცე საუკუნის არგონავტების, კოლხეთის პოეტური იაზონია... აი, დიდთვალება... ტაბიძე... ამ ქართველმა ერთ დღეში ამოიცნო ყველაფერი, მიმიხვდა გულისნადებს".

მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ტიციან ტაბიძე, ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი. სხედან: კოლაუ ნადირაძე, ანდრეი ბელის მეუღლე კლავდია ბუგაევა, თამარ იაშვილი, ნინა ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი. 1928 წ.

მასპინძლებმა სტუმარი მცხეთაშიც წაიყვანეს. მერე კი — ტრადიციული „თეთრი დუქანი". თუ მკითხველი არ მიწყენს, მცირედ გადახვევას გავაკეთებ და აღვნიშნავ, რომ, როდესაც ქართულ სუფრაზე ჩამოვარდება საუბარი, რატომღაც ღვინით სავსე ბოთლები, ყანწების ტრიალი და გაუთავებელი სადღეგრძელოები წარმოუდგებათ ზოგიერთებს. შეიძლება ზოგჯერ ასეთ სუფრასაც წააწყდეს ადამიანი, მაგრამ ეს ხომ ქართული სუფრა არ იქნება. დიდი სურვილი მაქვს, აღვწერო ქართული სუფრა, მაგრამ მეშინია, ვინმემ ტენდენციურობა არ დამწამოს, ამიტომაც ობიექტურ მსაჯულს ავირჩევ და გამოჩენილ მწერალს ანდრეი ბელის, რომელსაც ამ მხრივ ფრიად საყურადღებო მოსაზრებებიც გააჩნია, ვთხოვ, მეგზურობა გაგვიწიოს ქართულ ლხინში.

აი, რამდენიმე მაგალითი:

„გულითადი სიტყვების ზღვა. ხან ტაბიძე ლაპარაკობს, ხან იაშვილი, ხანაც მე. ბურთივით ვტყორცნით ერთმანეთს სადღეგრძელოებს, დაფრინავენ ისინი ჩუმად. თამადა ტაბიძეა. გეზს ის გვაძლევს: სიტყვა სიტყვას მოსდევს, მთავარი — მთავარს: იწერება მოთხრობა — ქართული ლიტერატურის ისტორია, ახლახან გაცნობილი თანამედროვე პოეტების ცოცხალი პორტრეტები; საუბარი კი არა და, ლექცია უფრო..."

„ამ სიმწვანეში, ხალხით სავსე მაგიდასთან დარბაისლურად ვსაუბრობთ, ყოველ ნაბიჯზე უნებლიე თავაზიანობა ვლინდება — ხალხური კულტურის ვითარებაა გამეფებული განა მარტო პოეტური სკოლის ნატიფ წარმომადგენელთა შორის, — აქ მე ჭეშმარიტი ქართველები ვიხილე..."

„რატომ არ არსებობს ასეთი წეს-ჩვეულება მოსკოვში?.. წესრიგი მაგიდასთანაც საჭიროა. ქართველები სხვაგვარად იქცევიან. ისინი კი არ „ღრეობენ", კი არ „ღრიალებენ", კი არ „ლოთობენ", მეგობრულად იკრიბებიან. ამ შეკრებას, ბუნებრივია, ასეთ საქმეში გაწაფული თამადა განაგებს. როცა ლაპარაკობენ, ღვინო მათთვის ზღვაში წვეთია მხოლოდ..."

და ბოლოს:

„ვისწავლე: ხორცით კი არ ვარ მაძღარი, არამედ — ცოდნით, ღვინით კი არა ვარ მთვრალი, არამედ — დამსწრეთა სულიერი სიღრმით; ყურთ სტრიქონების წკრიალი ჩამესმის და არა უაზრო და გაუთავებელი ყიჟინა. სუფრასთან საუბრის ქართული ძველთაძველი ადათი გაიძულებს, ყურადღებით იყო: კოლექტიური შემოქმედება; ამ ადათს მე საერთოსახალხო წეს-ჩვეულებად ვაქცევდი. დავჯექი დაღლილი, აღელვებული, ნაღვლიანი, ავდექი მხნე, სიყვარულით გამთბარი".

28 ივნისს ანდრეი ბელი კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოხსენებით წარუდგა შეკრებილთ, ისაუბრა ბლოკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მწერალმა საუბარი დინჯად, აუღელვებლად დაიწყო, მერე თანდათან მოემატა აღგზნება, ბოლოს კი ექსტაზში გადავიდა და მსმენელთა ოვაცია დაიმსახურა. ლექციის შემდეგ წვიმიან ქუჩაში გამოვიდა. ძველი ქოლგა გაშალა და მეგობრებთან ერთად ნელი ნაბიჯით გასწია სასტუმროსკენ.

ანდრეი ბელიმ საქართველოში რამდენიმე თვე დაჰყო და 3 ივლისს საქართველოს სამხედრო გზით სამშობლოში დაბრუნდა. საპატიო სტუმარი მცხეთამდე ორი მანქანით გააცილა პაოლომ, ტიციანმა, გ. ლეონიძემ, კ. ნადირაძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, პ. ინგოროყვამ...

იმდენად დიდი იყო საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები, რომ მწერალმა თბილისშივე დაიწყო მოგზაურობის დღიურის წერა, რომელსაც **„ქარი კავკასიიდან"** დაარქვა. წიგნში ყურადღება დაუთმო თბილისსა და ბათუმს.

მათ სახეცვლილებას, სამხედრო გზის მომხიბვლელობას, ტრადიციებს, ქართველი ერის სითბოს, ქართველი პოეტების პორტრეტების აღწერას. საქართველოს დედაქალაქზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ **„თბილისი თავისი ქუჩების ლაბირინთებით, ეზოებით, გრავიურებიდან გადმოსული შავკაბიანი ქართველი ქალებით საყვარელია. იგი არის შემოქმედების დაუშრეტელი წყარო“.**

ანდრეი ბელი საქართველოს 1929 წლის ივლისში ეწვია და თითქმის მთელი ზაფხული აქ დაჰყო. დიდხანს ცხოვრობდა საჩხერეში, აკაკი წერეთლის სახლში. ერთხანს კოჯორშიც ისვენებდა. აქ დაწერა „მთების სიმფონია“.

უყვარდა საქართველოზე ფიქრი მწერალს, დღენიადაგ მისკენ მოუწევდა გული. სისტემატურად სწერდა წერილებს ქართველ კოლეგებსაც. 1930 წლის 15 აპრილს ტიციან ტაბიძის სახელზე გამოგზავნილ ბარათში ბელი დაუფარავად აცხადებდა: **„ჰაერის გამოცვლა აუცილებელია, მაგრამ სად უნდა წახვიდე? ჰოდა, რაღა თქმა უნდა, მაშინვე გაგახსენდება სულის მტანჯველი, თუმცა უკვე მშობლიური კავკასია (მაგრამ ასე ხომ მიჯნურიც იტანჯება, როცა საყვარელი ქალის სიყვარულში დარწმუნებული არ არის), ჩემი სატანჯველი: ტრფიალი ვარ საქართველოს მთებისა“**. 30 ივნისს კი იტყობინებოდა: „გული კავკასიისაკენ მოგვიწევს. გეგმაც შევიმუშავეთ“.

სამწუხაროდ, მწერალმა ამჯერად ვერ შეისრულა ოცნება. საქართველოსან შეხვედრაზე ფიქრი მომდევნო წლისთვის გადაიდო. მართლაც, 1931 წელს გადაწყვიტა კიდეც საქართველოში ჩამოსვლა, მეგობრებსაც აცნობა, თბილისში, მტკვრის ნაპირზე, სახლი უნდა ავაგო და დავსახლდეო, მაგრამ... გაურკვეველი მიზეზების გამო დეტსკოე სელოში გადასახლდა. არც 1933 წელს ეწერა მის სურვილს ასრულება. იმხანად წინანდალზე ოცნებობდა, მაგრამ გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გულმა შეუტია, ხოლო სამი თვის შემდეგ, 1934 წლის 8 იანვარს, გარდაიცვალა მოსკოვში.

მამია ჩერგოლეიშვილი

ანდრეი ბელი

განდეგილი

მე ვტოვებ ქალაქს საღამოისას,
მაკრთობს ხმაურით, ხმებით მგრგვინავით,
თუმცა შორიდან ისევ მოისმის
ხმა მოქირქილე და დამცინავი.

იქ მარადიულს წლები შევწირე,
არც გიფიქრიათ ჩემი დანდობა,
მყისვე ჩამქოლეთ, არ შემეწიეთ,
თქვენ ჩემი ტანჯვით გსურდათ გართობა.

გტოვებთ, რამეთუ ვარ განდეგილი,
თავისუფლებას ვეღარ წამართმევთ,
გავრბივარ მწირი, ობლად შთენილი,
პურის ყანაში, მზე რომ ანათებს.

გავრბივარ ისევ და გზას მილოცავს
ვრცელი ველები და მე არ ვცხრები,
მე დავეცემი ლურჯ ღიღილოსთან,
მიწას ჭაღარით მივენარცხები.

ყვავილო, ნამით კვლავ დამასველე,
მაპკურე შენი ბროლის წვეთები,
მე მეამბოხე სულს მოვასვენებ,
სულს გატანჯულს და მოვითენთები.

მზე ჩადის, სხივი ჩუმად მიცოცავს,
მზე ჩამავალი ზეცის ფერს შეცვლის,
გრილი ნიავი თმას ამიწეწავს,
თმას ამიწეწავს ადრე შევერცხლილს.

ქუჩაში

უცებ ქუჩაში ეტლი იხუვლებს,
გაჰყვება მჭახე გამოძახილი,
მე მივეყრდნობი რკინის რიკულებს
გაოგნებული და თავდახრილი.

ყმუის ქარბუქი და ძვლებში ატანს
უჟმური სივრცე, შემაშფოთები,
და ნეკერჩხლები რკინის ლატანებს
ეხეთქებიან წითელ ფოთლებით.

ასდის ოქტომბრის ცივი სურნელი,
ნაცრისფერ ლოდებს სუსხი ერევა,
წითელი ბუჩქი, შვების მსურველი,
მიმოიფანტა წითელ ცრემლებად.

შემოგარენში მიმოიფანტა,
მიმოეფინა ქალაქს ვედრებით,
მერე ჰაერში წამოიმართა
მტვრისა და შხამის შავი სვეტები.

კვამლის მორევში მივიმალები,
სახლები ძლივსღა მოჩანს შორიშორს
და ფაბრიკები ცივი მილებით
კვამლს აფურთხებენ მზიან ჰორიზონტს.

თარგმანა ბივი ალხაზიშვილმა

თბილისი 1910-1921 წლებში

მეოცე საუკუნის 10-20-იანი წლების თბილისის კულტურული ცხოვრება მნიშვნელოვანი მოვლენაა ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში. იმ დროისათვის ქართულ დაზგურ ფერწერას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, საქართველოში ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ მხატვრები, რომელთა შემოქმედებაც რუსულ პერედვიჟნიკურ ტრადიციებს ეყრდნობოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული ხელოვნება მაინც მზად აღმოჩნდა იმისათვის, რომ კარი გაეღო ახალი მხატვრული მიმდინარეობისათვის და თავის კულტურულ ნიადაგზე ეცადა თანამედროვე ევროპული თუ რუსული ხელოვნების მიღწევების გადმოტანა.

დავით კაკაბაძე, კუბისტური ავტოპორტრეტი, 1914 წ.

უკვე 1910-იანი წლების ბოლოს თბილისს აქტიური მხატვრულ-ლიტერატურული ცხოვრება ჰქონდა. მრავალი მხატვრული გაერთიანება და წრე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მათ შორის იყო: **„ნატიფი ხელოვნების კავკასიური საზოგადოება“,** გაერთიანება **„მალი კრუგ“, „ქართველ მხატვართა საზოგადოება“, „სომეხ მხატვართა კავშირი“, „ფუტურისტთა სინდიკატი“** და მრავალი სხვა. ფუტურისტულ მოძრაობას სათავეში ძმები **ილია და კირილე ზდანევიჩები** ედგნენ, ისინი ავანგარდისტულ იდეებს 10-იანი წლების დასაწყისშივე ეზიარნენ. ამავე წლებშია შესრულებული **დავით კაკაბაძის** პირველი ავანგარდული ნამუშევრები **„დაკრძალვა იმერეთში“, „კუბისტური ავტოპორტრეტი“** და **ზიგა ვალიშევსკის „დაძრული სახლები“** (1912 წ.), ანუ **საქართველოში ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრები ახლის ძიებაში იყვნენ და ევროპული თუ რუსული თანამედროვე ხელოვნების შემოქმედებითად გააზრებას და ადგილობრივ ნიადაგზე გადმოტანას ცდილობდნენ.**

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა ორი რევოლუცია გამოიარა, მაგრამ, მიუხედავად დიდი პოლიტიკური კატაკლიზმებისა, 10-იან წლებში იქ მხატვრულ-კულტურული ცხოვრება მაინც დუღდა, ყველგან შემოქმედებითი ატმოსფერო ტრიალებდა. მხატვრულ ცხოვრებაში მიმდინარე უამრავ მოვლენათა შორის გამოირჩეოდა 1911 წელს პეტერბურგში არტისტული კაფე-კლუბის **„ბროდიაჩაია სობაკას“** გახსნა, რომელიც რუსეთის შემოქმედებითი საზოგადოების შეხვედრების ადგილად, მათ „სახლად“ იქცა.

კაფე-კლუბ „ბროდიაჩაია სობაკას“ მხატვრულ ცხოვრებაზე საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან ა. პარნისი და რ. ტიმენჩიკი, თავიანთ ნაშრომში „პროგრამი ბროდიაჩეი სობაკი“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „პომიატნიკი კულტური“.

პეტერბურგის „სარდაფის“ (ასე უწოდებდნენ „ბროდიაჩაია სობაკას“) გახსნის ისტორიას **ბ. პრონინი** ასე იხსენებს: „სობაკა“ მთლიანად მე მოვიგონე. გამიჩნდა აზრი, რომ უნდა შევქმნა რომანტიკული სამიკიტნო, სადაც ჩვენ ყველანი, „მოხეტიალე ძაღლები“, თავს შევაფარებდით, იაფად ვჭამდით და ვიქნებოდით საკუთარ ჭერქვეშ... შემდეგ ეს იდეა გავუზიარე ი. ა. საცს, ს. ი. სუდეიკინს, ნ. ნ. საპუნოვს, ვ. ე. მეიერხოლდს... მთელი 1911 წლის ბოლოს დავრბოდი პეტერბურგში და როგორც იქნა, წავაწყდი იდეალურ შენობას: კუთხის სახლი მიხაილოვსკის თეატრის გვერდით...“

სწორედ ბ. პრონინისა და ნ. საპუნოვის თაოსნობით გაიხსნა კაფე-სარდაფი „ბროდიაჩაია სობაკა“. ხოლო **1916-1919 წლებში ბ. პრონინი მეორე თეატრ-კაბარეს — „პრივალ კომენდიანტოვ“-ს ხელმძღვანელობდა. ეს კლუბიც დიდ როლს თამაშობდა პეტერბურგის მხატვრულ ცხოვრებაში. „ბროდიაჩაია სობაკა“ იქცა ისეთ კაბარედ, რომელშიც შემოქმედებითი საზოგადოება თავად იყო მონაწილეც და მაყურებელიც. მისი სტუმრები იყვნენ ვ. მაიაკოვსკი, ა. ბლოკი, მ. გორკი... კაფეში ბლოკის მეუღლემ ბევრჯერ წაიკითხა ა. ბლოკის პოემა „დვენადცატ“. აქ გამოდიოდა ა. ლუნაჩარსკიც, აქვე მოეწყო ა. ბლოკისა და ვ. მაიაკოვსკის ერთობლივი ერთადერთი პოეზიის საღამოც.** კაფესთან კიდევ მრავალი საინტერესო ფაქტია დაკავშირებული. „ბროდიაჩაია სობაკას“ ლიტერატურული ისტორია ძალზე საინტერესოა. მან დიდი როლი ითამაშა ისეთი ადამიანების შემოქმედებით ცხოვრებაში, როგორებიც იყვნენ ალექსეი ტოლსტოი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, მაქსიმ გორკი, ველიმირ ხლებნიკოვი, ანა ახმატოვა, თამარა კარსავინა, ნიკოლაი საპუნოვი, სერგეი სუდეიკინი, ვსევოლოდ მეიერხოლდი, ალექსანდრ ტაიროვი, სერგეი პროკოფიევი, ევგენი ვახტანგოვი, კუზმა პეტროვ-ვოდკინი, ივან ფომინი და მრავალი სხვა. ჩვენ კაფეს ცხოვრებიდან მხოლოდ რამდენიმე ეპი-

ზოდზე შევჩერდებით და ვეცდებით, დავხატოთ ის სურათი, რომელიც იმდროინდელ „ბროდიაჩაია სობაკაში“ სუფევდა...

კაფეში გამეფებულ ასეთ არაჩვეულებრივ ატმოსფეროს კედლების მოხატულობაც ხელს უწყობდა. აგრეთვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სერგეი სუდეიკინი, ნათან ალტმანი, ალექსეი რადაკოვი, ბორის გრიგორიევი, ნიკოლაი კულბინი, გიორგი ვერეისკი, იური ანენიკოვი და სხვები აქ ხატავდნენ უამრავ შარჟს, ჩანახატს, თეატრალიზირებული საღამოებისთვის ესკიზებს... მაგალითად, 1914 წლის 3 იანვარს მოწყობილი საღამო „სობაჩაია კარუსელ“ მხატვარ სერგეი სუდეიკინს და მხატვარსა და ხელოვნების კრიტიკოსს ალექსანდრე შერვაშიძეს გაუფორმებიათ.

თავად სარდაფის მოხატვაში დიდი როლი ითამაშა **ნიკოლაი საპუნოვმა,** რომელიც კაფეს პირველივე სეზონის შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა (1912 წელს დაიხრჩო). კაფეს ძირითადი მოხატულობა კი სერგეი სუდეიკინმა შეასრულა, რომელმაც 1911-დან 1912 წელს გარადამავალ ერთ ღამეში შექმნა „ბროდიაჩაია სობაკას“ თითქმის მთელი მხატვრობა. გადმოცემით, აქ დახატული იყო პიერო და პიერეტა, არლეკინი, დონ კიხოტი თავის როსინანტთან ერთად, სიუჟეტები ყველა დროის ფანტასტიკური რომანებიდან, უამრავი სხვადასხვა ორნამენტი და მრავალი სხვა.

ორი დიდი კედელი **მ. კულბინს** მოუხატავს. მისი და ს. სუდეიკინის მხატვრობა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა თურმე. ფანტასტიკური კაშკაშა ფერები, უცნაურად დეფორმირებული ფიგურები, ქალები, ჩიტები, ზანგები, შიშველი ვენერა ზურგით, არაჩვეულებრივი ფერთა შეხამებები – თითქოს ყველაფერს „აღმოსავლეთის, სპარსეთის სურნელი ასდიოდა. „7 სუდეიკინის მხატვრობამ ჯერ კიდევ „ბროდიაჩაია სობაკას“ არსებობის დროს დაკარგა თავისი სიკაშკაშე. ზოგიერთ ნაწილს თურმე დროდადრო ხელახლა ხატავდნენ. კაფეს დახურვის შემდეგ (1915 წლის 3 მარტს, ქალაქის მმართველობის განკარგულებით, ვითომდა ღვინით უკანონო ვაჭრობის გამო, „სობაკა“ დაიხურა, შემდეგ კი ვალების გამო აუქციონზე გაიყიდა), მხატვრობაც დროთა განმავლობაში განადგურდა.

ოქტომბრის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა საფუძველი დაუნგრია რუსეთის ბოჰემურ ცხოვრებას. იქაური ინტელიგენცია და არისტოკრატია „დამსხვრეული ოცნებებითა და გაურკვევლობის ბინდით მოცული მომავლის იმედებით“ ცივი რუსეთიდან თავისუფალი საქართველოსკენ გამოემართნენ.

1922 წელს **ტიციან ტაბიძე** გაზეთ „ბარიკადში“ წერდა: **„რუსეთი სამი წლის წინ – ეს იყო რაღაც ფანტასმაგორია. მართლა ასტრალური მტვერი გაყინულ სიცივით სთოვდა მაშინ რუსეთში. სამოქალაქო ომის განადგურება, ჩრდილოეთ პოლუსის ოკეანის სიცივე, შიმშილი დასული მისტერიამდე და სისხლიანი „ჩეკა“. გადმოცვენილი ემიგრანტები რაღაც არაადამიანური ტერორის ქვეშ მთელი არსებით გამოთქვამდნენ რაღაც გაუმეორებელს...**

კულტურული ადამიანები კოცნიდნენ მიწას ჩვენი თვალის წინ თბილისში და სტიროდნენ, როცა ხედავდნენ ელექტრონის სინათლეს...

ყველაზე უფრო... ვასილი კამენსკი სტიროდა კაფეში, როცა გრძნობდა სითბოს ჟრუანტელს და დაუსრულებლად რუსული ხლისტური სიმართლით ჰყვებოდა ამბებს მოსკოვის კოშმარზე, სიცივეზე, როცა ადამიანი ცხოველზე უფრო დაბლა გრძნობს თავს.

მაშინ ჩვენ გვესმოდა ეს ფრაზა, რომელიც შემდეგ ერთმა ახალგაზრდა პოეტმა გამოიტანა პრაგაში. აკადემიკოსი პოეტი ივანე ბუნინი – ამთქნარებს და ამბობს – ღმერთო, დამსვა ერთი მაინც საქართველოში.

აქედან წარმოსდგა ლეგენდა საქართველოს ოაზისობის, აქედან განმეორდა ბიბლიური ლეგენდა, რომ სამოთხე უნდა ყოფილიყო ევფრატის გადმოღმა“.

საქართველოს კულტურულ ცხოვრებას მაშინ წინ „ცისფერი ტაძრისკენ“ მიმავალი „ცისფერყანწელები“ მიუძღოდნენ. ეს ნიჭიერი, პოეტური ახალგაზრდობა გაოცებული აუდიტორიის წინაშე უცნაური ნიღბებით წარსდგა. არლეკინებისა და პიეროების სამოსელში გამოწყობილი უაღრესად მგრძნობიარე, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა ნიღბების ქვეშ იმალებოდა და ამ ხელოვნური, არაბუნებრივი გრიმასებით ცდილობდა გადმოეცა, როგორც გუ-

„სობაჩაია კარუსელ“, შ. ჟივოტოვსკის ნახატი, 1914 წ.

„ბროდიაჩაია სობაკა“-ს სარდაფი, ი. ანენიკოვი, 1913 წ.

რამ ასათიანი წერდა, „ნამდვილი პოეტების ნამდვილი ტკივილები, მწვავე შინაგანი დრამა, ნამდვილი სიყვარულისა და შთაგონების ნიჭი...“

„ცისფერყანწელები“ მხატვრებთან, პოეტებთან, მსახიობებთან ერთად ხშირად იკრიბებოდნენ კაფეებსა და კლუბებში. ამ დროს თბილისში, სანკტ-პეტერბურგის მსგავსად, უკვე არსებობდა არტისტული კაფეები და თეატრებისა და გამომცემლობების გარეთ არტისტული ცხოვრება სწორედ კაფეებში ჩქეფდა. ეს კაფეები პეტერბურგის კაფე-კაბარეების კვალდაკვალ გაიხსნა, მაგრამ მათ ადგილობრივი საფუძველიც ჰქონდა. ეს იყო XIX საუკუნის საქართველოში ასე ფესვგადგმული საოჯახო სალონების (მაგ. მაიკო ორბელიანის, ჭავჭავაძეებისა და სხვათა სალონები) და საოჯახო თეატრების (მაგ. თუმანიშვილების საოჯახო თეატრი, რომლის ჭერ-კედლებიც, სხვათა შორის, XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულს სერგეი სუდეიკინმა მოხატა) ტრადიციები. ასევე ადგილობრივი არტისტული კაფეების წინამორბედად შეიძლება დასახელდეს **თბილისური დუქანი.**

თბილისში პირველი კაფე-კლუბი 1917 წელს გაიხსნა – „ფანტასტიკური სამიკიტნო“, რომელიც იური დეგენის, სანდრო კორონას და სხვა მხატვრებისა თუ პოეტების ინიციატივით შეიქმნა. ეს იყო ქალაქის ცენტრში პატარა ოთახი, რომელიც 10-15 კაცს იტევდა. აქ ალექსეი კრუჩონიხმა, ილია ზდანევიჩმა და იგორ ტერენტევმა დააარსეს ფუტურიზმის შემსწავლელი სახლი, სადაც იკითხებოდა ლექციები ზაუმური პოეზიის შესახებ. კაფეს ხშირად სტუმრობდნენ „ცისფერყანწელები“ — გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი... სამ წელიწადში წაიკითხეს 200 ლექცია პოეზიისა და პროზის შესახებ და ასამდე პოეტი ესტუმრა კაფეს. 12 ოთახის ჭერ-კედლები მოხატული იყო ფანტასტიკური ფრესკებით და „ბროდიაჩაია სობაკას“ ასოციაციას იწვევდა. ლადო გუდიაშვილმა აქ მოხატა მარცხენა კედელი, ჭერი და საფასადო კედლის ზედა ნაწილი, პეტრაკოვსკიმ — მარჯვენა კედელი და ჭერი, კარიკატურისტმა სერ გეიმ (სკრიპიცინი) — შესასვლელის მარცხენა კედელი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ გააკეთა ნახატი კამარის მარცხენა მხარეს, რომელიც შემდეგ გააფერადა გუდიაშვილმა, პოეტმა ილია ზდანევიჩმა კამარის მარჯვენა მხარე მოხატა, პოეტმა იური დეგენმა — შესასვლელის მოპირდაპირე კედლის ნიშა და პატარა ნიშა მარცხენა კედელში და ა. შ.

1918 წელს გაიხსნა მეორე პოპულარული ბოჰემური ტიპის სტუდია „არგონავტების ნავი“ (ამჟამინდელი ოფიცრების სახლის სარდაფი). ეს აკმეისტების (პოეტთა თბილისური გილდია) შეხვედრების ადგილი იყო. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ს. გოროდეცკი (პოეტი), ს. რაფალოვიჩი (პოეტი), ა. ჩერეპნინი (კომპოზიტორი), ა. კორონა, იაკობ ლვოვი (ჟურნალისტი), კირილე ზდანევიჩი, თეატრის დირექტორი ნ. ევრეინოვი და სხვები. კაფე მოხატეს ლ. გუდიაშვილმა, კ. ზდანევიჩმა, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვმა. **რამდენიმე წლის წინათ ძეგლთა დაცვის სამმართველომ აქ საცდელი გახსნითი სამუშაოები ჩაატარა და გამოჩნდა მხატვრობის ფრაგმენტები. აღმოჩნდა, რომ ეს აქამდე დაღუპულად მიჩნეული ფრესკები შემორჩენილი ყოფილა ჭერსა და კედლებზე გადაღებილი ბათქაშის ქვეშ** (სამწუხაროდ, მოგვიანებით, დაუდევრობისა თუ უცოდინრობის გამო, ჭერსა და სვეტებზე არსებული მხატვრობა ვანდალურად ჩამოიფხიკა და ამჯერად მხოლოდ ერთ დიდ კედელზეა დარჩენილი ამ უნიკალური მხატვრობის ფრაგმენტები, რომელიც კვლავაც შველას მოითხოვს).

„ბროდიაჩაია სობაკა“-ს აბრა, მ. დობუჯინსკი

ამათ გარდა თბილისში მოქმედებდა კაფე „ფარშევანგის კუდი“. ეს იყო აკმეისტების, სიმბოლისტებისა და ფუტურისტების თავშეყრის ადგილი. მისი კედლებიც დაფარული იყო კირილე ზდანევიჩისა და ზიგა ვალიშევსკის ფრესკებით. იყო სხვა კაფეებიც: **„ძმური ნუგეში“, „ჭიქა ჩაი“, „ინტერნაციონალი“, „იმედი“, „ქართული კლუბი“, „კაფე-დარბაზი“,**

„არტისტული საზოგადოების დარბაზები“ და მრავალი სხვა, სადაც უკვე ხსენებული საზოგადოება იკრიბებოდა. ამ კაფე-კლუბებში იმართებოდა კონცერტები, საბალეტი დადგმები, თეატრალიზირებული და ლიტერატურული საღამოები, საქველმოქმედო პროგრამები, ცნობილი მსახიობების, მომღერლების, მოცეკვავეების ბენეფისები...

მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან, რომლებშიც გამოქვეყნებული იყო ზემოთ აღნიშნული კაფე-დარბაზების სარეკლამო განცხადებები:

გაზეთი „ვოზროჟდენიე“, 1920 წელი, 17 იანვარი:

„არტისტული საზოგადოების“ დარბაზებში შაბათს, 1920 წლის 17 იანვარს, ტფილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლასის უსახსრო მოწაფეთა სასარგებლოდ ეწყობა **ბალ-კაბარე:**

1) ლიტერატურული განყოფილება. მონაწილეობენ: **პაოლო იაშვილი, ქუჩიშვილი, ჯაფარიძე, ტაბიძე გალაქტიონი და კამენსკი;**

2) საკონცერტო განყოფილება. მონაწილეობენ მსახიობები: ქალბატონი ვოლ-ლევიცკაია, აგასოვა-კალანდაძე, ბ-ნი ზელინსკი, ინაშვილი, დიმოვი; ბალეტი: ბაუერვაკსი, ვაკარეცი, აღმოსავლური ცეკვები: არუს ვოსკანიანცი.

3) დიდი კაბარე. ქალბატონი ორლოვას, ლეონოვას, ბატონი პროვოროვსკის, ქურხულის, დიმოვის, ნიროვის, ანტონოვის, კურბატოვის, დარსკის და სორეევის მონაწილეობით.

გაზეთი „ვოზროჟდენიე“, 27 იანვარი, 1920 წელი:

„საზოგადოებრივი კლუბი“ (ყოფილი „არგონავტების ნავი“ გოლოვინის 10) 28 იანვარი

დიდი კაბარე საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით. ყოველ დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

გაზეთი „ვოზროჟდენიე“, 1920 წელი 6 მარტი:

ქართული კლუბი, შაბათი, 6 მარტი

გორის გიმნაზიაში დაზარალებულთა დასახმარებლად ქართული კლუბის უხუცესთა საბჭო აწყობს გრანდიოზულ საღამოს

თეატრში: 1. ქართული სპექტაკლი

2. რუსული დრამა „Тарто“

3. კონცერტი

კლუბის „კაბარე“ ყველა დარბაზში

(ორთაჭალის დუქანის ზედა დარბაზში დილის 6 საათზე)

სიმღერა, ცეკვები, კუპლეტები, დეკლამაცია

მონაწილეობენ მსახიობები ოპერის, დრამის „ტარტო“ და ქართული სტუდიის. ქორეოგრაფი ქ-ნი თარხანოვა: ლესგინკა, უზანდარი, კაურული და სხვა... ზურნა, ორღანი.

გაზეთი „ვოზროჟდენიე“ 1920 წელი 27 მარტი

ტფილისის კლუბების კავშირი

27 მარტს

თეატრი ტარტო და არტისტული საზოგადოების დარბაზები გორში მიწისძვრით დაზარალებულთა საპატივსაცემოდ აწყობენ:

გრანდიოზულ საღამოს:

ბალი-გაზაფხული: ლიდია ჯონსონი, კონსტანტინ ალპეროვი.

ცეკვები, მაზურკა ბალეტიდან კოპპელია.

კლუბის ყველა დარბაზში და მისაღებებში მფრინავი კონცერტები. მონაწილეობენ: კნიჟნა ანდრონიკოვა, ვესელოვ ზოროვა, დუნდერი, ოლგინა, ხორინა, კნიაზი ციციანოვი, შულგინი, სანდრო კორონა, პეტროგრადის და მოსკოვის უსაყვარლესი არტისტი, ცნობილი ბოში დიმიტრი მაკარეევიჩ ფესენკო.

ყველა დარბაზი მდიდრულად დეკორირებულია ა. ზალცმანის მიერ.

გაზეთი „ვოზროჟდენიე“ 1919 წელი 15 აგვისტო:

თავის გადარჩენა სიცხისა და მოწყენილობისგან, სადაც სიგრილის ზღვაა.

ქ. ტფილისი, გრანდიოზული გახსნა მხატვრული თეატრ-კაბარესი „ლურჯი გომბეშო“.

პირველი ხარისხის საოჯახო რესტორნითურთ.

მიხაილოვის ქ. თამამშვილის და მანთაშევის სახლი.

ყოველ დღე გრანდიოზული კონცერტი, დივერტისმენტები ვარშავის, კიევის, ოდესის და ხარკოვის თეატრების ცნობილი ბალეტმეისტერის მ. ა. ვალენტინოვის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ ცნობილი ადგილობრივი და დედაქალაქის კაბარეები. გასტროლები რუსული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებლის ქ-ნ გრაფინია პოტოცკაიას, დებიუტი რუსული კასკადური მსახიობის მადმაზელ ზასლავსკაიას, დებიუტი მელო-დეკლამატორის მადმაზელ ლიუსი-ლიუსის, ცნობილი იუმორისტი ქ-ნი რატოვი, პრემიერა ნომერის „არგონავტების ნავი“, თავის ცნობილ სიმ-



თბილისი, ქარვასლა

სასახლის ქუჩა, თბილისი, 1900-იანი წლების დასაწყისი

ღერას „ვაშლი“ შეასრულებს თბილისის პუბლიკის რჩეული ბ-ნი ასკოლდოვი და მრავალი სხვა.

სამზარეულო აზიური და ევროპული, შეფ-კულინარი პაპაშა-ვანიჩკა, პრინც ოლდენბურგსკის ყოფილი მზარეული. სადილის დროს უკრავს სიმებიანი კვინტეტი. კაბარეს დასაწყისი 11 საათზე“.

ამ პერიოდის თბილისზე **ბორის კერდიმანი** წერს: **„ეს იყო ის თბილისი, რომელიც ილია ერენბურგმა ნახა 1920 წელს თავისი მოკლე სტუმრობის დროს. ეს იყო ის თბილისი, რომელსაც ასე ხშირად იგონებდა ოსიპ მანდელშტამი თოვლით დაფარულ ვორონეჟში გადასახლების დროს.**

თბილისი ჰგავდა ოაზისს უდაბნოში და იზიდავდა მათ, ვინც ცდილობდა ომისა და რევოლუციის ქარიშხალს გაქცეოდა.

მენშევიკების დროს საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა თეთრებთან და წითლებთან. მარშრუტი ყირიმიდან მოსკოვში და სანკტ-პეტერბურგში თბილისზე გადიოდა. მეორე მარშრუტი თბილისიდან ბათუმის გავლით კონსტანტინეპოლში და იქიდან ევროპაში გადიოდა. ასე რომ, გასაგებია იგორ ტერენტიევის გამონათქვამი, **„მაიდნიდან მატარებელი პირდაპირ ევროპაში მიდისო“,** რადგანაც პეტრე დიდის გაღებული ფანჯარა ევროპაში ამ დროს ისევ მჭიდროდ დაიხურა“.

გრიგოლ რობაქიძე ასე აღწერს მაშინდელ თბილისს:

„ტფილისი უცნაური ქალაქია, ხოლო 1919-1920 წლებში კიდევ უფრო გაუცნაურდა. გამორეკილი თუ გამოქცეული რუსები თავს აქ აფარებდნენ. სცენიდან გაისმოდა კოჩალოვის ხმა... ტფილისშივე იყო ხოდოტოვი, სცენიდან მისი ხმაც ისმოდა. კომპოზიტორი ჩერეპნინი კაფეში შედიოდა მთვრალი და ნაღვლობდა რუსეთზე. მხატვარი სერგეი სუდეიკინი რესტორანს ხატავდა, რომელსაც ქართველმა პოეტებმა „ქიმერიონი“ დაარქვეს – სუდეიკინმა მართლაც აავსო რესტორანი ქიმერებით. მხატვარ საველიი სორინს ყელმოღერებულ თავადის ასულების პროფილები ტილოზე გადმოჰქონდა ლამაზი, მეტად ლამაზი ხაზებით... ვინ არ იყო მაშინ ტფილისში? ფუტურისტებმაც აქ გადადგეს ნაბიჯი დადაიზმისკენ. მათ შექმნეს ორგანო **„41 გრადუსი“.** ტფილისშივე იყო ილია ზდანევიჩი, დიდებული იყო, როცა კაფეებში თავის „სმერტ გაპპოს“-ს კითხულობდა... ვასილი კამენსკიც ეწვია მაშინ ტფილისს... იყვნენ სხვებიც.

ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. კაფე „ინტერნაციონალში“ კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდნენ — პოეზია მარტო ტფილისშიაო... ქვეყანა მართლაც იქცეოდა და მხოლოდ ტფილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ასეთ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა.

ასეთი იყო ტფილისის ფანტასტიკა...“

რუსული კოლონია მაიდნის მახლობლად დაარსდა.

ამ დროს თბილისში ლიტერატურული ჯგუფების, წრეების, სალონების, გაზეთებისა და სტამბების მთელი რიგი აღმოცენდა. სერგეი გოროდეცკიმ „პოეტთა თბილისის კავშირი“ დააარსა. იური დეგენმა ჩამოაყალიბა ხელოვანთა ასოციაცია აბჯარი, თავისი საკუთარი პოეტთა კავშირით. ტატიანა ვეჩორკამ თავის გარშემო შემოიკრიბა ჯგუფი, რომელსაც „ალფა-ლირა“ დაარქვეს. ს. გოროდეცკიმ (პოეტი) გამოსცა ჟურნალი „ARS“-ი, ი. დეგენმა ჟურნალი „ფენიქსი“, რაფაელ ოვიჩმა „ორიონი“ და ბორის კორნეევმა (პოეტი, კრიტიკოსი) „ქერილონი“. ბორის კორნეევი და ვასილი კატანიანი „ARS~-ის გამომცემლებიც იყვნენ.

ილია ზდანევიჩმა და კრუჩონიხმა ჩამოაყალიბეს ფუტურისტთა სინდიკატი, რომელშიც მათთან ერთად შედიოდნენ კირილე ზდანევიჩი და ლადო გუდიაშვილი, პოეტები ნიკოლოზ ჩერნიავსკი და ყარა-დარვიში. ეს გაერთიანება მალე დაიშალა ჯგუფებად. ილია ზდანევიჩმა, ალექსეი კრუჩონიხმა და იგორ ტერენტიევმა შექმნეს ახალი გაერთიანება „41 გრადუსი“ თბილისის გეოგრაფიული განედის პატივსაცემად და ასევე, იმის აღსანიშნავად, რომ ადამიანის ორგანიზმისთვის ეს არის შესაძლებელი უმაღლესი ტემპერატურა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის ბოჰემური ცხოვრების მებაირაღენი „ცისფერყანწელები“ იყვნენ.

როდესაც „ცისფერყანწელებმა“ გადაწყვიტეს, ჰქონოდათ თავშეყრის ადგილი, საკუთარი კაფე, ისინი რესტორან „ანონაში“ დამკვიდრდნენ, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე, არტისტული საზოგადოების თეატრის შენობის

სარდაფში მდებარეობდა (ახლანდელი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ქვედა ფოიე). დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ კაფეს სახელიც შეურჩიეს — „ქიმერიონი“ (სახელი აღებულია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსიდან, ხოლო იდეა გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნოდა).

„ქიმერიონი“ — ეს ახლად წარმოებული ტერმინი მწერლებმა და მხატვრებმა ყოფილ „ანონას“ რესტორანს უძღვნეს.

მართლაც, მიზანშეწონილია ეს სახელი. მობძანდით, დარწმუნდებით.

ყოველი წერტილი რესტორნის შესასვლელისა თუ ჭერ-კედლების ახალი მხატვრობით არის მოფენილი. მე არ ვკითხულობ, ვის კალამს ეკუთვნის თითოეული ხაზი ამ მოხატულობათა, ეს კია, რომ მხატვრებს ჯადოსნური ფანტაზია გადაუტყორცნიათ დროსა და სივრცის მიმოხლართულ უფსკრულებისკენ...

აგერ მე ისევ შესასვლელშივე ვარ. ვუმზერ და ვტკბები. ვტკბები და ვიკარგები. ფერადთა უცნაური ორკესტრაცია. აი კედლებიც, აქ ყოველისფერია, ყოველისფერი. აი ეს თაღები, ეს ხავერდოვანი ფერადები ამ კედლების. მოსთვალეთ, მოსთვალეთ თუ შეგიძლიათ...“ — წერდა დავით კასრაძე.

„ალბათ, მთელს ქვეყანაზე არ არის კაფე, რომელიც იტევდეს იმდენ შთაგონებას და შემოქმედებას, როგორც „ქიმერიონი“, – წერდა ტიციან ტაბიძე.

გიორგი ლეონიძეს აქ ქორწილიც გადაუხდია. „მთელი ღამე ლექსების კითხვა ისმოდა, სუფრა სანოვაგით ვერ ბრწყინავდა, მაგრამ ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს, ეფიცებოდნენ ერთმანეთს ძმობას და ასე გრძელდებოდა დილამდე“, — იხსენებს ლადო გუდიაშვილი.

„ქიმერიონის“ დარბაზის მოსახატად მოუწვევიათ იმ დროს თბილისში მყოფი, რუსეთის საიმპერატორო თეატრის მხატვარი, პარიზის დიაგილევის სეზონის ოსტატი-

შენობა რუსთაველის პროსპექტზე (ყოფილი გოლოვინის ქუჩა, რომლის სარდაფშიც იყო არტისტული კაფე „ფანტასტიკური სამიკიტნო“

დეკორატორი, პარიზის კაფეების მოხატულობის შესანიშნავი მცოდნე — სერგეი სუდეიკინი. რომელსაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, გაფორმებული ჰქონდა რამდენიმე კაფე რუსეთში. მასთან თანამშრომლობდნენ დ. კაკაბაძე და ლ. გუდიაშვილი. ზოგიერთი ცნობით, აქვე მუშაობდნენ კირილე ზდანევიჩი და ზიგა ვალიშევსკი (თუმცა, ფაქტობრივი მასალით, ეს ცნობა არ დასტურდება). დარბაზის გვერდითა სათავსოები ცოტა მოგვიანებით, 20-იან წლებში **მოსე და ირაკლი თოიძეებს** მოუხატავთ.

კაფე იხატებოდა 1919 წელს. იმ ატმოსფეროს **ნინა მაყაშვილი** ასე აღწერს: **„კაფეში ღამ-ღამობით დავიარებოდით, მხატვრები კიბეებზე ისხდნენ, ჩვენ ქვევით ველოდებოდით. სასმელ-საჭმელი მიგვქონდა ხოლმე. სუდეიკინი აღფრთოვანებით გვიყვებოდა იმ ადამიანებზე, რომლებიც დამსხვრეულ სარკეებში იყურებოდნენ – ეს საოცარი იმპროვიზაცია იყო.**

დილით მოჯადოებულები ვბრუნდებოდით შინ...“

თავად ს. სუდეიკინზე კი შემდეგს მოგვითხრობს: „ტიციანი მოხიბლული იყო სუდეიკინით. ღია ცისფერი თვალები, მსუბუქი სხეული, ჭეშმარიტად ანტიკური. ასე ორმოცი წლის იქნება, მაგრამ ყველას ლიცეისტი ეგონება! ნამდვილი დორიან გრეია. მისი ნათელი თვალები დღესაც ახალგაზრდულ იერს ინარჩენებენ და შემოქმედებითს აღმაფრენასთან ერთად რაღაც სასოწარკვეთილებასაც ფარავენ.“

„სუდეიკინს მუდამ თან ახლდა მეუღლე – ვერა არტურის ასული, ლამაზი, ცისფერთვალება, გამვლელ-გამომვლელები თვალს აყოლებდნენ, ისეთი ლამაზი წყვილი იყო. ტიციანს აღაფრთოვანებდა მათი უსაზღვრო სიყვარული, ვერა არტურის ასულის საოცარი თავგანწირვა...“ (აქ შევნიშნავთ, რომ ვერა ლური-სუდეიკინა რამდენიმე წელიწადში, ამერიკაში ჩასვლის შემდეგ, ცოლად გაჰყვა კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის).

კაფე „ქიმერიონში“ მოხდა თანამედროვე რუსული და ქართული მხატვრობის შერწყმა. თანაც ეს შერწყმა იმდენად ორგანული და ბუნებრივი იყო, რომ, მიუხედავად ამ სამი მხატვრის სრულიად გამოხატული სხვადასხვა ხელწერისა, მოხატულობა ერთიან ან-

სამბლურობას ემორჩილება და საერთო თეატრალურ, ოდნავ მისტიურ განწყობასაც ქმნის.

ჟურნალ „ხათაბალას“ 1920 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: „29 თებერვალს „ქიმერიონში“ გაიხსნა ქართველ მწერალთა II ყრილობა... მთელი დარბაზი ერთ დიდ მხიარულებას წარმოადგენდა, ყველაფერი იცინოდა, ყველას სახე უღიმოდა, საცოდავი პატარა ქიმერებიც კედლებიდან ჩამოცოცებულიყვნენ და სიხარულისაგან, კბილდაკრეჭილნი მისჩერებოდნენ მწერლებს...“

იქაურ საღამოებს პაოლო იაშვილი დირიჟორობდა. ლექსებს ამბობდნენ გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, შალვა ამირეჯიბი, ლელი ჯაფარიძე, აქ ლექსი უთქვამთ კონსტანტინ ბალმონტს, სერგეი გოროდეცკის, ილია ზდანევიჩს და მრავალ სხვას...

1920 წლის ოქტომბრის მიწურულს აქ მოეწყო ბოლო საღამო – „კონცერტი კაბარე“, ხოლო **1920 წლის ბოლოს ლიტერატურულმა კაფე-კლუბმა „ქიმერიონმა“ არსებობა შეწყვიტა.** 1920 წლის დეკემბერში ყოფილი კაფე „ქიმერიონის“ დარბაზში იხსნება ჩვეულებრივი რესტორანი, რომელსაც ჯერ კიდევ „ქიმერიონს“ უწოდებენ, მაგრამ მას აღარაფერი აქვს საერთო ძველ ლიტერატორთა კაფე-კლუბთან. 1921 წლის ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში ვლადიმერ წილოსანი წერს: **„...როცა სუდეიკინმა გაიგო, რომ „ქიმერიონი“ კაბარედ გადაიქცა, ის დარდისაგან ავად გახდა და მოითხოვა, რომ მისი თანდასწრებით ეს სახელი აღარ ეხსენებინათ...“** და იქვე: **„საწყენია, რომ სუდეიკინის ასეთ ღირსეულ შემოქმედებას, ამ ხელოვნების ძეგლს, გაკეთებულს ასეთი სიყვარულით ქართველი პოეტებისადმი და მხატვრებისადმი, შეეყრებათ სიგარეტის ნამწვავები, შეესხმებათ ღვინის ნარჩენები და ის გახდება მოქეიფე კამპანიების მასხრად აგდების საგანი...“**

ლ. გუდიაშვილი, „სტეპკოს დუქანი“, „ქიმერიონის“ მოხატულობიდან

იმდროინდელი არტისტული საზოგადოების და განსაკუთრებით, „ცისფერყანწელების“ ბოჰემური ცხოვრება არც თუ ისე ერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა საზოგადოებაში. მრავალნი კიცხავდნენ მათ და ხშირად არც კი იღებდნენ თავიანთ წრეებში. ბევრმა არ ცის აპატია „ცისფერყანწელებს“, რომ „წითლების“ მოსვლას ისინი თბილისის ქუჩებში თეთრი დროშების ფრიალით შეხვდნენ. თუმცა ამ ფაქტის ახსნაც შეიძლება, თუ შევეცდებით, რომ ჩავწვდეთ მათ განწყობას და ხასიათს. მაგალითად, პაოლო იაშვილის პირველთქმა-მანიფესტში ვკითხულობთ: „...შეითვისეთ უარყოფის სილამაზე, გმირული სიჩქარე, განათებული სიმაღლის სიყვარული, მღელვარების სიდიადე, დამსხვრევის იდუმალება. გიყვარდეთ მეხური მისტერიები, ცეცხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა განადიდა, გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს...“ ბავშვური მეამიტობით განმსჭვალული „ცისფერყანწელებისთვის“ რევოლუცია სწორედ ასეთ მოვლენად იხატებოდა, მათ ხომ გარდა სიმბოლისტური ნიღბებისა, ფუტურისტული ლოზუნგებიც შეეთვისებინათ და ყოველგვარი რევოლუციური, ახლის მომტანი, მოძრაობისა და აქტიური მოქმედების გამომწვევი რომანტიკულად და იმედისმომცემად ეხატებოდათ...

თავისუფალი საქართველოს თბილისის კულტურული ცხოვრება ოთხ წელიწადამდე გაგრძელდა. ბრიტანელმა ჟურნალისტმა **კარლ ბიჰოფმა** ასე აღწერა მაშინდელი ქალაქი: **„აქ ძალიან უცნაურ ხალხს იპოვით, პოეტებსა და მხატვრებს პეტროგრადიდან და მოსკოვიდან, ფილოსოფოსებს, თეოსოფებს, მოცეკვავეებს, მომღერლებს, მსახიობებს. პაოლო იაშვილი, ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლიდერი, თბილისის მთავარ ბულვარში, კაფე „ინტერნაციონალში“ გულითადი სუფრით შთაგონებული ავიდა სკამზე და ხმამაღლა წარმოთქვა — არა პარიზი, არამედ თბილისი არის მსოფლიო კულტურის ცენტრი“.**

მზია ჩიხრაძე

არქიტექტორი მიხეილ ნეპრინცევი

მიხეილ ნეპრინცევი ერთ-ერთი ცნობილი სახეა XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ცნობილ არქიტექტორებს შორის. არქიტექტორია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ქართული არქიტექტურის ისტორიაში. იგი დაიბადა 1877 წლის 22 აგვისტოს (ძვ. სტილით) თბილისში. მისი მამა — ნიკოლოზ ნეპრინცევი (1847-1931), დაბადებული ქ. ელისაბედპოლში (ამჟამად ქ. კიროვოგრადი, უკრაინა), სამხედრო ტოპოგრაფი იყო. თბილისში იგი 1870-იანი წლების დასაწყისში ჩამოსულა და კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში მსახურობდა. ამასთან ერთად, ასწავლიდა თბილისის მიწათმომწყობ სასწავლებელში. დედა – ანა სმირნოვა, თბილისის მკვიდრი იყო, დიასახლისი.

საშუალო განათლება მიხეილ ნეპრინცევმა მიიღო თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1896 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში.

მიხეილ ნეპრინცევმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო შრომითი მოღვაწეობა. 1896 წლის ზაფხულში მონაწილეობდა გეოდეზიურ სამუშაოებში ნოვგოროდის გუბერნიაში, 1899 წელს და 1900-იანი წლების ზაფხულში, როგორც პრაქტიკანტი, მუშაობდა თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობაზე. 1901 წლის ზაფხულში კი არქიტექტორ მიხეილ გეისლერთან პეტერბურგში მუშაობდა უმცროს ტექნიკურ თანაშემწედ, სადაც მიიღო მონაწილეობა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში (უფრო სწორად, მის გადაკეთებაში) დიდ საზღვაო ქუჩაზე, რომელიც ეკუთვნოდა ე. და დ. ნაბოკოვებს (ამ სახლში დაიბადა და ემიგრაციამდე ცხოვრობდა მწერალი ვლადიმერ ნაბოკოვი). ასევე, მიუღია მონაწილეობა „სცენის ხანდაზმულ მოღვაწეთა თავშესაფრის“ მშენებლობაში ე. წ. „ქვის კუნძულზე“.

სწავლის დროს მ. ნეპრინცევი, როგორც თვითონ ამბობდა, „მუშაობდა“, „თავისი მხატვრული ტექნიკის გასამტკიცებლად“ ნატიფი ხელოვნების წამახალისებელ საზოგადოებაში. ამავე წლებში იგი გატაცებული ყოფილა ველოსპორტით.

1902 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (ერთი წელი მას გაუცდა სტუდენტურ გაფიცვაში მონაწილეობის გამო) მ. ნეპრინცევი დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო **არქიტექტორად თბილისის საფოსტო-სატელეფონო ოლქში.** 1914-17 წლებში იგი მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში საერობო, საგზაო და სამოქალაქო მშენებლობის სათათბიროს წევრად, ხოლო, 1917-21 წლებში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკური საბჭოს წევრად, 1921 წლიდან 50-იანი წლების ბოლომდე კი — თბილისის სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში. კერძოდ, 1922-29 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ტექნიკურ-სახარჯთაღრიცხვო განყოფილებაში, 1935-44 წლებში — ტრესტ „საქკომუნპროექტის“ მე-2 არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელად, 1944-56 წლებში — საპროექტო ინსტიტუტ „საქპროექტის“ ქ. რუსთავის პროექტის მთავარ არქიტექტორად.

გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, მ. ნეპრინცევი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1919 წლიდან 1929 წლამდე იგი ასწავლიდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ მასწავლებლის, ხოლო შემდგომ დოცენტისა და „არქიტექტურის და სამშენებლო ხელოვნების“ კათედრის გამგის თანამდებობაზე. 1941 წელს იგი მიიწვიეს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში პროფესორის თანამდებობაზე „სამშენებლო სამუშაოებისა და ფუძესაძირკვლების“ კათედრაზე, ხოლო, 1959 წლიდან (ზემოაღნიშნული ინსტიტუტის გაერთიანების შემდეგ) — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც იგი 1962 წლმდე მუშაობდა.

საგანგებოდ აღსანიშნავია მ. ნეპრინცევის მონაწილეობა თბილისის საკრებულოს მუშაობაში, რომლის წევრად იგი არჩეული იყო (ოთხი წლის ვადით) 1908 წელს, 1912 და 1916 წწლებში, როგორც სათათბიროს წევრი, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა ტექნიკური კომისიის მუშაობაში. კერძოდ, მუხრანის ხიდის, ქალაქის ე. წ. ახალი სასაკლაოს, ელექტროსადგურის მშენებლობასთან და ბალნეოლოგიური კურორტის მოწყობასთან დაკავშირებით და სხვ. მოგვიანებით, უკვე საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, იგი იყო „ზარია ვოსტოკას“ შენობის (1926-29 წწ., რუსთაველის პრ., №42), აგრეთვე, ამიერკავკასიის საბჭოს სახალხო კომისართა შენობის (1930 წ., 9 აპრილის №6) მშენებლობის კომისიის წევრი.

1913 წ. ბოლოს და 1914 წ. დასაწყისში მ. ნეპრინცევმა თავისი ორთვიანი შვებულება გამოიყენა უცხოეთში სამოგზაუროდ, რომლის დროსაც ეწვია ევროპის რამდენიმე ქალაქს: ბერლინს, პარიზს, ნიცას, მილანს, ვენეციას, ვენას.

მასვე ეკუთვნის სამეცნიერო ნაშრომი „მასალები სკოლებისა და ტექნიკური სასწავლებლების შენობების პროექტების შედგენისთვის საქართველოს სსრ პირობებში“ (1933 წ.), აგრეთვე, ხელნაწერი სამეცნიერო ნაშრომები: „ხიდების არქიტექტურა“ (1946 წ.), „შენობების დაგეგმარება და მშენებლობა“ (1950 წ.), „რკინიგზის სადგურების არქიტექტურა“ (1954 წ.) და სხვ.

მ. ნეპრინცევი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის მუშაობაში. კერძოდ, 1930-იან წლებში იყო გამგეობის წევრი და საცხოვრებელი სახლების სექციის თავმჯდომარე. სწორედ მან გააკეთა ძირითადი მოხსენება სრულიად საქართველოს არქიტექტორთა მე-2 ყრილობაზე თემაზე — „სამშენებლო საქმის გაუმჯობესების ამოცანებზე საქართველოს სსრ-ში“.

1945 წელს მიხეილ ნეპრინცევს მიენიჭა წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის საპატიო მოღვაწე“, 1946 წელს დააჯილდოვეს „შრომის წითელი დროშის ორდენით“, ხოლო, 1949 წელს — მედლით „კავკასიის თავდაცვისთვის“. აქვე უნდა აღინიშნოს „საპატიო რკინიგზელის“ სამკერდე ნიშანი, რომელიც მას მიანიჭეს 1953 წელს, რა თქმა უნდა, მისი მნიშვლელოვანი ღვაწლის გათვალისწინებით სარკინიგზო მშენებლობის საქმეში.

არქიტექტორის შემოქმედებაში შეიძლება გამოვყოთ სამი პერიოდი: 1902-17 წლები, როდესაც იგი აპროექტებდა და აშენებდა სხვადასხვა „სტილით“, როგორც ეს ეკლექტიზმის ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი, ამავე დროს, აქტიურად ნერგავდა იმხანად ახლად შემოსულ „მოდერნის“ სტილსაც; 1922-32 წლებში იყენებდა კონსტრუქტივიზმის კომპოზიციურ ხერხებს; შემდეგი პერიოდი კი

ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. მშენებლობა დასრულდა 1917 წელს. მაშინ ეს იყო კავკასიის მუზეუმი

ხასიათდება კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურული ფორმების გამოყენების ტენდენციით. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს თვით მ. ნეპრინცევის გამონათქვამები მისივე შემოქმედების შესახებ. კერძოდ, იგი თვლიდა, რომ აღზრდილი იყო მსოფლიო კლასიკური არქიტექტურის ნიმუშებზე, 1922-32 წლებში, მისივე სიტყვით, „ის მიჰყვა საერთო ტენდენციას“ და რიგ პროექტებში გამოიყენა კონსტრუქტივისტული დაგეგმარების მეთოდები.

ორმოცდაათწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში მიხეილ ნეპრინცევმა შეადგინა 150-ზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობის პროექტი, აქედან 70% აშენებულია. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, არის: რკინიგზის სადგურები ჯულფაში და ნახიჩევანში (1904-08 წწ.); სარიყამიშში (1907-10 წწ.); ტუაფსეში (1909–10 წწ.); სომხური სემინარიის შენობა თბილისში (პ. საკაძის მოედ., 1; 1911 წ., არქიტექტორ პ. ზურაბიანთან ერთად); თბილისის რეალური სასწავლებლის შენობა (უ. ჩხეიძის ქ., №8, 1912 წ.); „ტიფლისკოე სობრანიეს“ საზაფხულო კლუბის შენობა (მდებარეობდა ახლანდელი „ვარდების ბაღის“ ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის პრ., №73), რომლის პროექტსაც მიენიჭა პირველი პრემია საქალაქო კონკურსზე 1910 წელს; თბილისის ცენტრალური სატელეფონო სადგურისა და ტელეგრაფის შენობა (1912, მდებარეობდა ახლანდელი სასტუმრო „რედისონის“) მახლობლად, რომელიც 1970 წ. სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით დაანგრიეს); საცხოვრებელი სახლები თბილისში (ა.ჭავჭავაძისის I ჩიხი, №3; 1913-14 და ინგოროყვას, №20; 1914 წ.); კავკასიის მუზეუმის შენობა (მშენებლობა დასრულდა 1917 წ., ამჟამად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი); ყოფ. მეფისნაცვლის სასახლის რეკონსტრუქცია, კერძოდ, წითელი დარბაზის ეროვნული პარლამენტის სხდომათა დარბაზად გადაკეთება (1917-21 წწ.); ტიპური საცხოვრებელი სახლები ბათუმის პორტის მუშებისთვის (1927 წ.); თეატრი ცხინვალში (ყოფ. სტალინირი), 1931-32 წწ., არქიტექტორ ვ. იაკუბოვიჩთან ერთად; რკინიგზის სადგური კელასურში (სოხუმთან; 1935-36 წწ.); დაცვითი პავილიონი ი. სტალინის სახლზე გორში (1938 წ.); პედაგოგიური ინსტიტუტი

რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი თბილისში (1937-56 წწ., თანაავტორი — არქიტექტორი ნ. გლაზკოვი, ამჟამად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი)

გორში (1939 წ., არქიტექტორ ნ. ფარემუზოვასთან ერთად); თეატრი ზუგდიდში (1941-46 წწ.); დასასვენებელი სახლი ამიერკავკასიის რკინიგზის თანამშრომელთათვის გაგრაში (1948 წ., თანაავტორი — არქიტექტორი ნ. ნეპრინცევი — შვილი); **რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი თბილისში (1937-56 წწ., თანაავტორი — არქიტექტორი ნ. გლაზკოვი, ამჟამად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი)**; ე.წ. „საქართველოს ჩაის“ შენობა (1939-50 წწ.); ტრესტ „საქნავთობის“ ადმინისტრაზიული შენობა (1941 წ., 1946-51 წწ., თანაავტორი — არქიტექტორი ნ. გლაზკოვი), ტრესტ „საქნავთობის“ საცხოვრებელი სახლი (1940-41 წწ., 1946-50 წწ., თანაავტორი — არქიტექტორი ნ. გლაზკოვი (ყველა — თბილისში მდებარეობს, კოსტავას ქ. №№59, 65, 67); რუსთავის მარცხენა ნაპირის დაგეგმარების გენერალური პროექტი (1945 წ., თანაავტორები — არქიტექტორები დ. მელიქიშვილი და ლ. ქობალაძე); რუსთავის მარჯვენა ნაპირის დაგეგმარების გენერალური პროექტი (1949-50 წწ., არქიტექტორებთან ი. ჩხენკელთან და დ. მელიქიშვილთან ერთად); კულტურის სასახლე თეატრითურთ, 750 მაყურებელზე გათვლილი დარბაზით რუსთავში (1950-55).

ამას შეიძლება დაემატოს, აგრეთვე, განუხორციელებელი პროექტები, კერძოდ, მუხრანის ხიდის პროექტი თბილისში (1904 წ., ინჟ. კარელინთან ერთად); თბილისის ფოსტამტის, მ. ნეპრინცევის სიტყვით, „გრანდიოზული“ შენობა (1914 წ., უნდა აშენებულიყო რუსთაველის პრ., დაახლოებით ახლანდელი სასტუმრო „რედისონის“ მახლობლად); გლეხთა საადგილმამულო ბანკის პროექტი (1913-14 წწ.); თბილისის III ვაჟთა გიმნაზიის პროექტი (1914 წ.), სამივე შენობის მშენებლობა იყო შეჩერებული I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით; მოზარდ მაყურებელთა თეატრი 500-ადგილიანი დარბაზით თბილისში (1929 წ.); სანატორიუმი გაგრაში (1934 წ.), საცხოვრებელი სახლები ე. წ. ATK დასახლებისათვის ქუთაისში (1936 წ., ინჟინერ პ. მამრაძესთან ერთად); საქართველოს სსრ მთავრობის მთავარი (წინა) კორპუსის საკონკურსო პროექტი (1946 წ.).

არქიტექტორის უფროსი ვაჟიშვილი — ნიკოლოზ ნეპრინცევი (1903-84 წწ.), ისევე, როგორც მამა, არქიტექტორი იყო. იგი მრავალი შენობა-ნაგებობის პროექტის ავტორია, რომლებიც აშენებული იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონში და, განსაკუთრებით, თბილისში. კერძოდ, **ნ. ნეპრინცევი ერთ-ერთი ავტორთაგანია თბილისში გმირთა მოედანზე, შემაღლებაზე მდგარი ცირკის შენობისა (1940 წ.). 1967 წ. მას მიანიჭეს საქართველოს სსრ დამსახურებელი არქიტექტორის წოდება.**

უმცროსი ვაჟიშვილი — იური ნეპრინცევი (1909-96 წწ.) იყო ფერმწერი და გრაფიკოსი. იგი იყო სსრკ სახალხო მხატვარი (1965 წ.), სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი (1970 წ.), სტალინური პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი (1952 წ.).

ნეპრინცევები ცხოვრობდნენ საკუთარ სახლში მთაწმინდის ძირში, მამადავითის ქუჩაზე (ამჟამად, მთაწმინდის შეს., 2). 1912 წელს არსებული ერთსართულიანი სახლი მ. ნეპრინცევის პროექტის მიხედვით გადააკეთეს (მას დააშენეს მეორე სართული).

მიხეილ ნეპრინცევი თავს ბედნიერად თვლიდა, რომ მან მთელი თავისი ცხოვრება საყვარელ საქმეს მიუძღვნა და წარუშლელი კვალი დატოვა თავისი ნაღვაწით. მიხეილ ნეპრინცევი გარდაიცვალა 1962 წლის 2 მარტს თბილისში.

გორში სტალინის სახლის დაცვითი პავილიონი

დეა სვანიძე

დავით კაკაბაძე — 125

დიდი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, თეატრისა და კინოს მხატვარი — აი, ვინ იყო ხონის მაზრის სოფელ კუხში დაბადებული დავით კაკაბაძე, რომელიც თავისი მდიდარი და მრავალმხრივი შემოქმედებით ყველას აცვიფრებდა.

დ. კაკაბაძე მოწაფეობის წლებიდან ბეჭდავდა ნახატებს ქართულ პერიოდულ პრესაში. 1916 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება, იმავე დროს, 1915 წლამდე, მეცადინეობდა მხატვარ ლ. დიმიტროევ-კავკაზსკის სახელოსნოში; გაეცნო რუსულ და დასავლეთევროპული მხატვრობის უახლეს მიმდინარეობებს და დაჯგუფებებს. სტუდენტობის წლებში დაიწყო ძვ. ქართული ხელოვნების კვლევა. პეტერბურგში კაკაბაძე 1918 წლამდე დარჩა. ამ პერიოდს მიეკუთვნება ფინეთსა და საქართველოში ნატურიდან დახატული პეიზაჟები, 3 ავტოპორტრეტი („ავტოპორტრეტი სარკესთან“, 1913წ., საქართველოს ხელოვნების მუზეუმი; „ავტოპორტრეტი ბროწეულით“, 1913წ.; „ავტოპორტრეტი რუხ ხალათში“, 1917 წ. — ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილებაა), დედის პორტრეტი, 1914 წ. და ძმის პორტრეტი, 1915 წ. (ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება). რეალისტურ ნამუშევრებთან ერთად კაკაბაძემ შექმნა კუბისტური ხასიათის სურათებიც („დასაფლავება იმერეთში“, 1913; „ავტოპორტრეტი“ 1913 — ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება).

1918-1919 წლები კაკაბაძემ საქართველოში გაატარა. ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი, როგორც მკაფიო თავისებურებების მქონე მხატვრის, შემოქმედებითი სახე. კაკაბაძემ შექმნა იმერული პეიზაჟების ციკლის პირველი ნიმუშები. ადრინდელი პეიზაჟებისგან განსხვავებით, ისინი ბუნების უშუალო ასახვას კი არ წარმოადგენდა, არამედ მკაფიოდ გამოკვეთილი პრინციპების თანახმად აგებულ სურათებს, რომლებშიც მოცემულია იმერეთის ბუნების განზოგადებული სახე; კომპოზიციას ახასიათებს ნათელი, კლასიკური ტექნიკურობა („პეიზაჟი წითელი გზით“, „პეიზაჟი ციხითა და მდინარით“, 1918წ., ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება).

1918 წელს კაკაბაძემ შექმნა სურათი „იმერეთი — დედაჩემი“, სადაც მხატვრისთვის ჩვეული იმერეთის პეიზაჟის ფონზე გამოსახულია მოხუცი ქალის ალეგორიული ფიგურა. ამავე წელს შექმნა ლაკონიური და გრაფიკულად მკაფიო „იმერული ნატურმორტი“ (ორივე საქართველოს ხელოვნების მუზეუმhშია); ამავე პერიოდს განეკუთვნება ძველი თბილისის ამსახველი ნახატები და წაღვერის სერია (მხატვრის ოჯახისა და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა მუზეუმის კუთვნილება).

აბსტრაქცია

1927 წელს შექმნა ალეგორიული სურათი “ინდუსტრია”. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კ. მარჯანიშვილის მოწვევით კაკაბაძემ მუშაობა დაიწყო თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დარგში. გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი (ე. ტოლერის “ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!”, 1928; პ. კაკაბაძის “ყვარყვარე თუთაბერი”, 1929; შ. დადიანის “ნინოშვილის გურია”, 1932; დ. კლდიაშვილის “სამანიშვილის დედინაცვალი”, 1937; პ. კაკაბაძის “კოლმეურნის ქორწინება”, 1946 — ყველა კ. მარჯანიშვილის სახელობის



„აბსტრაქცია“

თეატრი; ი. მოსაშვილის "სადგურის უფროსი", 1947, რუსთაველის სახელობის თეატრი; პ. ჩაიკოვსკის "პოკის ქალი", 1947 - თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და სხვა), აგრეთვე კინოფილმები ("მარილი სვანეთს", რეჟისორი მ. კალატოზიშვილი, 1930; "დაკარგული სამოთხე", რეჟისორი დ. რონდელი, 1936 და სხვა). კაკაბაძის შესრულებული დეკორაციები გამოირჩევა ფუნქციური მიზანშეწენილობით, სტილის ღრმა გრძნობით. ამავე პერიოდში კაკაბაძე აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი და გრაფიკოსი. იგი კვლავ დაუბრუნდა იმერული პეიზაჟის თემას, შექმნა ინდუსტრიული პეიზაჟები ("რიონჰესი", 1934, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი და სხვა). ამ სურათების კომპოზიური აგებულება და დეკორატიულობა ძველებურია, მაგრამ ციხის ნანგრევს ცვლის ახალი ცხოვრების ნიშნები - ელექტროსადგური, მშრომელთა მანიფესტაცია; უფრო ცხოველი და ხალისიანია კოლორიტი ("ყვითელი მთა", 1937; "წითელი მთა", 1944 - ორივე მხატვრის ოჯახის კუთხვილება; "მიტინგი იმერეთში", 1942, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). 1930-1940 წლებს მიეკუთვნება კიდევ რამდენიმე სერია ("სვანეთი", 1939; "თბილისი და მისი მოდამოები", 1944 - ყველა მხატვრის ოჯახის კუთვნილება). 1940-1950 წლების მნიშვნელოვანი სურათებია: "ყაზბეგი", "ფოთი-ელევატორი" (1949, ორივე საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), "სვანეთი - მადნის დამუშავება" (1949, მხატვრის ოჯახის კუთვნილება) და სხვა. 1928-1948 კაკაბაძე იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1933-1942 — პრორექტორი).

ევროპული ცხოვრება და მოღვაწეობა

თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ დიდი მხატვრის პარიზის პერიოდზე, როცა პეტერბურგის აკადემიადამთავრებული სრულიად განსხვავებული ხელწერის ახალგაზრდა მხატვარი მთელი არსებით დაუკავშირდა სხვადასხვა სიმბოლისტურ და იმპრესიონისტულ-დეკადენტურ მიმდინარეობას და შეეცადა, შეექმნა ობიექტური სინამდვილის უარმყოფელი სურათები. დიდი ხანია, დავით კაკაბაძეს პარიზისკენ უწევდა გული და ხელოვნების ამ მექაში წასვლა მხოლოდ 1920 წელს გახდა შეძლო.

1919-1927 წლებში კაკაბაძე პარიზში ცხოვრობდა, მონაწილეობდა „დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოების" ყოველწლიურ გამოფენებში, სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად აწყობდა გამოფენებს (მოაწყო თავისი სურათების გამოფენა ამერიკაში); კითხულობდა ლექციებს ხელოვნების საკითხებზე, მუშაობდა სტერეოკინოს გამოგონებაზე (მიღებული აქვს ევროპის მრავალი ქვეყნის პატენტი), აქვეყნებდა თეორიულ ნაშრომებს (ქართულ და ფრანგულ ენებზე).

კაკაბაძის ამ პერიოდის შემოქმედებაში აისახა ორი მიმართულება: ერთი მხრივ, მხატვარი ქმნიდა რეალისტურ, საგნობრივი სამყაროს მიერ შთაგონებულ სურათებს, მეორე მხრივ — უსაგნო სურათებს და კოლაჟებს (ცალკეული სერიები ინახება მხატვრის ოჯახში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).

ჯერ კიდევ 1914 წელს იგი პეტერბურგიდან მამას სწერდა: **„თუ სერგომ,** (სარგის კაკაბაძე — რედ.) **ფული მიშოვა, პარიზში წავალ... ახლა მხატვრობის ცენტრი პარიზია და მე მინდა ამ დროით ვისარგებლო, რადგან მერე დროც აღარ მექნება ხატვა ისე შევისწავლო, როგორც შევძლებ. ამას კი ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შემიძლია კარგად ხატვა ვისწავლო".** ამ ბარათს წერდა ახალგაზრდა, რომელსაც დახატული ჰქონდა სამი ავტოპორტრეტი; ერთი „სარკესთან", მეორე „ავტოპორტრეტი ბროწეულით" და მესამე კიდევ ფანქრით შესრულებული. დახატული ჰქონდა ასევე

იმერეთი — დედაჩემი, 1918 წ.

დედის, მამის და ძმის პორტრეტები, კუბისტური ავტოპორტრეტი და იმერეთის ის პეიზაჟები, რომელთაც დროდადრო უბრუნდებოდა ხოლმე.

დავით კაკაბაძის პარიზში ჩასვლა დაემთხვა კუბიზმის პირველი პერიოდის დასრულებასა და ახალი ეტაპის დაწყებას. ბუნებრივია, მოაზროვნე და მაძიებელი სულის ქართველი მხატვარი ამ დროისთვის მთლიანად კუბიზმის პრინციპებს იცავდა. მისი დევიზი იყო სინამდვილის გამოხატვა გეომეტრიული ფორმებით. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობდა ამ პერიოდში შექმნილი მისი ნახატები. კიდევ ერთი „ავტოპორტრეტი", „დასაფლავება იმერეთში", „ბრეტანი", „პარიზი", „წურბელებით მოვაჭრე" და სხვ. პარიზის პერიოდს ეკუთვნის ხის ფონზე შექმნილი დავით კაკაბაძის სურათი, რომელიც გაჩირაღდნებული იყო ელექტრონის შუქით. სურათში ჩართული იყო მავთულები, შუშები, კრისტალები და ელნათურა. ამ გზით მოდერნისტმა მხატვარმა თითქოს პარიზში აღმოაჩინა მანამდე უცნობი ფორმები და ფერები.

საინტერესოა, რომ ჩვენმა თანამემამულემ 1920 წელსვე პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი „კონსტრუქციული სურათის შესახებ", სადაც ჩამოყალიბებული იყო ფრანგული კუბიზმის იდეები. მოგვიანებით პარიზშივე დაბეჭდა კიდევ ორი წიგნი, ოღონდ ქართულ ენაზე: „პარიზი, 1920-23 წლები" და „ხელოვნება და სივრცე".

ჩვენი თანამემამულის თეორიული სტატიებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ესწრაფვოდა, ახლებურად გადმოეცა მოძრაობის განცდა, თვით იდეა მოძრაობისა, როგორც შინაგანი ცვლილება და ტრანსფორმაცია, ამ ცვალებად დინამიურ სივრცეში გაეხსნა ობიექტის შინაგანი „მე". დავით კაკაბაძის ფერწერულ ნამუშევრებში თანამედროვე ტექნიკის აქსესუარების გამოყენებით პლასტიკური ხელოვნების ამოცანების გადაჭრა იყო სწორედ ამ იდეის ხორცშესხმა.

იმდროინდელი პარიზის საგამოფენო კატალოგები და პრესა ნათლად მეტყველებს, რომ ახალგაზრდა ქართველი მხატვარი კუბიზმის აღმავლობის ეპიცენტრში იდგა.

მოგვიანებით იგი პარიზიდან ძმას სწერდა: **„პარიზის მოწინავე მხატვრობაში ცოტათი მნიშვნელოვანი ადგილი მიკავია და ზოგიერთი მწერალი მათ შორის მთვლის. საზოგადოდ, მე ახლა მოწინავე მხატვრებს შორის დიდი მუშაობა მიწევს. სალონებში გამოფენილი ჩემი ნახატები მუდამ იპყრობს ყველას ყუ-**

რადღებას. მემარცხენე მხატვრები თუ სადმე დიდ გამოფენას გამართავენ, მათ შორის საუკეთესო ფრანგი მხატვრებიც კი მე მიწვევენ“. სხვა წერილებიდანაც იგივე ისმის: **„ახლახან ერთ დიდ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა. გამოვფინე ორი დიდი სურათი. ამ სურათებმა მაშინვე მიიპყრო ყველას ყურადღება. ოთხი ათას სურათში ყველაზე ორიგინალური ჩემი იყო. ბევრი რეცენზია დაიწერა, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გამოვიდა ერთი წიგნი, სადაც აღწერილია მთელ მსოფლიოში თანამედროვე მხატვრობის მდგომარეობა. იქ ჩემ შესახებ მშვენიერი წერილია და მე მაკუთვნებენ თანამედროვე მსოფლიოს მხატვრობის ავანგარდს. სხვადასხვა ქვეყნის თხუთმეტამდე მხატვარი სულ ამ ავანგარდშია. ასე რომ, ჩემი სახელი დიდი ცნობილი მხატვრების გვერდშია. ამას, საზოგადოდ, ქართული მხატვრობისათვის მნიშვნელობა აქვს“.**

დავით კაკაბაძის შემოქმედება ღრმა ცოდნასა და გამორჩეულ შემოქმედებით პრინციპებს ეფუძნებოდა. ის მსოფლიო ხელოვნების განვითარების ლოგიკური ჯაჭვის ნაწილი იყო. იგი ცხოვრობდა და ქმნიდა პიკასოს, ბრაკის, ერნესტის, მიროს, ლეჟეს და სხვათა გვერდით. მხატვარი პარიზში „დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოების“ ყოველწლიურ გამოფენებში მონაწილეობდა, კითხულობდა ლექციებს ხელოვნებაზე, მუშაობდა სტერეოკინოს გამოგონებაზე, აქვეყნებდა თეორიულ ნაშრომებს ქართულ და ფრანგულ ენებზე. ნიუ იორკმაც დააფასა ქართველი შემოქმედი. იელის გალერეის დარბაზებში კაკაბაძის სკულპტურა „ძ, განგმირული თევზი“ (1926) და მისივე 16 აკვარელი (1921), მონდრიანის, გაბოს, კანდინსკის, დუშანის, მენ რეის, ბრანკუსის, პევზნერის, ბოჩიონის, მოჰოლი-ნაგის, მალევიჩის და სხვა მხატვართა საუკეთესო ნამუშევრების გვერდით 1926 წელს ამერიკელმა კოლექციონერმა და მხატვარმა, ავანგარდული ხელოვნების აპოლოგეტმა ქეთრინ დრაიერმა განათავსა.

ამერიკულ ბაზარზე მაშინვე სწრაფად იყიდებოდა ულტრათანამედროვე მხატვრების მხატვრული ტილოები, მათ შორის — დავით კაკაბაძის ნახატებიც, რომელთა ასავალ-დასავალი დღემდე არ ვიცით. ცნობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა როზენბერგის შვილს ამერიკაში წაუღია დავით კაკაბაძის რამდენიმე ტილო. ამერიკაშია, აგრეთვე, დავით კაკაბაძის ის ნამუშევრებიც, რომლებიც ნარსელ დიუშანისა და კატრინ დრაიერის ინიციატივით ნიუ იორკში, ბრუკლინის მუზეუმში იყო გამოფენილი. ეს ნახატები იქიდან 1941 წელს გადაიტანეს იელის უნივერსიტეტში, საიდანაც 1980 წელს ნიუ იორკის დიდ საერთაშორისო გამოფენის ექსპოზიციაში წარმოადგინეს. ცხადია, რომ დავით კაკაბაძის მოდერნისტულ შემოქმედებას ამერიკაშიც გამოუჩნდნენ თაყვანისმცემლები.

„ქართული პერიოდი“

1928 წლიდან კოტე მარჯანიშვილის მოწვევით საქართველოში დაბრუნებული დავით კაკაბაძე 1920-1927 წლების პერიოდის შემოქმედების სტილს აღარ მიბრუნებია. დიდი მხატვრის შემოქმედებაში თვისობრივად სრულიად განსხვავებული ეტაპი იწყებოდა.

მხატვრის „ქართული პერიოდი“ მხოლოდ ფერწერისა და გრაფიკული ნამუშევრების პერიოდს არ მოიცავს.

აფორმებს სპექტაკლებს, ოპერას („პიკის ქალი“), ითვლება თავისი დროის საუკეთესო დეკორატორად. ჩართულია კინოშემოქმედებაში („ჯიმ შვანთე“, „აკაკის აკვანი“). მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორად.

მის გარეშე წარმოუდგენელია ქართული მოდერნიზმი და ქართული სოცრეალიზმი.

კაკაბაძე ახალი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია. მისი სურათები დიდი კომპოზიციური ოსტატობისა და გადმოცემის სისხარტის გარდა გამოირჩევა განსაკუთრებული ფერადოვანი სიფაქიზითა და დახვეწილობით; რაციონალურობასთან ერთად მათ ახასიათებს მაღალი პოეტურობა.

კაკაბაძემ პირველმა შექმნა ქართული გუნების განზოგადებული სახე, პეიზაჟი-სურათი; დიდი მხატვრული ღირსებით გამოირჩევა ადრინდელი პერიოდში შექმნილი პორტრეტები. **კაკაბაძე არის ქართული თეატრალური-დეკორაციული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.** იგი იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებების მქონე მოაზროვნე მხატვარი, რომელიც ყოველთვის ღრმად გააზრებულად, ლაკონიური საშუალებებით ასხამდა ხორცს თავის მხატვრულ ჩანაფიქრს.

„გორის ციხე“

ავტოპორტრეტი

„კიკეთი“

საუკუნის შემდეგ – ისევ პარიზში

კულტურის სამინისტროსა და კომპანია „სილქნეტის“ ინიციატივით, 17 სექტემბრიდან პარიზის მაიოლის მუზეუმში დავით კაკაბაძის შემოქმედება განთავსდა და 5 თვის განმავლობაში უმასპინძლებს ხელოვნების მოყვარულთ. წარმოდგენილი იქნება კონსტრუქციულ-დეკორატიული კოლაჟები, სხვადასხვა პერიოდის გრაფიკა, ზეთისა და აკვარელის ნამუშევრები და კაკაბაძეების ოჯახის კოლექცია. პარიზულ ვერნისაჟამდე მხატვრის ნამუშევრები წინანდლის სახლ-მუზეუმში გამოიფინა. გამოფენა პარიზში 2015 წლის 15 თებერვლამდე გასტანს.

გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი

მუზეუმ-ნაკრძალი ოზურგეთში მდებარეობს. იგი 1998 წელს დაარსდა.

მის ტეირიტორიაზე მდებარეობს გურიანთა — ვაშნარის V-VIII საუკუნეების ნაქალაქარი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა VI საუკუნის II ნახევრის მონასტრის ნაშთები: საფორტიფიკაციო ნაგებობების (სავარაუდოდ, მონასტრის გალავნის), ბაზილიკისა და მარტირიუმის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა VI-VII საუკუნეების ბერძნულწარწერიანი ქვა, რომელიც ამჟამად ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ინახება. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები: **ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნამოსახლარები, თიხის სარკოფაგები, ქვევრ-სამარხები და უძველესი აბანო**.

მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში წარმოდგენილია ასევე მასალები, რომლებიც ასახავს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, უნიკალურ ფოტოებსა და გურიის ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელ არტეფაქტებს.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ყოველმხრივ ღირსსახსოვარი ამბავი ექვთიმე თაყაიშვილისა და ევროპაში გადატანილი ქართული განძის დაბრუნებისა საქართველოში.

„ეს მოხდა 1945 წლის 11 აპრილს, — იგონებს **ვახტანგ ბერიძე, —** ექვთიმე თაყაიშვილი და ჩვენი ეროვნული განძის ჩამოსატანად გაგზავნილი პირები: შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია კაირო-თეირანის გზით ჩამოფრინდნენ. ბატონი ექვთიმე სასტუმრო ,,თბილისში" დააბინავეს. მამაჩემი (ვუკოლ ბერიძე) იმავე საღამოს წავიდა მის სანახავად და თან წამიყვანა. თუ მამა და მისი თაობის ადამიანები მას ადრე იცნობდნენ, ჩემი თაობისთვის ექვთიმე ლეგენდარული პიროვნება იყო, ისეთივე შარავანდით მოსილი, როგორითაც ძველი საქართველოს დიდი მოღვაწენი — გრიგოლ ხანძთელი და მთაწმინდელები.

ვისაც საქმე აქვს საქართველოს წარსულთან, მის ისტორიასთან, მწერლობასთან, ნივთიერ კულტურასთან, ხელოვნებასთან, ის თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე ხვდება თაყაიშვილის სახელს და შემდეგაც ფეხს ვერ წაადგამს მისი ნაშრომების მოუხმობლად. ძნელი წარმოსადგენიც არის, როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა იმდენი რამ გაეკეთებინა, რამდენიც მან გააკეთა, როგორც მკვლევარმა, სიძველეთა შემკრებმა და მომვლელმა, საბუთების გამომცემელმა, მეცნიერების ორგანიზატორმა, საზოგადო მოღვაწემ.

მე გულისფანცქალით შევედი მის ოთახში. კორნელი კეკელიძე და გიორგი ახვლედიანი მოვიდნენ. გადაგვეხვია, დიდხანს გვკოცნიდა...

— საარაკოა ჩვენი გადარჩენა, საარაკო... რამდენი რამე გადავიტანეთ, რამდენჯერ დაღუპული მეგონა ყველაფერი. განსაკუთრებით ომი რომ დაიწყო, მის შემდეგ — ეს იყო მისი პირველი სიტყვები.

მეორე დღესვე ესტუმრა საქართველოს მუზეუმს არმაზში აღმოჩენილი ნივთების სანახავად. მთელი მუზეუმი ფეხზე იდგა. ყველანი გაფაციცებით უსმენდნენ. ზოგს ცრემლები მორეოდა. ბატონი ექვთიმე ჩამოსვლისთანავე ჩაერთო აქტიურ საქმიანობაში. ყველაფერი ნინანდებურად აინტერესებდა, ყველაფერი ახსოვდა – ყოველი წვრილმანი.

რა თქმა უნდა, ქართულ სიძველეთა დაბრუნება და ბატონი ექვთიმეს ჩამოსვლა უმთავრესი სასაუბრო თემათაგანი იყო საზოგადოებაში. ბუნებრივია, მეცნიერი ძალიან პოპულარული გახდა, მის ნახვასა და მოსმენას ყველა ნატრობდა, ამიტომაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში დაინიშნა მისი საჯარო ლექცია. გადავწყვიტე, ადრე მივალმეთქი, მაგრამ აკადემიის შენობას

რომ მივუახლოვდი, ქუჩა უკვე სავსე იყო ხალხით. შენობაში ვეღარ შეხვიდოდი — კიბე, დერეფნები, დარბაზი სავსე იყო. ძალიან დავღონდი, რაკი დარბაზში შეღწევის იმედი არ მქონდა. სწორედ ამ დროს ჩემ წინ გაჩერდა ბატონი ექვთიმეს მანქანა. სწრაფად გავაღე მანქანის კარი, ფრთხილად გადმოვიყვანე, მკლავი მკლავში გამოვდე და ასე გავემართეთ კიბისკენ. ხალხმა გზა მოგვცა და ნელ-ნელა ავაღწიეთ დარბაზამდე. იგი პრეზიდიუმში ავიყვანეთ, მეც გვერდით მივუჯექი — სანამ ლექციებს დაიწყებს, იქნებ რამე დასჭირდეს-მეთქი, მაგრამ ლექციის დაწყება შეუძლებელი იყო: დარბაზი გაიჭედა, დერეფნებში დარჩენილებიც ცდილობდნენ შემოსვლას, საშინელი ხმაური იყო. იმ დღეს ლექციის ჩატარება აღარ მოხერხდა, მეორე დღისთვის გადაიდო და კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა“.

ოზურგეთის განძი

1953 წელს ქალაქ ოზურგეთში აღმოაჩინეს 414 ცალი ევროპული ვერცხლის მონეტა.

განძი მოთავსებული იყო სპილენძის ჭურჭელში. ოზურგეთის განძის ნაწილი (270 ც.) შედგება ავსტრიული ტალერების (51 ც.), ვენეციური დუკატოს (1 ც.), ტოსკანური ტალეროებისა (11 ც.) და ესპანური პესოებისაგან (207 ც.).

ავსტრიული ტალერები მოჭრილია ერცჰერცოგების — ფერდინანდის (1564-1595), მაქსიმილიანის (1612-1618), ლეოპოლდის (1619-1632) და იმპერატორების — რუდოლფ II-სა (1576-1612) და ფერდინანდ II-ს (1619-1637) სახელით სხვადასხვა ზარაფხანაში. ვენეციური დუკატო ვენეციის დოჟს პასკუალე ჩიკონიას (1587-1595) განეკუთვნება. ტოსკანური ტალერები დიდი ჰერცოგების — ფერდინანდ I (1587-1608), კოზიმო II (1608-1621) და ფერდინანდ II (1621-1670) მედიჩების სახელითაა გამოშვებული. ესპანური პესოები ფილიპე II (1556-1598), ფილიპე III (1598-1621) და ფილიპე IV (1621-1665) განეკუთვნება და მოჭრილია ესპანეთსა (სევილია, სეგოვია) და ამერიკაში (მექსიკა, პერუ). განძის ყველაზე გვიანდელი მონეტა მოჭრილია 1628 წელს, ე. ი. განძი დაფლულია XVII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ.

საქართველოს ტერიტორიაზე ტალერული მონეტების ასეთი დიდი განძის აღმოჩენა მოწმობს, რომ ევროპული ვერცხლის მონეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ფულად მიმოქცევაში.

ოზურგეთის განძის 270 ცალი მონეტა დაცულია ეროვნულ მუზეუმში, 144 ცალი — ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.

ურეკის განძი

ურეკი ძველი დროიდანვე დასახლებული პუნქტი იყო. მდინარე სუფსის შესართავთან სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების რამდენიმე განძი.

მათ შორის აღსანიშნავია **შუა ბრინჯაოს ხანის იარაღის განძი.**

შეიცავდა გვიანდელი ბრინჯაოს ხანის კოლხური ცულების უშუალო პროტოტიპებს. ადრინდელი ბრინჯაოს ცულების ნიშნების მქონე იარაღს (ყუამილიანყუადაქანებულ ცულებს და სხვ), ადრეულ თოხებსა და ა. შ. ურეკში, აგრეთვე, აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის კოლხური ცულები და ძვ. წ. XVI-XIV სს კოლხური ცული (დაცულია სანქტ-პეტერბურგის ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმში).

1942 წელს ზღვისპირა დიუნის ყრილში ნაპოვნია **გვიანანტიკური ხანის ნივთების განძი.** განძს სამარხისეულ ინვენტარად მიიჩნევენ (ნ. ხოშტარია). განძი შეიცავს **პოლიქრომული სტილის ოქროს სამკაულებს**, რომლებიც არმაზისხევისა და ბორის სამკაულს უტოლდება. იქვე იყო III საუკუნის ოქროსა და ვერცხლის რომაული მონეტები. განძი დათარიღებულია (ა. აფაქიძე) III საუკუნის დასასრული IV საუკუნის დასაწყისით. ძირითადი ნაწილი დაცულია ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. 1948 წელს ურეკში აღმოჩნდა ვერცხლის ჭურჭელი (ლანგარი, კოვზი, ლამბაქი, 2 სურა და სხვ.), რომელიც სავარაუდოდ (ნ. ხოშტარია) აღნიშნულ განძს განეკუთვნება.

1946 წელს ურეკში აღმოჩნდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების განძი (ბრინჯაოს კოლხური ცული, სატევარი, დანისპირი, სეგმენტისებრი იარაღი, ლახტისთავი და აბზინდა, ზოდი და თიხის ტოლჩა), დაცულია ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. 1948 წელს ამ მუზეუმს გადაეცა კოლხური და არქაული ცული (2 ც.) და ადრეული თოხი, რომელიც დიუნზე აღმოჩნდა. ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დაცულია სხვადასხვა დროის ბრინჯაოს იარაღი.

ურეკში არქეოლოგიური სადაზვერვო გათხრები ჩატარდა 1936 (ა. კალანდაძე), 1938 (ა. იესენი) და 1948 (ო. ჯაფარიძე) წლებში. დიუნებში დადგინდა კულტურული ფენების არსებობა და მათი მსგავსება მდინარე ხობის შესართავისა და აფხაზეთის სანაპიროს ნამოსახლარებთან. ნაპოვნია ბრინჯაოს ხანის დასასრულის კერამიკა, თიხის ორკაპა სადგრები, ანტიკური ხანის კრამიტი, ძვ.წ. V-IV საუკუნეების **იმპორტული შავლაქიანი კერამიკა, ცხოველის მცირე ზომის ქანდაკება, საწაფები.** ურეკის კერამიკაში დადგენილია ჭარბი რაოდენობით მაგნეტიტის შემცველობა, რაც მის ადგილობრივ დამზადებაზე მეტყველებს. 1949-50 წლების გათხრების (ნ. ხოშტარია) დროს დადგინდა დიუნების ხასიათი, კულტურული ფენების განლაგება, სტრუქტურა და ასაკი (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული — I ათასწლეულის დასაწყისი).

გუთურის განძი

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კოლხური კულტურის არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩენილია სოფელ გუთურში. სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდებარეობს მდინარე სუფსის მარცხნივ, ზღვის დონიდან 140 მეტრ სიმაღლეზე; **სოფელი დასახლებული იყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან, რაც დასტურდება სუფსა-ოსკოჯურის შუამდინარეთში აღმოჩენილი გუთურის განძებით.** გუთური ერგეს ნაწილს წარმოადგენდა. გუთური კოლხთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნამოსახლარად მიიჩნევა. აქ დადასტურებულია გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის წარმოება.

პირველი განძი აღმოჩნდა 1930 წელს, შეიცავს ბრინჯაოს 6 თოხს; მეორე — 1968 წელს, შედგება ბრინჯაოს 29 თოხისა და ბრინჯაოს ზოდებისაგან, მესამე განძი აღმოჩნდა სოფელ ჯვარცხმაში და შედგება ბრინჯაოს კოლხური ცულისა და 2 თოხისაგან. დაცულია ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც დაარსდა 1958წელს. 1961 წელს მოეწყო პირველი ექსპოზიცია. მუზეუმში ძირითადად დაცულია არქეოლოგური მასალა: ძვ. წ. VI-V საუკუნეების საბრძოლო და შრომითი იარაღები, სამაროვანის ინვენტარი, ჭურჭელი, ნუმიზმატიკური მასალა, აგრეთვე, XIX საუკუნის საბრძოლო იარაღი, ეთნოგრაფიული მასალა, ხელნაწერები, გურიის ერისთავების პირადი ნივთები.

დავით კაკაბაძის პორტრეტულ ფერწერაში, ჩემის აზრით, აფსოლიტური შედევრია მხატვრის დედის პორტრეტი.
თითქმის ყოველ დიდ ხელოვანს ხარკი მიუცია ამ დიდი გრძნობისთვის, რომელიც მართებს ყოველ კაცს, ყოველ სულიერს საკუთარი მშობლისადმი.
...ზის და შრომობს წელში მოდრეკილი დედა, ცალი თვალი მაგრად დამანჭური ჭიშკარისკენ უჭირავს.
ეს სურათი ერთგვარი ოსანაა ადგილის დედის კულტის მიმართ, ამ გრძნობამ შემოინახა ჩვენი ხალხის წარუხოცელი სიყვარული ქართული მიწისადმი.

კონსტანტინე გამსახურდია

არქიტექტორ მიხეილ ნეპრინცევის მიერ აშენებული რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი თბილისში (1937-56 წწ., თანაავტორი — არქიტექტორი ნ. გლაზკოვი. ამჟამად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი)

ISSN 1987-5908